პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 იანვარი ოთხშაბათი 2014
№012 (14 233) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## ძოძუაშვილი პრობლემებს ებრძვის

რა ხდება ტორპედოში?

2

# ფანები: დარჩი ჩვენთან სამუდამოდ!

## ქეცბაიას გამოჩენაზე ლამის დარბაზი ჩამოინგრა



გუშინ კვიპროსის ქალაქ ლარნაკაში „ანორთოსისის“ ლეგენდების მატჩი გაიმართა ფუტსალში. სხვებთან ერთად, მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ნაკრების თავკაცმა თემურ ქეცბაიამაც, რომელმაც ჯერ ფეხბურთელობისას, შემდეგ კი მწვრთნელობით წარუშლელი კვალი დატოვა ამ კვიპროსული კლუბის ისტორიაში.

14-ნომრიანი მაისურით დარბაზში ქეცბაიას გამოჩენამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. იქაურობა ლამის ჩამოინგრა, ხოლო „ანორთოსისის“ ფანებმა გადმოკიდეს ბანერი წარწერით: „დარჩი ჩვენთან სამუდამოდ! ეჰ, ქეცბაია“!

ნიკოლოზ ნეფარიძე



## შენგელიამ 7 აირჩია



ვინც ჩვენს გაზეთში თორნიკე შენგელიას ინტერვიუ წაიკითხა, ემახსოვრება, რომ ის ჩიკაგოში სამშაბათს უნდა ჩასულიყო. ასეც მოიქცა, კლუბის ხელმძღვანელობასაც შეხვდა და 7-ნომრიანი მაისურაც აირჩია.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში არც 23 და არც 7 ნომრად „ბულსში“ არავინ თამაშობს. 23-იანი სამუდამოდაა დაკავებული - მაიკლ ჯორდანის საკუთრებაა. სამაგიეროდ, 7-ნომრიანი მაისურა ტონი კუკოჩისთვის მუდმივ მფლობელობაში არ გადაუციათ და ახლა მის გზას კიდევ ერთი ევროპელი, თორნიკე განაგრძობს.

სხვათა შორის, ისევე, როგორც ზაზა ფაჩულიასა და ვლადიმერ ბოისასთვის, შენგელიასთვისაც საყვარელი რიცხვი 7-ია. სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებშიც ამ ნომრით თამაშობდა, ეროვნულ გუნდში კი „7“ დაკავებულია - ფაჩულიას აცვია. ისიც გავიგეთ, 2013 წლის ევრობასკეტზე ზაზა თავის სანაკრებო „შვიდიანს“ შენგელიას უთმობდაო, მაგრამ ბოლო მომენტში თორნიკესაც ოპერაცია დასჭირდა და ნაკრებს ისიც გამოაკლდა.

როგორც ამერიკული პრესა იტყობინება, ქართველი ფორვარდის დებიუტი 22 იანვრისთვის იგეგმება. დღეს „ჩიკაგო“- იგორ კოკოშკოვის „კლივლენდს“ ესტუმრება.

ვაჟა სიმონიშვილი

# შერმადინი და სანიკიძე სარაგოსას ისტორიას წერენ



გიორგი შერმადინს სარაგოსასთვის მორიგი 2 ქულა მოაქვს

ესპანურმა „სარაგოსამ“ ისტორიაში პირველი გამარჯვება მოიპოვა ევროტურნირების მეორე ეტაპზე, ამ შემთხვევაში - ევროთასზე. არაგონელებმა ლიტვის „რიტასს“ უმასპინძლეს და, შეიძლება ითქვას, შეარცხვინეს - 94:60. გიორგი შერმადინმა გამარჯვებაში 11-ქულიანი წვლილი შეიტანა, რასაც 21 წუთში 5 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა მიამატა. ვიქტორ სანიკიძემ კი 4-4 ქულა-მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მოინაგრა.
სადღეისოდ, „სარაგოსას“ ერთი გამარჯვების წილ ორი წაგება აქვს და პლეი ოფში გასასვლელად დარჩენილ სამ მატჩში დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

ვაჟა სიმონიშვილი

australian open
The Grand Slam of Asia/Pacific

ავსტრალიის ღია პირველობა

# მშვიდობით!

## აქეთ ჯოკოვიჩი, იქით ივანოვიჩი

16

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორპედო

### რევაზ ძოძუაშვილი:

# იმდენი პრობლემაა მოსაგვარებელი, არც ვიცი, საიდან დავიწყო

ქუთაისის „ტორპედოდან“ კომპანია „ვისოლის“ წასვლის შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა. გუნდის მთავარ მწვრთნელად გამოცდილი რევაზ ძოძუაშვილი დაინიშნა, პრეზიდენტრობა კი გიორგი დემეტრაძეს შესთავაზეს. ამან ქუთათურ გულშემატკივრებში იმის იმედი გააჩინა, რომ გუნდი უპატრონოდ არ დარჩებოდა და საარსებო სახსარიც გამოინახებოდა. მაგრამ იანვარი იწურება და „ტორპედოს“ თავზე შავი ღრუბლები ჯერაც ვერ გაიფანტა, ახალ დამფინანსებელზე ოცნებაც, ჯერჯერობით, ოცნებად რჩება. სიტუაციაში გასარკვევად რევაზ ძოძუაშვილს დავუკავშირდით...

**- რა ვითარებაა ამჟამად გუნდში?**

- მე ხომ სულ მეხანძრის როლში უნდა ვიყო და ახლაც ასეა. ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. როგორც იცით, „ვისოლი“ წავიდა, მაგრამ კლუბის გადაბარების ფორმალური მხარე ჯერაც მოსაგვარებელია. ეკონომიკის სამინისტრომ ჯერ უნდა გადაიბაროს „ტორპედო“, ხოლო შემდეგ ახალ მეპატრონეს მიჰყიდოს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ კლუბი ქუთაისის მერიას უნდა გადასცეს. 10 დღეში ყველაფერი გაირკვევა და „ტორპედოსაც“ მოევლება. თუმცა ახლა ყველაფერი სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ და არ გამოვრიცხავ, ამ ეტაპზე, გუნდში მხოლოდ ქუთაისელებმა ითამაშონ. იმდენი პრობლემაა მოსაგვარებელი, არც ვიცი, საიდან დავიწყო - სტადიონიც პრობლემაა, სავარჯიშო მოედანიც.

**- მართალია, თითქოს „ტორპედოს“ ბაზაზე არ გიშვებდნენ?**

- დიახ, ასე იყო. ბოლოს გულშემატკივრებმა იყოჩაღეს და ბაზაზე ამის შემდეგ შეგვიშვეს. კლუბის გადაბარებამდე, სტადიონიც და ბაზაც კვლავ „ვისოლის“ საკუთრებაა და მათიც კარგად მესმის. სანამ ეს პროცესი მიმდინარეობს, თავიანთ საკუთრებას უფრთხილდებიან. ამიტომ, ჯერ მხოლოდ მოედნით ვსარგებლობთ, სასადილო კი დაკეტილია.

**- როგორც ვიცით, კლუბს ფინანსები არ გააჩნია...**

- ახლა ჩვენს ანგარიშზე მხოლოდ 250 ათასი ლარია. როცა „ვისოლმა“ „ტორპედო“ შეისყიდა, კონტრაქტში ჩაწერეს, რომ კლუბიდან წასვლის შემთხვევაში, სწორედ ამ თანხას გადაიხდიდა. ასე რომ, ჯერ ეს უნდა ვიმყოფინოთ. პლუს, ფეხბურთის ფედერაცია აპირებს, რომ გუნდებს 200-200 ათასი ლარი ჩაურიცხოს.

**- ქუთაისის მერია და საკრებულო არ გეხმარებათ?**

- „ტორპედოსთან“ დაკავშირებულ მოლაპარაკებებში ქუთაისის მერიცაა ჩართული და იმერეთის გუბერნატორიც. მაგრამ „ვისოლის“ წასვლა იმ დროს დაემთხვა, როცა ქალაქის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებული იყო. ცხადია, დამტკიცებულ თანხებს სხვა სფეროებს ვერ მოაკლებდნენ და არც ვიცით, რა იქნება. მაგრამ მერი და გუბერნატორი მაინც ეძებენ გზებს, რომ კლუბი როგორმე დააფინანსონ.



რევაზ ძოძუაშვილი პრობლემებს ებრძვის

**- ასეთ ვითარებაში „ტორპედოში“ სასურველ მოთამაშეებს ველარ მიიწვევთ...**

- რა თქმა უნდა, ეს ხელს გვიშლის. ჯერ მხოლოდ მამუკა ლონლაძე დაგვემატა და შესაძლოა, როინ კვასხვაძემაც ჩვენთან ითამაშოს. ეს სერიოზული ძალაა. დანარჩენებზე კი ვერაფერს გეტყვით.

**- არადა, ვიცოდით, რომ „ტორპედოში“ მოდიოდნენ ვალერი აბრამიძე, ზურაბ მენთეშაშვილი, ზაალ ელიავა...**

- მოლაპარაკება კი გქონდა, მაგრამ ფული თუ არ გადაუხადე, ვინ ჩამოვა? ისეც არ გაიგოთ, თითქოს, არავინ გვეყოლება, ბევრია 23-24 წლის მოთამაშე, მაგრამ უფრო ძლიერი ფეხბურთელების შეკრება მსურდა.

**- ძველი შემადგენლობიდან არავინ დარჩა?**

- არავინ. ერთი ნაწილი „ზესტაფონმა“ წაიყვანა, მეორე - „ლოკომოტივში“ დაბრუნდა, ცინცაძე კი „დინამომ“ მიიწვია. ასე რომ, ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

საკონტროლო მატჩი

# ახალი ზესტაფონის პირველი ტესტი

გუშინ „ზესტაფონმა“ შუასასეზონო პერიოდის პირველი საკონტროლო მატჩი გამართა - მარტვილის „მერანი“ ისტუმრა და 3:1 დაამარცხა. შეხვედრა ზესტაფონელთა საწვრთნელ ბაზაზე ჩატარდა.

**გია გეგუჩაძემ** „ზესტაფონი“ ასეთი შემადგენლობით ათამაშა: **მიგინეიშვილი** (კუპატაძე, 46), **თორნიკე გრიგალაშვილი** (ლონლაძე, 46), **თედორე გრიგალაშვილი** (ზ. ჭელიძე, 46), **ფრეირა** (გურული, 46), **გაგოშიძე**, **აჯურუ** (კუხიანიძე, 46), **ენდელაძე** (შარიქაძე, 46), **სარდალიშვილი** (ქანკოტაძე, 46), **მიქაძე** (დოლიძე, 46), **ფანცულაია** (კაკუშაძე, 46), **კაპანაძე** (ტატანაშვილი, 46).

„მერანის“ ახალმა თავკაცმა **ზურაბ იონანიძემ** კი მარგველებს ეს ფეხბურთელები დაუპირისპირა: **მამალაძე** (ბეგაშვილი, 46), **მელიავა** (ბენაშვილი, 46), **გაბუნია** (ფოცხვერაშვილი, 60), **რაფაელო** (აშორტია, 60), **გოგია** (ბაბუნაშვილი, 46), **ფონიავა** (ჯლამაია, 46), **კერძევაძე** (ჯოჯუა, 46), **შულაია** (კობახიძე, 70), **დეკანოსიძე** (წულაია, 46), **კუჭუხიძე** (გეგეჭკორი, 46), **ციცხვაია** (ჩხეტიანი, 46).

პირველი გოლი მე-17 წუთზე გავიდა - **თორნიკე კაპანაძემ** თავურით შეაგდო. მეორე გოლი „მერანის“ საჯარიმოში ჩაწოდებას მოჰყვა - მარტვილელთა ერთ-ერთმა მცველმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. „მერანს“ მესამე გოლი **ზაზა ჭელიძემ** გაუტანა 77-ე წუთზე, შეხვედრის ბოლო ბურთი კი მერანელმა **გაგა ჩხეტიანმა** შეაგდო მე-80 წუთზე.

**დავით თავართქილაძე**

ფუტსალი

# ჩემპიონატი ჩაიშალა?

## გიორგი დარჯანია: ჩემპიონატიდან გუნდების გასვლაზე არავის მოუმართავს

გუშინ საქართველოს ფუტსალის უმაღლესი ლიგის მონაწილე 8 კლუბის (ჩემპიონატში სულ 9 გუნდი თამაშობს) ხელმძღვანელები შეიკრიბნენ და სკანდალური გადაწყვეტილება მიიღეს. ამის შესახებ „გრანდის“ სპორტულმა დირექტორმა **გიორგი შანიძემ** გვაცნობა.

„დღეს შევიკრიბეთ „დიცის“, „სამცხეთის“, „აფენის“, „გრანდის“, „თელასის“, „არმაზის“, „ქავხეოლისა“ და „როდოპოლისის“ ხელმძღვანელები და ყველამ ერთად გადავწყვიტეთ, რომ უარი განვაცხადოთ ჩემპიონატში მონაწილეობაზე. მიზეზი ისაა, რომ ჩვენ ლეგიტიმურად მივიჩნევთ ლევან ცქიტიშვილის პრეზიდენტობას. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ეს უკანონობა არ გამოსწორდება. ასევე, მივიჩნევთ, რომ ჩემპიონატის მონაწილე ერთი კლუბის პრეზიდენტი არ უნდა იყოს ასოციაციის პრეზიდენტი, რადგან ეს არის ყოვლად დაუშვებელი ინტერესთა კონფლიქტი. ამიტომ, ბოლომდე დავიცავთ ჩვენს უფლებებს და პროტესტის არც ერთი კანონიერი ფორმის გამოყენებას არ გამოვრიცხავთ. მივმართავთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციასა და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტს, რომ საკითხი დაუყოვნებლივ და სამართლიანად გადაიჭრას. ასევე, ვაპროტესტებთ ჩვენი გვერდის ავლით ჩატარებულ უკანონო არჩევნებს, სადაც ყრილობის მონაწილე დელეგატთა იურიდიული სტატუსი არ დასტურდებოდა. ვთხოვთ შესაბამის ორგანოებს, სასწრაფოდ მოახდინონ რეაგირება, ვინაიდან ნებისმიერ სპორტის სახეობაში დაუშვებელია მსგავსი გადაცდომა. ეს არის უმაღლესი ლიგა და არა ეზოს ტურნირი. საქართველოს ჩემპიონატი არ უნდა იქცეს ვიღაცის კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებელ ტურნირად. საჭიროა დებულების დაცვა. შეკრებაზე ასევე გავაპროტესტეთ ოკუპირებული ტერიტორიის გუნდის, ჩემპიონატის ყველაზე ღარიბი მონაწილის, „დიცის“ გათამაშებიდან მოხსნა და მას გვერდში ვუდგავართ“, - ამბობს შანიძე.

კომენტარისთვის მეორე მხარეს დავუკავშირდით. **გიორგი დარჯანია**, საქართველოს ფუტსალის ასოციაციის გენერალური მდივანი: „სფა-სა და კლუბებს შორის ურთიერთობა რეგულირდება ჩემპიონატის რეგლამენტით. ჩემპიონატის მატჩზე გუნდის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რეგლამენტი ითვალისწინებს ჩემპიონატიდან მისი მოხსნის საკითხის განხილვას. ერთ-ერთი გუნდის მიმართ, რომელმაც თვითნებურად გააცდინა 2 მატჩი, ჩვენ რეგლამენტით გათვალისწინებული ვალდებულება უკვე შევასრულეთ. მომავალშიც, სფა ხელმძღვანელებს მხოლოდ რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებებით და მოვალეობებით. იმავეს მოვითხოვთ გუნდებისგანაც. რაც შეეხება ჩემპიონატიდან 8 გუნდის გასვლას, ამ დროისთვის ამის შესახებ ოფიციალურად არავის მოუმართავს და ეს თქვენგან შევიტყვე. ამასთანავე, თუ „ლელოს“ რედაქციას აქვს სურვილი, გაეცნოს სფა-ს პრეზიდენტის ვახტანგ წერეთლის არჩევიდან ერთი თვის განმავლობაში ჩატარებულ სამუშაოებს, მზად ვართ, ნებისმიერ დროს ვუპასუხოთ კითხვებს ჩვენი საარჩევნო დაპირებების შესრულების შესახებ“.

**მერაბ მამულაშვილი**

# SOS!

### მინდია ბობღიაშვილი:

# გადავარჩინოთ გურია!

ლანჩხუთის „გურიას“ მეკარე **მინდია ბობლიაშვილს** გუნდში არსებული მდგომარეობა ადარდებს. 30 წლის გოლკიპერი „ლელოსთან“ ინტერვიუში გუნდის მხარდამჭერებს მიმართავს:

*„საქმე კარგად დავიწყეთ, მაგრამ ახლა ყველაფერი ისევ აირია. თითქმის ყველა გუნდს ეშველა, „გურია“ კი სულ პრობლემებშია. სამწუხაროდ, დათქმულ ვადაში შეპირებული დავალიანება არ გაუსტუმრებიათ. გვპირდებიან, 2 დღეში გავისტუმრებთო და იმედია, ასეც იქნება. არის მეორე პრობლემაც: სეზონისთვის მზადება ყველა გუნდმა დაიწყო. მხოლოდ ჩვენ არ შევკრებილვართ. თუ ვარჯიში დროულად არ დავიწყეთ, მერე ძალიან ძნელი იქნება ექვსეულში მოხვედრა, რასაც სეზონის წინ ბევრი ვერც წარმოიდგენდა. არადა, პირველ წრეში იმდენი ქულა დავაგროვეთ, ეს არარეალური მიზანი არ უნდა იყოს. მაგრამ ასეთი მდგომარეობით სრულ კრახამდე მივალთ. ამიტომ მივმართავ ლანჩხუთის „გურიას“ კეთილისმსურველებს - გთხოვთ, ფეხბურთელებს და გუნდს გვერდში დაგვიდგეთ ისევე, როგორც ეს სეზონის დაწყებიდან ხდებოდა. ლანჩხუთში ძალიან უყვართ ფეხბურთი და გულშემატკივრები ნამდვილად იმსახურებენ, რომ ძლიერი და მებრძოლი გუნდი ჰყავდეთ“*, - ამბობს ბობლიაშვილი.



მინდია ბობლიაშვილი გურიაში დარჩა

ცნობილია, რომ ლანჩხუთიდან გუნდის ლიდერები წავიდნენ. „გურიას“ მეკარე ამბობს, რომ წამყვანი მოთამაშეების შეცვლა ძალიან გაძნელდება: *„ლიდერების წასვლა გულდასაწყვეტია. ცალკე მინდა აღვნიშნო ალეკო კოშკაძე, რომელიც პროფესიონალიზმის განსახიერება და ახალგაზრდებისთვის საუკეთესო მაგალითია. ჩემი აზრით, ის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიაა. ახლა ღირსეული შემცვლელების მოძებნა უნდა ვცადოთ, რაც ურთულესი საქმეა. მაგრამ დავით მახარაძემ და გია ჩხაიძემ ამ სეზონში დაამტკიცეს, რომ სელექციის და ნულიდან გუნდის შექმნის ნიჭი აქვთ. იმედია, გამოსავალს ახლაც იპოვიან. სეზონის წინაც იყო საშიშროება, რომ „გურია“ უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებდა, მაგრამ ჩვენმა ხელმძღვანელობამ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი გააკეთა. საშემოდგომო ეტაპის 5 თვე დიდი წვალებით გავიარეთ. ახლა კი „გურიას“ ბიუჯეტი დაგვიმტკიცეს. გამგებელმა ზაზა ურუშაძემ გვითხრა, რომ მაისამდე დაგვიანება აღარ იქნება. ფეხბურთელების ოცნება სტაბილური გარემოა, თორემ საქართველოში მილიონებზე არავინ ფიქრობს. თუ კვლავ ერთსულოვნები ვიქნებით ფეხბურთელები, მწვრთნელები, ხელმძღვანელობა, გამგეობა და გულშემატკივრები, მერწმუნეთ, „გურია“ ისევ ლიდერებში მოხვდება“.*

ლანჩხუთელთა მეკარე საერთო პრობლემასაც შეეხო: *„რაც ჩვენს გუნდში ხდება, ეს მხოლოდ „გურიას“ სატკივარი არ არის. ზოგადად ქართული ფეხბურთია ცუდ მდგომარეობაში. ამის მიუხედავად, მაინც იმედს ვიტოვებ, რომ 2014 წელი გარდამტეხი იქნება, ქვეყანა ფეხბურთისთვის მოიცლის და ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. ჩვენ ნამდვილი ლეგენდები გვყავდა და ამიტომაც ვერ წარმომიდგენია, რომ ქართული ფეხბურთი შეიძლება მოკვდეს“.*

**მერაბ მამულაშვილი**

გურია

# ბათუმიდან ისევ ლანჩხუთში

ლანჩხუთის „გურიაში“ მიმდინარე მოვლენებზე ბევრი ითქვა და დაიწერა. კლუბთან ხელშეკრულებები დაუსრულდათ და წავიდნენ **მამუკა ტორონჯაძე, ლევან ჩაგელიშვილი, ლადო ჯოჯუა, ვალერი იობაშვილი, ალეკო კოშკაძე, ნიკა ჯიშკარიანი** და **კობა შალამბერიძე**.

„გურიას“ მთავარი მწვრთნელი **დავით მახარაძე** რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას აპირებს და აშკარაა, რომ განსაკუთრებით შეტევის ხაზის გაძლიერებაზე ზრუნავს. მან უკვე გვითხრა, რომ „ზუგდიდის“ შემტევი ნახევარმცველის **ლევან წურწუმიასა** და თავდამსხმელების - **შოთა ჯიქიასა** და **გიორგი რეხვიაშვილის** აყვანას გეგმავს, გუშინ კი სხვა სიახლეც გაგვანდო - გუნდთან ერთად სეზონისთვის მზადებას კიდევ ერთი თავდამსხმელი, **გიგა კვერენჩხილაძეც** დაიწყებს.

„ლელო“ წერდა, რომ ბათუმის „დინამო“ ზამთარში რამდენიმე მოთამაშეს შეელია და მათ შორის კვერენჩხილაძეც მოხვდა. 27 წლის თავდამსხმელი „გურიაში“ 2012/13 წლების სეზონში თამაშობდა და გუნდს უმაღლეს ლიგაში გადასვლაში შედეგიანი თამაშით დაეხმარა: სეზონის 28 მატჩში 23 გოლი გაიტანა, რაც მშვენიერი შედეგია.

კვერენჩხილაძე მიმდინარე სეზონისთვისაც „გურიასთან“ ერთად ემზადებოდა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო გუნდი დატოვა და ბათუმის „დინამოში“ გადავიდა. საშემოდგომო ეტაპზე მან აჭარის მთავარ გუნდში 10 შეხვედრა ჩაატარა, თუმცა ძირითადში მხოლოდ 3-ჯერ მოხვდა, სულ 1 გოლი გაიტანა და ისევ „გურიაში“ დაბრუნება ამჯობინა.

**მერაბ მამულაშვილი**

**მილოცვა**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი დაბადების 70 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავენ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ფეხბურთში **ჯუმბერ ჯალაღანიას**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება — მერანი

# კვლავაც ველოდოთ სიურპრიზებს?

მარტვილის „მერანი" უმაღლეს ლიგაში პირველად 2011/12 წლების სეზონში გამოჩნდა და, დებიუტანტის კვალობაზე, მართლაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. კი, ბატონო, ბევრი გუნდის მწვრთნელი თუ ხელმძღვანელი დაიჩივლებდა ხოლმე მარტვილის სტადიონის არაკომფორტულობაზე, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ყოველივე ეს თავის მართლებას უფრო ჰგავდა!

ჰო, იმ სადებიუტო სეზონშიც და მომდევნოშიც მარტვილში თამაში ყველას უჭირდა და წინა ორ ჩემპიონატში არაერთმა ფავორიტმაც დაკარგა იქ ქულები. ამას გარდა, „მერანს" თამაშის საკუთარი „ხელწერითაც" გამოარჩევდით და იმითაც, რომ ამ პერიფერიულ გუნდში ჩინებულად უგებდნენ ერთმანეთს გამოცდილი და ყველასათვის უცნობი ახალგაზრდა ფეხბურთელები.

არც სადებიუტო სეზონში და არც მომდევნოში, „მერანს" უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე არ დამუქრებია და ქართულ საფეხბურთო „ოჯახშიც" ნელ-ნელა იმკვიდრებდა ადგილს. აი, ასეთი შედეგი გამოიღო 2006 წლიდან წამოწყებულმა საქმემ, როცა კლუბის პატრონობა ფრიდონ ინჯიამ ითავა, რომელმაც, თავის მხრივ, გუნდის გაწვრთნა იმ დროისათვის ახალგაზრდა სპეციალისტს, 30 წლის მალხაზ ჟვანიას მიანდო...

სწორედ ამ მწვრთნელის ხელმძღვანელობით დაიწყო კიდევ „მერანმა" ეს ჩემპიონატი და აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ნამდვილად არა ვართ განებივრებული ისეთი ფაქტ(ებ)ით, როცა ერთი და იგივე სპეციალისტი ერთ გუნდში ექვს თუ შვიდ წელიწადს გაატარებს გადაბმულად.

თუმცა, მალხაზ ჟვანიას გუნდს ერთობ რთული სეზონი რომ ელოდა, ეს თავიდანვე ცხადი იყო; ჯერ ერთი, „მერანს" საშინაო მატჩები სხვა ქალაქში უნდა ჩაეტარებინა (სამტრედიაში), ამასთან ძნელი სათქმელი იყო, თუ როგორ მოხდებოდა გუნდის სამი საკვანძო ფეხბურთელის, გივი დიდავას, ვალერი იობაშვილისა და საბა ლომიას სრულფასოვნად შეცვლა.

მაგრამ „მერანი" მაინც აგრძელებდა სასიამოვნო სიურპრიზების შემოთავაზებას: ამ სეზონის სტარტზე გუნდმა ზედიზედ ოთხივე „საშინაო" მატჩი მოიგო! და აი, VIII ტურის მერე, როცა მარტვილური გუნდი პირველად დამარცხდა „საკუთარ" მოედანზე („ტორპედოსთან"), ბევრისთვის მოულოდნელი ინფორმაცია გავრცელდა: 7-წლიანი მართლაც ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ მალხაზ ჟვანიამ „მერანი" დატოვა! თუმცა, ამ მწვრთნელმა მაინც „მოასწრო" და ისე როგორც წინა ორ სეზონში, ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ერთობ პერსპექტიული ახალგაზრდა დაანინაურა...

ჟვანიას შემცვლელის ძებნა „შორს" არ დაწყებულა: „მერანის" მთავარ მწვრთნელად ახლო წარსულში „ზესტაფონისა" და „ტორპედოს" მარცხენაფლანგელი, ბოლოს კი მარტვილური კლუბის სამწვრთნელო შტაბში მომუშავე კახა ჩხეტიანი დაინიშნა. სამწუხაროდ, ჩხეტიანის სამწვრთნელო დებიუტი წარუმატებელი გამოდგა: პირველი ეტაპის ბოლომდე დარჩენილ ათ შეხვედრაში „მერანმა" მხოლოდ და მხოლოდ 1 ქულა აიღო...


შოთა ბაბუნაშვილი (მარცხნივ) — ნინო გელაშვილის ფოტო

## მეკარე

**ჯონი შეროზიამ** მთელი კარიერა „მერანში" გაატარა და გუნდთან ერთად ალზევდა უმაღლესშიც; ისე როგორც წინა ორ სეზონში, პირველ ეტაპზეც, ფაქტობრივად, შეუცვლელად იდგა „მერანის" კარში და იმის მიუხედავად, რომ პირველ ეტაპზე ყველაზე მეტი გოლი სწორედ მარტვილურმა გუნდმა გაუშვა.

ამ ყველაფერში 23 წლის შეროზიას დადანაშაულება ძნელი იქნება. მხოლოდ ერთ შეხვედრაში მოუწია მოედანზე გამოსვლამ 25 წლის **მიხეილ ხარშილაძეს**.

## დაცვა

ასაკის მიუხედავად, უკვე ორ წელზე მეტია „მერანის" შეუცვლელ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა 19 წლის **ლევან გეგეჭკორი**; თანაც, ამ ფლანგის მცველს საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებშიც იწვევდნენ.

რაც შეეხება კიდევ ერთ ფლანგის მცველს - 21 წლის **კიჭი მელიავა** „მერანის" ერთ-ერთი სტაჟიანი წევრია. ცენტრალურ მცველთა „დუეტი" გუნდის გამოცდილ ფეხბურთელებს უნდა შეედგინათ, მაგრამ, გარკვეულ მიზეზთა გამო, 27 წლის **გივი ქარქუზაშვილსა** და 30 წლის **თეიმურაზ ფარულავას** ერთად ბევრი მატჩი არ ჩაუტარებიათ.

ტრავმის გამო ბევრი გაუცდა კიდევ ერთ გამოცდილ ფეხბურთელს, 29 წლის **გელა ხუბუას**. სეზონის მსვლელობისას „მერანში" გამოჩნდა 24 წლის **ჯემალ გაბუნია**, რომელიც უმაღლეს ლიგას გარკვეული პაუზის მერე დაუბრუნდა.

## ნახევარდაცვა

ამ რგოლის კი არა, საერთოდ, გუნდის ლიდერი გახლდათ გამოცდილი ახალწვეული, 33 წლის **შოთა ბაბუნაშვილი**, რომელსაც საქართველოს ჩემპიონის ტიტული სამ სხვადასხვა გუნდში („ტორპედო", „დინამო", „ზესტაფონი") აქვს მოპოვებული.

ბაბუნაშვილი მართლაც გამორჩეული გახლდათ „მერანის" შემადგენლობაში და იმის გარდა, რომ გუნდის ყველა შეტევის ორგანიზატორი იყო, მეტოქეთა კარში 3 გოლის გატანაც მოახერხა. სხვათა შორის, პირველ ეტაპზე რამდენიმე ისეთი მატჩიც იყო, ბაბუნაშვილი... გამოკვეთილ ცენტრფორვარდად რომ მოგვევლინა.

სამწუხაროდ, ტრავმის გამო ბევრი მატჩი გამოტოვა კიდევ ერთმა გამოცდილმა ფეხბურთელმა, 29 წლის **გიორგი მელქაძემ**. სამაგიეროდ, გუნდის უკვე შეუცვლელ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა 19 წლის **პაპუნა ფონიავა**.

ერთობ საინტერესო შუახაზელია გუნდის ახალწვეული, 20 წლის **ბექა ციკოლია**. სხვათა შორის, სეზონის მსვლელობისას, როცა „მერანს" ტრავმების მართლაც ეპიდემია დაატყდა თავს, რამდენიმე ფეხბურთელსაც ხშირად უწევდა ამპლუის შეცვლა; ამას გარდა, რამდენიმე ისეთი შეხვედრაც იყო, მოედანზე გამოსვლა დუბლშემადგენლობიდან დაწინაურებულ 18 წლის ბიჭებს რომ უწევდათ.

## თავდასხმა

წინა სეზონში „მერანს" შეტევაში მართლაც არ უჭირდა: „ზესტაფონიდან" იჯარით გადმოყვანილმა **საბა ლომიამ** ხომ კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა (16 გოლი გაიტანა) და საუკეთესო ბომბარდირთა დავაში მხოლოდ და მხოლოდ **ჩისკოსა** და **ჯაბა დვალს** ჩამორჩა.

ამ სეზონის დაწყებამდე ლომია ისევ ზესტაფონში დაბრუნდა, აი, „მერანში" კი მისი ღირსეული შემცვლელი ვერ გამოჩნდა. ტრავმების გამო ბევრი გაუცდა გუნდის ერთ-ერთ სტაჟიან წევრს, 21 წლის **ლაშა კუჭუხიძეს**, ახალწვეულ **შალვა კვანტალიანსაც** არ ჰქონია ბევრი სათამაშო დრო, ხოლო ლეგიონერთა, **კრის ბანებასა** და **მარსიო სანტოსის** ეფექტიანობა, ფაქტობრივად, ნულის ტოლი იყო.

სამაგიეროდ, „მერანში" გამოჩნდა ერთობ პერსპექტიული და უნივერსალი ფეხბურთელი, 17 წლის **აკაკი შულაია**. ამ ნიჭიერ ჭაბუკს უმაღლეს ლიგაში დებიუტი 16 წლის ასაკში ჰქონდა და უკვე წამყვანი ქართული გუნდების ყურადღებაც მიიპყრო და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოიძახეს!

## საუკეთესო მატჩი

სეზონის სტარტზე „მერანმა" რამდენიმე გამორჩეული მატჩი ჩაატარა და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფაქტობრივად, ნეიტრალურ მოედანზე (სამტრედიაში) ზედიზედ ოთხი „საშინაო" შეხვედრაც მოიგო. თუმცა, ყველაზე გამორჩეული, ალბათ, ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან, „ჩიხურასთან" გამარჯვება იყო.

ამას გარდა, კიდევ ერთი მატჩი გვინდა აღვნიშნოთ: VII ტურში „მერანი" თბილისს სტუმრობდა და ერთობ თვალსასეირო და შედეგიან შეხვედრაში 2:4 დამარცხდა. წაგების მიუხედავად, „მერანს" ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია.

თანაც, იმ დროისათვის, ალბათ, ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ ეს იყო მალხაზ ჟვანიას... ბოლოსწინა მატჩი „მერანის" მთავარი მწვრთნელის რანგში; თანაც, იმ გუნდთან, რომლის თავკაციც ორი თვის მერე... თვითონ გახდა!..

## ყველაზე ცუდი მატჩი

სამწუხაროდ, ასეთი შეხვედრა „მერანს" ბევრი ჰქონდა პირველ ეტაპზე; თუმცა, ყველაზე უსუსურად გუნდი რუსთავში გამოიყურებოდა, როცა „მეტალურგმა" 6 გოლი გაიტანა „მერანის" კარში.

## მიზანი

21 სექტემბერი იყო, „მერანმა" ბოლნისის „სიონს" რომ მოუგო: აი, ამის შემდეგ გუნდს გამარჯვება არ მოუპოვებია (მხოლოდ ერთხელ ითამაშა ფრედ) და ამის შედეგად ის მოხდა, რომ ცხრილის ბოლო საფეხურამდე დაეშვა!

მოკლედ, რეალურად თუ ვიმსჯელებთ, „მერანის" მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა და, აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა რთული ამოცანის წინაშეა გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი **ზურაბ იონანიძე**. ჰო, ის იონანიძე, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი რომ გახლავთ და „ტორპედოსა" თუ „ზესტაფონის" შემადგენლობაში თავისი ხანგრძლივზე-ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არაერთი გამორჩეული მატჩი რომ ჩაუტარებია.

იონანიძეს უმაღლეს ლიგაში სამწვრთნელო დებიუტი ექნება, თანაც, უამრავი ახალწვეულით დაკომპლექტებულ გუნდში - პირველ ეტაპთან შედარებით „მერანის" შემადგენლობა ამ ზამთარს ხომ საგრძნობლად შეიცვალა...

**გია ტუხაშვილი**

### მერანის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

**18 მატჩი, 4 მოგება 1 ფრე, 13 წაგება, ბურთები: 14-36, ადგილი-XII**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | მერანი-სპარტაკი | 2:1 |
| II ტური | გურია-მერანი | 1:0 |
| III ტური | მერანი-ზუგდიდი | 2:0 |
| IV ტური | ვიტ ჯორჯია-მერანი | 3:0 |
| V ტური | მერანი-ჩიხურა | 3:2 |
| VI ტური | მერანი-სიონი | 2:0 |
| VII ტური | დინამო-მერანი | 4:2 |
| VIII ტური | მერანი-ტორპედო | 0:3 |
| IX ტური | მეტალურგი-მერანი | 6:1 |
| X ტური | მერანი-ზესტაფონი | 0:2 |
| XI ტური | დილა-მერანი | 3:0 |
| XII ტური | სპარტაკი-მერანი | 1:0 |
| XIII ტური | მერანი-გურია | 1:2 |
| XIV ტური | ზუგდიდი-მერანი | 0:0 |
| XV ტური | მერანი-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| XVI ტური | ჩიხურა-მერანი | 2:0 |
| XVII ტური | სიონი-მერანი | 2:0 |
| XVIII ტური | მერანი-დინამო | 0:2 |

**მერანი 2013/14**

მეკარეები: ჯონი შეროზია-17 (-33 გოლი), მიხეილ ხარშილაძე-1 (-3 გოლი);

მცველები: ლევან გეგეჭკორი-17, გივი ქარქუზაშვილი-16, კიჭი მელიავა-15, თეიმურაზ ფარულავა-12 (1), გელა ხუბუა-10, ჯემალ გაბუნია-8, ლაშა ლონლაძე-7 (1), გიორგი გეგია-5, ზვიად ლობჟანიძე-4, ლაშა ჯლამაია-2, ბეთა ხუბუა-2, ირაკლი ციცხვაია-1;

ნახევარმცველები: შოთა ბაბუნაშვილი-17 (3), შოთა კერძევაძე-13, პაპუნა ფონიავა-17 (1), ბექა ციკოლია-12 (2), გიორგი მელქაძე-11 (1), ირაკლი ქათამაძე-9, გიორგი ქარდავა-2, ბიჭიკო ფოცხვერაშვილი-1;

თავდამსხმელები: აკაკი შულაია-14 (2), ლაშა კუჭუხიძე-13 (3), შალვა კვანტალიანი-11, იმედა აშორტია-5, კრის ბანება-5, მიხეილ ქაჯაია-1, მარსიო სანტოსი-1.

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია (I-VIII ტური)
კახა ჩხეტიანი (IX-XVIII ტური)


ჯონი შეროზია — ფოტო: fcdinamo.ge

U17

# ჯობავას პოკერი

მინსკში გრძელდება 17-წლამდელ ნაკრებთა ტრადიციული გათამაშება „განვითარების თასი". B ჯგუფის პირველ ტურში **ნოდარ აკობიას** გაწვრთნილებმა ყაზახეთი რომ გაანადგურეს (6:0), უკვე იცით.

გუშინ კი ჩვენები კონკურენტ ირანს შეხვდნენ. ამ მატჩის ხილვის საშუალებაც გვქონდა და თავიდანვე გეტყვით - პატარა „ჯვაროსნებმა" მეტოქე აშკარად დაჩაგრეს, თუმცა ამაზე ანგარიშიც ნათლად მეტყველებს. მაგრამ აქვე შევთანხმდეთ - ცაში ფრენა არას გვარგებს. საქმე ის არის, რომ ირანმა ბელარუსში 15-წლამდელთა ნაკრებით ითამაშა, ხოლო ყაზახეთს 16-წლამდელები ჰყავს. ყველა დანარჩენი გუნდი 1997 წელს დაბადებულებითაა დაკომპლექტებული, მათ შორის - საქართველოც.

ჩვენებმა ეს უპირატესობა სათავისოდ გამოიყენეს. აკობიას შეგირდებმა შეხვედრა აგრესიულად და მაღალ ტემპში დაიწყეს და ასეც გააგრძელეს. უკვე მე-3 წუთზე საქართველოს ნაკრები „ოსერის" თავდამსხმელმა **გიორგი ჯობავამ** დააწინაურა - 1:0. 30-ე წუთზე ირანელთა კარის ბადე კიდევ ერთხელ შეირხა - ამჯერად თავი „ზესტაფონის" თავდამსხმელმა **ბექა მიქელთაძემ** გამოიჩინა - 2:0.

ქართველებმა მეტოქის კართან კიდევ არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ დანარჩენი გოლები მხოლოდ მეორე ტაიმში გაიტანეს: 44-ე წუთზე კუთხურიდან მოწოდებული ბურთისთვის ბრძოლაში ყველას ჯობავამ დაასწრო - 3:0.

51-ე წუთზე კი მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე ისევ ჯობავა გაიხსნა, მეკარე მოატყუა და ჰეთ-თრიქი შეასრულა - 4:0.

ჩვენებს მომენტები ამის შემდეგაც ჰქონდათ, ირანელებს კი ჩვენს საჯარიმომდე მოსვლა უჭირდათ. 65-ე წუთზე შეტევაში ჩართული „საბურთალოს" მცველი **ცოტნე ნადარაია** ბურთს საჯარიმოსთან დაეუფლა და ზუსტი დარტყმით სხვაობა კიდევ გაზარდა - 5:0.

70-ე წუთზე თავი „ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელმა **ერეკლე ლებანიძემ** გამოიჩინა და ხუთ წუთში დუბლიც მიითვალა - 7:0. საბოლოო წერტილი კი ისევ ჯობავამ დასვა და ესეც პოკერი! - 8:0. ჯობავა 5 გოლით ტურნირის ბომბარდირთა დავაშიც ლიდერობს.

აკობიას გუნდმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და 23 იანვარს, 1/4 ფინალში, A ჯგუფის მეორეადგილოსან ლიტვას შეხვდება, ამ ბარიერის დაძლევის შემთხვევაში კი 25 იანვარს ნახევარფინალს ითამაშებს. ლიტვა გაცილებით რთული მეტოქე იქნება. მინსკში ისინიც 17-წლამდელებით თამაშობენ. იმედია, ამ ბარიერსაც დავძლევთ.

**საქართველო-ირანი 8:0**

1:0 ჯობავა (4), 2:0 მიქელთაძე (30), 3:0 ჯობავა (44), 4:0 ჯობავა (51), 5:0 ნადარაია (65), 6:0 ლებანიძე (70), 7:0 ლებანიძე (75), 8:0 ჯობავა (80)

საქართველო: გოშაძე (53. კულუა), ქობულაძე, კაციტაძე, კევლიშვილი, ნადარაია, კომახიძე (53. ლებანიძე), კამლაძე (53. ართმელიძე), გოშთელიანი, კიკნაძე (41. მამუჩაშვილი), მიქელთაძე (53. კაპანაძე), ჯობავა.

**B ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 14-0 | 6 |
| ირანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-10 | 3 |
| ყაზახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-9 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**


საქართველო-ირანი

ფეხბურთელის ბედი

# მათეს ბრძოლა

**ყველა საქმეს იღბალი სჭირდება. ფეხბურთელისთვის ის განსაკუთრებულად ფასეულია, თუნდაც იმიტომ, რომ მრგვალ ბურთთან აქვს საქმე, ყველაზე დიდი ბედნიერება კი სპორტსმენისთვის ჯანმრთელობაა...**

**მათე ვაწაძე** ახლა დანიური „ორჰუსის“ ფეხბურთელია, მის გარდა ამ კლუბში კიდევ ორი ქართველია - **დავით დევდარიანი** და **დავით სხირტლაძე**. თითოეულმა მათგანმა სხვადასხვა გზა გაიარა დანიაში მისვლამდე. ვაწაძის გადაწყვეტილება კი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ უკვე შემდგარი ფეხბურთელი იყო და აღმოსავლეთ ევროპას, რუსეთსა თუ უკრაინას ევროპის დასავლეთი ნაწილი ამჯობინა. მათემ თითქოს უღელს დააღწია თავი...

მახსოვს, თბილისის „დინამოში“ რომ დგამდა პირველ ნაბიჯებს, მაშინ ამ გუნდის თავდასხმაში **სანდრო იაშვილი** იყო პირველი კაცი - საოცარი მონაცემებით დაჯილდოებული, ღონიერი, თავით დიდებულად მოთამაშე, უდავოდ ნიჭიერი ცენტრფორვარდი. თავიდან, ვაწაძე ასეთივე ეფექტური თავდამსხმელის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიკვლევდა გზას და აღმოჩნდა, რომ „საჯარიმოს ფორვარდისთვის“ ყველა საჭირო თვისება ჰქონდა. მცველთან ორთაბრძოლაში ადგილიდან ისე მოწყდებოდა, დასწრებაზე თამაშისთვის დიდ ფორას იქმნიდა, ბურთს იქ გააძვრენდა, სადაც ღრიჭო იყო და ბადეში ათავსებდა. ვაწაძეს ზოგი **ფილიპო ინძაგის** ადარებდა, დინამოელი თავდასხმელი არ კარგავდა დროს დრიბლინგისთვის, ეს მას არ სჭირდებოდა, ისედაც უსხლტებოდა დაცვას და თუ შეცდომაზე გამოიჭერდა მოწინააღმდეგეს, დანდობა არ იცოდა - გოლი გარდაუვალი ხდებოდა.

ქართველ ფეხბურთელს ახლა რეკლამა არ აქვს და ძალიან უჭირს კარგ უცხოურ გუნდში გადასვლა. ვაწაძემ „დინამოდან“ ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ მიაშურა. ტრანსფერი წარმატებული გამოდგაო, ვერ ვიტყვით, და ვაწაძეც ზოგმა ჩამოწერა - დიდ ფეხბურთს ვერ ითამაშებსო...

...მაგრამ ისე მოხდა, რომ გორის „დილაზე“ შეფობა შინაგან საქმეთა სამინისტრომ აიღო, საქმეში ჩაერთო **მამუკა ჯულელი...** მაშინდელი „დილა“ ძვირიან პროექტს წარმოადგენდა. ჯულელმა, ასე ვთქვათ, გუნდში „თავის“ ფეხბურთელებს მოუყარა თავი, ანუ მათ, ვის ტრანსფერებსაც აგვარებდა ჩრდილოელ მე-



მათე ვაწაძე თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ზობლებში. ვაწაძეც „დილაში“ მოხვდა და მძლავრადაც ათამაშდა საქართველოს ჩემპიონატში, თასის გათამაშებასა და ევროტურნირზე. ის უკვე ნამდვილ გოლეადორად მოგვევლინა, „მატადორად“, რომელიც ერთი მოქნევით აკრავდა ბეჭზე მოწინააღმდეგეს...

მოფულიანებული „დილას“ ისტორია ხანგრძლივი ვერ გამოდგა. ესეც რომ არა, მათემ ისე ჩინებულად ითამაშა ამ გუნდში, რომ უკვე დრო იყო ისევ უცხოეთში წასასვლელად.

ცხადია, ვაწაძემ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის, **თემურ ქეცბაიას** ყურადღებაც დაიმსახურა. ალბანეთთან ამხანაგურ შეხვედრაში **ლევან ყენიას** საოცარი პასით ვაწაძემ ეფექტური თავური გაიტანა, დასწრებაზე ჩინებულად ითამაშა და იმედიც გააჩინა, რომ ჩვენს ნაკრებს მალე მაღალი დონის ცენტრფორვარდი ეყოლებოდა...

ალბანეთთან თამაშის შემდეგ (შარშან, მარტში) ვაწაძემ დანიაში მძიმე ტრავმა მიიღო - თოვლიან ამინდში ხელოვნურ საფარზე მცველთან ორთაბრძოლაში ისე დაშავდა, საოპერაციო შეიქნა - კარიერა დამუხრუჭდა.

მათე ახლა „ორჰუსთან“ ერთად ვარჯიშობს, თუმცა სრულად გამოჯანმრთელებული ჯერ ვერ არის, იმ ფეხზე, რომელზეც ტრავმა მიიღო, კუნთი ორი სანტიმეტრით ნაკლები აქვს, ვიდრე საღ-სალამათ ფეხზე, ასეთ დროს კი სპორტსმენი დიდ დატვირთვებს, როგორც წესი, ვერ უძლებს. ამასობაში დრო გადის...

მძიმე ტრავმის შემდეგ სარეაბილიტაციო პროცესი რომ იწელება, ეს არაერთ ფეხბურთელს დამართნია, სპორტსმენი ამისთვისაც მზად უნდა იყოს. ვაწაძე 25 წლისაა და, ალბათ, ამ პრობლემასაც მოერევა.

**კახა ცხადაძე, შოთა** და **არჩილ არველაძეები, გოგა გახოკიძე**... ისინი ტრავმებს ბოლომდე ებრძოდნენ. მათაც არ გაუმართლათ, მაგრამ ეს ყველაფერი ფეხბურთის ნაწილია. ვაწაძისნაირი თავდამსხმელი კი ძალიან სჭირდება საქართველოს ნაკრებს. ამიტომაც დიდი ინტერესით ველოდებით მის სრულად გამოჯანმრთელებას, ბრძოლას ტრავმის დასამარცხებლად...

**დავით თავართქილაძე**

ქართველები უცხოეთში

# შოთა მახარაძე: თუ ვინმეს კაცი არ ხარ, საქართველოში არავინ გამუშავებს

**„ლელო“ ნოემბერში წერდა, რომ ტირასპოლის „შერიფში“ 34 წლის ქართველი სპეციალისტი შოთა მახარაძე მიიწვიეს - ცნობილი მწვრთნელის, თემურ მახარაძის ვაჟი. მახარაძე „შერიფის“ 1999 წელს დაბადებულთა გუნდის მთავარი მწვრთნელია და როგორც გვითხრა, შესაძლოა, მალე დუბლებში დააწინაურონ.**

**„ლელოსთან“ ინტერვიუში შოთა მახარაძე სხვა საინტერესო ამბავსაც ჰყვება...**

**- ჯერ იმით დავიწყოთ, თუ როგორ მოხვდით „შერიფში“?**

- ჩემი „სივი“ ჰქონდათ, ინფორმაციები თავადაც გადაამოწმეს, დაინტერესდნენ და შევთანხმდით. 16-წლამდელებს ვავარჯიშებ და უფრო პატარა ასაკის ყველა გუნდს ვკურირებ. მადლიერი ვარ ვაჟა თარხნიშვილის, რომელმაც რეკომენდაცია გამიწია. ამას გარდა, უკრაინელ და ხორვატ მწვრთნელებთან ერთად, „შერიფის“ ანალიტიკური ჯგუფის წევრი ვარ - ჩვენი და მეტოქე გუნდების მატჩების გარჩევა გვევალება, მათ შორის - მთავარი გუნდის და მისი მეტოქეების. სხვათა შორის, ევროპალიგაზეც ვიმუშავეთ.

**- ევროპალიგაზე „შერიფი“ შეხვდა „ტოტენჰემსაც“, რომელმაც ჩვენი „დინამო“ დაამარცხა...**

- ეს შეხვედრაც გავარჩიეთ. მთავარია, ჩემი მუშაობით კმაყოფილები დარჩნენ და არაა გამორიცხული, მალე დუბლებში გადამიყვანონ. ყველაზე კარგი ის არის, რომ პატარებიდან დავიწყე, „შერიფის“ სტრუქტურას გავეცანი და ასეც ჯობია. მათი პრინციპია - კლუბის სისტემაში თუ არ გაიარე სხვადასხვა საფეხური, ისე არ დაგაწინაურებენ. ასე დაიწყო ლეონიდ კუჩუკმაც, რომელიც ახლა მოსკოვის „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელია. ეს არის აწყობილი სისტემა - დისციპლინა და მყარი საფეხბურთო კონცეფცია.

**- ვაჟა თარხნიშვილის შესახებ რას გვეტყვით?**

- ის „შერიფის“ ცოცხალი ლეგენდაა. ფეხბურთელისადმი კლუბისა და ხალხის მსგავსი სიყვარული და პატივისცემა არსად მინახავს. ის ახლა „შერიფის“ სპორტული დირექტორია და მისი დამსახურებაც არის, ევროპალიგაზე კიდევ ერთხელ რომ მოხვდნენ. სამწუხაროდ, გუნდში ქართველები მარტო ჩვენ ვართ.

**- უცნაურია, რომ პატარა მოლდოვის გუნდი ასეთი წარმატებულია...**

- ცალსახად მინდა აღვნიშნო, რომ პოსტსაბჭოეთში „შერიფი“ და „შახტარი“ ყველაზე წარმატებული პროექტია. მაგრამ დონეცკელებს ლამის შეუზღუდავი ფინანსური საშუალებები აქვთ, ისინი დიდ ქვეყანას წარმოადგენენ. ევროპისა და ჩემპიონთა ლიგაში პატარა მოლდოვის გუნდის სისტემატური მოხვედრა კი ფანტასტიკაა. ეს არის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მოკლე პერიოდში სერიოზული გარღვევა მოახერხო და ტრადიცია ჩამოაყალიბო. არა მგონია, ეს მოდელი ჩვენთვის, ქართველებისთვის უინტერესო იყოს. 1999 წელს ჩამოყალიბებული კლუბი თავისი ქვეყნის უპირობო ლიდერი და ევროპაში დაფასებული გუნდია.

**- თქვენი აზრით, მსგავსი პროექტის საქართველოში განხორციელება შესაძლებელია?**

- საამისოდ სისტემის აწყობაა საჭირო. „შერიფში“ ყველა თავის ფუნქციას ასრულებს, ერთმანეთის საქმეში არავინ ერევა. მსგავსი კლუბის შექმნა საქართველოშიც შესაძლებელია, მით უფრო, რომ ძალიან დიდი რესურსი გაგვაჩნია და უნიჭიერესი ბავშვები გვყავს. მაგრამ ფეხბურთში, ისევე როგორც ცხოვრებაში, ყველაფერს დეტალები წყვეტს. ეს დეტალები კი პროფესიონალიზმია.



შოთა მახარაძე

**- რესურსი თუ გვაქვს, ხელს რა გვიშლის, ვითომ მხოლოდ უფულობა?**

- არა, უაზრო ამბიციებიც. ვითომ ყველამ ყველაფერი იცის და ყველა ყველას ასწავლის. მაგრამ რეალურად, პროფესიონალები ძალიან ცოტა გვყავს.

**- ლატვიაში გიმუშავიათ, ახლა მოლდოვაში საქმიანობთ. უცხოეთიდან ჩამოსული ქართული ფეხბურთის პრობლემებს უფრო ადვილად შეამჩნევდით...**

- ჩვენი პრობლემა არა იმდენად უფულობა და მწირი ინფრასტრუქტურაა, რამდენადაც სხვა - მუშაობა თუ გინდა, ვინმეს კაცი უნდა იყო. სწორედ ეს გვღუპავს. რაც უნდა ძლიერი იყო მოთამაშე ან მწვრთნელი, თუ ვილაც გავლენიანის პროტექციით არ სარგებლობს, არავინ აგიყვანს და დაიჩაგრები. საქართველოშიც მიმუშავია და ვიცი, რასაც ვამბობ. „შერიფში“ კი სულ სხვა რამ აინტერესებთ - სარგებლობა უნდა მოუტანო სისტემას და შენი წვლილი შეიტანო კლუბის მშენებლობაში. ჩვენთან პრობლემაა პროფესიონალიზმიც, განათლებაც და წინსვლის სურვილიც. ყოველდღე სიახლეს უნდა გაეცნოს როგორც მწვრთნელი, ასევე ფეხბურთელი. მომზადება, ტაქტიკა, ვარჯიშის მეთოდები ძალიან წინ წავიდა. ჩვენ კი მსოფლიოს ისე ჩამოვრჩით, რომ ამის აღმოფხვრა გაგვიჭირდება.

**- მოლდოვაში სელექციას როგორ აწარმოებენ?**

- ბავშვი იმ პერსპექტივით აჰყავთ, შეძლებს თუ არა ის ჩემპიონთა ლიგაში თამაშს და მერე ამისთვის სპეციალურად ამზადებენ. პატარა ასაკის გუნდები ხშირად დაგვყავს საერთაშორისო ტურნირებზე, რადგან ჩემპიონთა ლიგაში გასვლის შემთხვევაში, გუნდი 19-წლამდელთა ჩემპიონთა ლიგაშიც უნდა ვათამაშოთ. ამ მიზნებისთვის მუშაობა მსიამოვნებს და დიდი სტიმულიც მაქვს. მაგრამ სამუშაო მეთოდების შერჩევაშიც ზომიერებაა საჭირო. მიბაძვა დამღუპველია, ორიგინალი კი ყოველთვის შეუცვლელია. ჩვენთან ახლა ყველა „ბარსელონას“ ჰბაძავს, მაგრამ ქართველი ფეხბურთელის საუკეთესო თვისებებს ვერ ვავითარებთ და საბოლოო ჯამში ვკარგავთ. ჩვენი სტილი და მეთოდები საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე უნდა ვიპოვოთ. საამისოდ, დეტალების დაზუსტება, დისციპლინა და ხარისხის მკაცრი მოთხოვნაა საჭირო. ევროპალიგაზე „ტოტენჰემი“-“დინამოს“ შეხვედრები გავაანალიზე. ლონდონელებმა უზარმაზარი უპირატესობა იმის ხარჯზე მოიპოვეს, რომ ყველა დეტალში უკეთესები იყვნენ.

**- ამ ჩამორჩენას ოდესმე თუ მოვსპობთ?**

- დარწმუნებული ვარ, პროტექციას თუ მოვსპობთ, ჩამორჩენაც თანდათან შემცირდება. რა გგონიათ, მოლდოვამდე საქართველოში მუშაობა არ მსურდა? არც განათლება მაკლია და არც პრაქტიკა: ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, მწვრთნელობას გერმანიაში, ჰილდესჰაიმის სპორტული მეცნიერების უნივერსიტეტში ვეუფლებოდი და A-ლიცენზია მაქვს. პრაქტიკა გერმანულ სამოყვარულო გუნდშიც მქონდა, „ნორჩი დინამოს“ ასაკობრივ ჯგუფებში და პირველი ლიგის გუნდშიც, „დაუგავას“ საფეხბურთო აკადემიის მთავარი მწვრთნელი ვიყავი და დუბლებისაც, ბოლოს კი მამაჩემს, თემურ მახარაძეს, უმაღლესი ლიგის გუნდის გორის „დილას“ საწვრთნელ პროცესში ვეხმარებოდი. მუშაობაც მსურს. უცხო ქვეყანაში ადგილის დამკვიდრება ადვილი არ არის, მით უფრო, „შერიფის“ დონის კლუბში. მაგრამ საქართველოში ნორმალური სამუშაო ვერ ვიპოვე და სხვა რა გზა მქონდა?!

**მერაბ მამულაშვილი**

ჩვენებურები

# მეკარე მახარაძე უკრაინის ნაკრებში





ზაურ მახარაძე

წლეულს, 24 იანვრიდან 2 თებერვლამდე, „თანამეგობრობის თასს“ სანკტ-პეტერბურგი უმასპინძლებს. მისი ტრადიციული მონაწილეა უკრაინის ნაკრები, რომლის მთავარმა მწვრთნელმა **სერგეი კოვალეცმა** რუსეთში გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა.

შარშანდელ ტურნირზე მან უკრაინული პასპორტის მქონე სამი ქართველი ათამაშა: მცველები - **დავით იაშვილი, ბადრი აქუბარდია** და შემტევი ნახევარმცველი **ირაკლი მესხია**. ამჯერად, კოვალეცის რჩეულთა შორის მხოლოდ ერთი ჩვენებური მოხვდა - დონეცკის „ოლიმპიკის“ მეკარე **ზაურ მახარაძე**.

20 წლის მახარაძე სიმაღლით (180 სმ) არ გამოირჩევა. ამის მიუხედავად, ის „ოლიმპიკის“ უცვლელი პირველი ნომერია: უკრაინის პირველ ლიგაში 20 ტური გაიმართა და ზაურმა ყველა შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა, ხოლო „ოლიმპიკი“ 44 ქულით ერთპიროვნული ლიდერია და უახლოეს მდევარ „ოლექსანდრიას“ 8 ქულით უსწრებს.

ასე რომ, დონბასურ გუნდს უკრაინის პრემიერლიგაში გადასვლის მშვენიერი შანსი აქვს, მახარაძეს კი - საკუთარი შესაძლებლობების უფრო მაღალ დონეზე წარმოჩენის. სხვათა შორის, ინტერნეტგამოცემა „ფუტბოლმა“ წარმოშობით ქართველი მეკარე უკრაინის პირველი ლიგის საშემოდგომო ეტაპის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა და იქვე დაწერა, რომ მეკარე, რომელიც 2012/13 წლების სეზონში სათადარიგო იყო, მიმდინარე სეზონში „ოლიმპიკს“ ლიდერად მოევლინა.

ზაური ოდესის რაიონის ქალაქ ბალტაში დაიბადა და იქვე გაიზარდა. 12 წლის იყო, როცა პირველმა მწვრთნელმა დონეცკის „ოლიმპიკს“, ერთი წლით უფროსი ასაკის რამდენიმე მოთამაშესთან ერთად, მახარაძის აყვანაც ურჩია. კონტრაქტი რომ გაუფორმეს, 16 წლისა იყო. ზაურს უკრაინის 16, 17, 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებში უთამაშია.

უკრაინული მედია წერდა, რომ მახარაძით უკრაინის პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული. შარშან ზაფხულში ის ერთ-ერთ გუნდში სინჯებზეც მიიწვიეს, მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა. როგორც ჩანს, 20 წლის გოლკიპერმა ამ ერთი წლის განმავლობაში თვალსაჩინო პროგრესს მიაღწია, თორემ ამ ასაკში პირველი მეკარე ყველა ვერ ხდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი



გიორგი დიაკვნიშვილი (ბურთით) „იურმალას“ კარს უტევს

## დიაკვნიშვილმა ლატვიაში გაიტანა

ლატვიაში საფეხბურთო სეზონი ლიგის თასის გათამაშებით დაიწყო. 10 კლუბი ორ ჯგუფად არის გაყოფილი. ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასულები ფინალში ითამაშებენ, მე-2 ადგილოსნები მე-3 ადგილისთვის მატჩში, მე-3 ადგილოსნები მე-5 ადგილისთვის მატჩში და ასე შემდეგ.

მატჩები რიგის მანეჟში იმართება და ლიგის თასის მფლობელი ევროსაგზურს არ მოიპოვებს. ასე რომ, ეს ტურნირი (მიუხედავად ოფიციალური სტატუსისა), მაინც უფრო მოსამზადებელი ეტაპია.

A ჯგუფში „იელგავამ“ 7:0 გაანადგურა „იურმალა“. ამ შეხვედრაში თავი გამოიჩინა „იელგავას“ ახალწვეულმა **გიორგი დიაკვნიშვილმა**. 30-ე წუთზე მან გუნდის მე-4 გოლი გაიტანა. დიაკვნიშვილის ყოფილი გუნდი რიგის „დაუგავა“ კი 3:3 დაუზავდა „გულბენეს“.

26 წლის დიაკვნიშვილმა შარშან „დაუგავაში“ 22 მატჩში 1 გოლი გაიტანა.

## გია გრიგალავა გერმანელებს დაუზავდა

მახაჭყალის „ანჟიმ“ თურქულ შეკრებაზე 2014 წლის პირველი მატჩი გამართა - რუსული პრემიერლიგის აუტსაიდერი გერმანული რეგიონალლიგის „აიხედეს“ დაუზავდა - 1:1. ამ შეხვედრაში „ანჟის“ ქართველმა მცველმა **გია გრიგალავამ** პირველი ტაიმი ითამაშა, რომელიც 0:0 დასრულდა.

საინტერესოა, რომ გრიგალავა ქართველმა შეცვალა - **გია ჯიქიამ**, რომელიც „ანჟიში“ სინჯებზეა.ეს ფეხბურთელი 20 წლისაა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ დუბლებში თამაშობდა. ჯიქია რუსეთის მოქალაქეა.

## ნავალოვსკის სკა-ენერგიამ ებრაული კლუბი გაანადგურა

ისრაელისშეკრებაზე „სკა-ენერგიამ“ 4:0 გაანადგურა ებრაული „კირიათ-განი“. ამ მატჩში რუსული კლუბის რიგებში მეორე ტაიმი ითამაშა ქართველმა ლეგიონერმა **გიორგი ნავალოვსკიმ.**

აღსანიშნავია, რომ პირველი გოლი **ნათან ჟუნიორის** ანგარიშზეა, გორის „დილას“ ყოფილი ფეხბურთელის, რომელიც შემოდგომით გადავიდა „სკა-ენერგიაში“.

გუნდს მეორე შეკრებაზე შეუერთდება **გოგიტა გოგუა.** ასევე მეორე შეკრებაზე უნდა შეუერთდეს გუნდს „დილას“ მცველი **კახა ალადაშვილი**, თუმცა ამ ეტაპზე „სკა-ენერგიას“ ახალი ფეხბურთელების დარეგისტრირების უფლება ჩამოართვეს.

## ოქრიაშვილის მეორე მატჩი ჩერნომორეცში

თურქულ შეკრებაზე მყოფმა ოდესის „ჩერნომორეცმა“ მეორედ ითამაშა საკონტროლო მატჩი. უკრაინულმა კლუბმა 2:0 დაამარცხა „უნივერსიტატია“.

შეგახსენებთ, რომ „ჩერნომორეცში“ სინჯებზე იმყოფება (უკრაინელთა ოფიციალური ვერსიით) საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილი,** თუმცა თავად ფეხბურთელმა „ლელოს“ განუცხადა, რომ იჯარით „ჩერნომორეცში“ ითამაშებს.ჩვენებურმა მეორე ტაიმი ითამაშა, თუმცა უკრაინულ მედიას არაფრით გამოურჩევია.

## ყაზაიშვილმა დუბლების ჩემპიონატში ითამაშა

**ვაკო ყაზაიშვილმა** არნემის „ვიტესის“ შემადგენლობაში ჰოლანდიის ჩემპიონატის სარეზერვო გუნდების პირველობაზე ითამაშა.

„ვიტესმა“ სტუმრად 4:2 დაამარცხა „ჰერაკლესი“ და ქართველმა შემტევმა ნახევარმცველმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

მართალია, მას არ გაუტანია, მაგრამ აქტიური იყო და ორი საგოლე მომენტიც ჰქონდა. მე-4 გოლი კი მას მერე გავიდა, რაც ყაზაიშვილის დარტყმული გოლკიპერმა მოიგერია.

შეგახსენებთ, რომ „ვიტესში“ **გურამ კაშია** და **გიორგი ჭანტურიაც** თამაშობენ. ძირითადი გუნდი „ნეიმეგენთან“ დერბისთვის ემზადება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვაკო ყაზაიშვილი

სტატისტიკა

# ბარსელონამ ყველაზე მეტი გაზარდა

ევროპის წამყვან ხუთ საფეხბურთო ჩემპიონატში ყველაზე მეტი ფეხბურთელი „ბარსელონას“ აღზრდილი გახლავთ. სწორედ ასეთ დასკვნამდე მივიდა შვეიცარიული კომპანია CIES, რომელმაც ესპანეთის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის და საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე 2 532 ფეხბურთელის წარსულს გადახედა. როგორც გაირკვა, ხუთ წამყვან ლიგაში „ბარსელონას“ აღზრდილი 44 ფეხბურთელი თამაშობს, აქედან 16 მოთამაშე სწორედ კატალონიურ გუნდში ირიცხება. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, მეორე ადგილზე „ლიონი“ გახლავთ, რომელიც ამ პოზიციას მადრიდის „რეალთან“ იყოფს - 31 ფეხბურთელი. „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ მეხუთე და მეექვსე ადგილზე არიან. ლიდერებშია კიდევ ერთი ფრანგული კლუბი „რენი“, ვინც დიდ სცენაზე 28 მოთამაშე დააკვალიანა.

საინტერესოა ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სხვა გამოკვლევების შედეგებიც:

- მიუხედავად უეფას მკაცრი მოთხოვნებისა, იმ ფეხბურთელთა რაოდენობამ, რომლებიც აღმზრდელ კლუბში თამაშობენ, სარეკორდოდ დაბალ ნიშნულს მიაღწია: 21,2%
- იმ ფეხბურთელთა რაოდენობამ, რომელთაც მშობლიური ქვეყანა ერთხელ მაინც დაუტოვებიათ, ასევე სარეკორდო ზღვარს მიაღწია: 49,3%
- ყველაზე მეტი ლეგიონერი ინგლისის პრემიერლიგაში თამაშობს (60,4%), კლუბებიდან კი გამორჩეული „ინტერია“ (89%)
- ყველაზე მეტი წარმომადგენელი ბრაზილიას ჰყავს, თუმცა 2009 წლიდან მოყოლებული მათი რაოდენობა 67-ით შემცირდა - 538-დან 471-მდე. სამაგიეროდ, გაიზარდა ფრანგების რაოდენობა: 247-დან 306-მდე.
- ყველაზე მეტად ევროპის მასშტაბით, სატრანსფერო ბაზარზე სამხრეთული კლუბები აქტიურობენ. მაგალითად, კვიპროსში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, თითო კლუბი საშუალოდ 14,1 ახალ ფეხბურთელს იმატებდა, შვედეთში კი მხოლოდ 5,3-ს.
- ყველაზე ტანმაღალი ლიგა ბუნდესლიგაა (183,8 სმ), ყველაზე დაბალი ესპანეთი - 180,1.
- გამოკვლეული 472 კლუბიდან, ყველაზე დაბალი გუნდი ისრაელის „ბნეი სახნინს“ ჰყავს, მეორე ადგილზე კი „ბარსელონაა“ (177,4 სმ).
- პროპორციულად, ყველაზე მეტი ფეხბურთელი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში მინიმუმ ერთი მატჩი მაინც ჩაუტარებია პრემიერლიგაში თამაშობს (44,3%). კლუბებში კი ამ მხრივ „ჩელსი“ გამოირჩევა (80%), რომელმაც „მანჩესტერ სიტის“ და „ფენერბაჰჩეს“ სულ ცოტათი აჯობა.
- ყველაზე სტაბილური გუნდი „ბარსელონას“ ჰყავს. ფეხბურთელებს ამ კლუბში საშუალოდ 5,5 წელი აქვთ გატარებული. კატალონიელების გარდა, ერთადერთი კლუბი ევროპაში, სადაც მოთამაშეები საშუალოდ 5 წელია თამაშობენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახლავთ.
- თუ „ბარსელონა“ ევროპის ხუთ ჩემპიონატში ლიდერობს, 31 ჩემპიონატის მასშტაბით (11 653 ფეხბურთელი), ყველაზე მეტი ფეხბურთელი „აიაქსს“ ჰყავს აღზრდილი - 69. მეორე ადგილზე ბელგრადის „პარტიზანია“, „ბარსა“ კი მესამე პოზიციას იკავებს.

**ტატო ბაციკაძე**



„ბარსელონას“ აკადემიის ახალი შენობა, „ახალი ლა მასია“

ამბები

## ესპანური კლუბები სკანდალში

ესპანური კლუბები სკანდალში გაეხვივნენ - ევროკავშირის კომისია 7 ესპანური კლუბის ფინანსური მაქინაციების საკითხს შეისწავლის, რომელთა შორის „რეალი“ და „ბარსელონა“ არიან.

დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ხმები, რომ ევროკავშირის კომისია მიუნხენის „ბაიერნის“ საკითხსაც სწავლობდა, თუმცა ეს ინფორმაცია მიუნხენელთა ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** უარყო: *„მსგავსიც არაფერი ხდება. როცა ამ ხმების შესახებ შევიტყვე, გავოგნდი, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ მათ სიმართლესთან საერთო არა აქვთ. ვიცი მხოლოდ, რომ საუბარია ესპანურ კლუბებზე, რაზეც ძალიან ვწუხვართ, მით უფრო, რომ ფლორენტინო პერესი ჩემი მეგობარია“*, - განაცხადა 58 წლის კალემ.

## გაცვლა არ იქნება

მილანის „ინტერმა“ ოფიციალურად შეაჩერა გაცვლა, რომლის წყალობითაც **მირკო ვუჩინიჩი** ტურინის „იუვენტუსიდან“ მილანურ კლუბში უნდა გადასულიყო, სანაცვლოდ კი **ფრედი გუარინი** „ბებერი ქალბატონის“ რიგებში გადაბარგდებოდა. 20 იანვრისთვის ეს გარიგება თითქმის განხორციელებული იყო, თუმცა „ინტერმა“ მოლაპარაკება მოულოდნელად შეწყვიტა: *„ტექნიკურად და ფინანსურად ეს გაცვლა კლუბს არ აწყობს“*, - ნათქვამია „ინტერის“ ოფიციალურ განცხადებაში.

## ვიდიჩი სამი მატჩით დასაჯეს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი **ნემანია ვიდიჩი** პრემიერლიგის ხელმძღვანელობამ 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. 22-ე ტურში „ჩელსის“ წინააღმდეგ ვიდიჩმა მატჩის მიწურულს წითელი ბარათი მიიღო. შეგახსენებთ, რომ ეს შეხვედრა „ჩელსიმ“ 3:1 მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პროტესტი

## კიევის დინამოსა და დნიპროს ულტრასები ევრომაიდანზე იკრიბებიან

კიევის „დინამოსა“ და „დნიპროს“ ულტრასებმა მიიღეს გადაწყვეტილება ერთად დაიცვან ევრომაიდანი, უკრაინელთა რევოლუციის ეპიცენტრი.

დინამოს“ ფანატთა კლუბი WBC ღამისთვის ეკიპაჟებს აკომპლექტებს, რომელთაც მანქანებით პატრულირება და მოამბოხეთა დაცვა დაევალება. ულტრასები ხალხს მოუწოდებენ, თან იქონიონ თავდაცვის საშუალებები, ჩაიცვან ჯავშანჟილეტები და მოიმარაგონ სამედიცინო პრეპარატები.

ორივე კლუბის ულტრასები აცხადებენ, რომ არ არიან ოპოზიციის მხარეს და არ გამოხატავენ მათ პოლიტიკურ ინტერესებს, უბრალოდ იცავენ ამბოხებულ მოქალაქეებს. *„ჩვენ არ ვართ რუსეთის და რუსების წინააღმდეგები, ჩვენ ვიცავთ კიეველებს. ჩვენ გამოვდივართ, ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი ღირსებისთვის“*, - ნათქვამია განცხადებაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო ცვლილება

# ლივორნო დი კარლოს ჩააბარეს

## კომუნისტების მესამე მწვრთნელი 8 დღეში


მიმო დი კარლო

იტალიურ „ლივორნოს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - **დომენიკო „მიმო“ დი კარლო.** „კომუნისტების“ პრეზიდენტი **ალდო სპინელი მაურიციო ძამპარინის** კვალს დაადგა... 13 იანვარს მან **დავიდე ნიკოლა** მოხსნა პოსტიდან და გუნდი **ატილიო პეროტის** ჩააბარა. როგორც ჩანს, სპინელი პეროტისგან რაიმე სასწაულს ელოდა, რომელიც არ მოხდა და 20 იანვრისთვის ის უკვე მოხსნილი იყო. იტალიურ მედიას არ გამოჰპარვია ის ფაქტი, რომ 20 იანვარსვე სპინელი, გუნდის სპორტულ დირექტორთან **სტეფანო კაპოცუკასთან** ერთად, ნიკოლას შეხვდა და თითქოს 40 წლის სპეციალისტი პოსტზე უნდა დაებრუნებინათ. შეგახსენებთ, რომ „ამარანტო“ სერია B-დან სწორედ ნიკოლამ ამოიყვანა. თუმცა მისი კვალიფიკაცია თავიდანვე ეჭვქვეშ დადგა და ამბობდნენ, „ლივორნოს“ სეზონის დაწყებამდე სხვა მწვრთნელს ჩააბარებენო. მერე, ტოსკანელებს კარგი სერია ჰქონდათ და გუნდმა ახალგაზრდა სპეციალისტი 2015 წლის ზაფხულამდე დაიბევა, მაგრამ ამას ჩავარდნა მოჰყვა და ნიკოლაც მოხსნეს. იმ „საიდუმლო სერობის“ მიუხედავად მისი დაბრუნება არ შედგა. ძნელი სათქმელია, რაზე ვერ შეთანხმდნენ მხარეები შეხვედრისას, მაგრამ ფაქტია, საბოლოოდ „ლივორნოს“ 8 დღეში მესამე მწვრთნელი ჰყავს.

დი კარლოს ბოლო ნავსაყუდელი „კიევო“ იყო. იქამდე, იგი „სამპდორიაში“ მუშაობდა და წესით, ეს სპეციალისტი თქვენთვის კარგად ნაცნობი უნდა იყოს. ვნახოთ, რამდენად გამოუვა მას გუნდის დროულად გამოყვანა კრიზისიდან, თორემ სპინელის მწვრთნელის მოხსნა რომ არ გაუჭირდება, ძნელი მისახვედრი აღარ არის.

დღეისათვის, „ლივორნო“ 20 ტურიდან 13 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა და ქულებით ვერც ბოლოადგილოსან „კატანიას“ სჯობს.

ინტერი

# მაცარი პატივისცემას ითხოვს

მილანის „ინტერი“ ღრმა კრიზისშია: გუნდს ბოლო ორ თვეში ყველა ტურნირის გათვალისწინებით, ერთადერთი მოგება აქვს! „ნერაძურის“ ახალმა მფლობელმა და პრეზიდენტმა **ერიკ ტოჰირმა** არაერთხელ თქვა, „ინტერში“ ახალი ერა მომავალი სეზონიდან დაიწყებაო, მაგრამ გულშემატკივრებს ცხადია, არ სიამოვნებთ საყვარელი კლუბის ასეთ დღეში ხილვა და როგორც პრესის, ასევე ქომაგების მხრიდან, ჯოხი ხშირად მთავარ მწვრთნელ **ვალტერ მაცარიზე** ტყდება. „ლარიბების მოურინიოს“ კი კრიტიკა არ უყვარს და პასუხის გაცემაც ეხერხება. იგი მიიჩნევს, რომ სხვა პრობლემებთან ერთად ბევრი რამ უიღბლობის ბრალიცაა და მსაჯების შეცდომებისაც. გარდა ამისა, რასაკვირველია, არ სიამოვნებს, როდესაც „ინტერში“ მის მოღვაწეობას **ანდრეა სტრამაჩონის** ცუდ პერიოდს ადარებენ.

*„მე ვიცი, როგორც ხდება ამ სამყაროში... ეს მარტო ჩემთან კი არა, სხვებთან მიმართებაშიც ხდება და ადვილი დასანახია - ზოგჯერ 10-წლიან წარმატებულ კარიერასაც წუთში გივიწყებენ. ამას ჩემს წინამორბედთან შედარების გამო კი არა, ზოგადად ვამბობ. ყველაფერს ცოტა სხვაგვარად უდა შევხედოთ. მე ყველას პატივს ვცემ, როდესაც მეც პატივს მცემენ. ხოლო თუ პატივს არ მცემენ, ასეთი ხალხი არ მადარდებს და ჩემი საქმის კეთებას ვაგრძელებ. აქამდე ოდესმე შემიხსენებია, რომ ზაფხულში „რომას“ წინადადებაზე ვთქვი უარი? ან მინანია? მე მჯერა, რომ არასდროს არ უნდა ინანო ის, რაც გააკეთე. ამ ახალ თავგადასავალში მთელი არსებით, სულითა და გულით გადავეშვი. საქმის კეთება დიდი შემართებითა და ვნებით დავიწყე. სხვაგვარად არც წარმომიდგენია. როდესაც „ინტერიდან“ დამიკავშირდნენ, ადრენალინის მოზღვავება ვიგრძენი. სანამ აქ ვმუშაობ, ყოველთვის ბოლომდე დავიხარჯები, არასდროს ვიფიქრებ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო, სხვა არჩევანი რომ გამეკეთებინა და ჩვეული ვნებით ვიმუშავებ, „ინტერში“ ახლა ისტორიული პერიოდია, გუნდში სერიოზული ცვლილებებია და მე ახლაც ბოლომდე მჯერა ამ პროექტის“* - განაცხადა მაცარიმ.

### ტოჰირი რომ მილანში იყოს...

„ნაპოლის“ ყოფილ თავკაცს ისიც ჰკითხეს - ხომ არ თვლით, ერიკ ტოჰირი იტალიაში რომ გადმობარგდეს და კლუბის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში ჩართული იყოს, საქმე უკეთ წავიდოდაო. ყოველ შემთხვევაში, ინტერისტების დიდი ნაწილი ასე ფიქრობს და **მასიმო მორატიმაც** მოუწოდა ინდონეზიელს მილანში გადაბარგებისა და თამაშებზე დასწრებისკენ.

*„არ მგონია, რომ ტოჰირის არყოფნა სერიოზულ გავლენას ახდენდეს ჩვენს თამაშზე. არ ვთვლი, რომ ხელმძღვანელობის მხრიდან რაიმე სხვაგვარად უნდა კეთდებოდეს და რამე კარგად არ კეთდება. აქ არიან მარკო ბრანკა, პიერო აუზილიო, ივან კორდობა და კიდევ უამრავი ადამიანი, რომლებიც გუნდზე ზრუნავენ. ცხადია, მხოლოდ მესიამოვნებოდა, პრეზიდენტიც რომ მუდმივად ჩვენთან ერთად იყოს, თანაც ასეთი რთული პერიოდისას, მაგრამ განსაკუთრებულ პრობლემას ამაში ვერ ვხედავ. თავს მარტო სულაც არ ვგრძნობ, არც ყურადღება მაკლია და არც მხარდაჭერა. ზოგადად, როდესაც ხელმძღვანელობის ცვლილება სეზონის შუაში ხდება, ეს ისედაც დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან. თუნდაც ის ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ სამაგალითოდ, რომ მე მწვრთნელად მაშინ დავინიშნე, როდესაც პრეზიდენტი ჯერ კიდევ მორატი გახლდათ. თუმცა ვფიქრობ, ყველაფერი მალე დალაგდება. ალმასვლები და დალმასვლები ნებისმიერ გუნდს აქვს, ისეთსაც კი, როგორიც „ბარსელონაა“. ჩვენ ჯერ კიდევ მეხუთე ადგილზე ვართ, „ლაციოსა“ და „მილანის“ დარ გუნდებს ვუსწრებთ და ბრძოლას ვაგრძელებთ“* - აღნიშნა მაცარიმ.

### პერეირა სამხრეთ ამერიკაში დაბრუნდა

„ინტერმა“ **ალვარო პერეირა** გაუშვა. ურუგვაელი ვერაფრით დამკვიდრდა მილანელთა ძირითადში და თითქოს ევროპის მასშტაბითაც ჰყავდა მსურველები, მაგრამ საბოლოოდ იგი ბრაზილიაში გადაბარგდა და წელიწადნახევრიანი არენდით „სან პაულუში“ ითამაშებს. ამ კლუბს შეეძლება პერეირა გამოისყიდოს, თუ მასში 7 მილიონ ევროს გადაიხდის.

*„ეს ტრანსფერი ძალიან მახარებს. მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და წარმატებულ გუნდში ვითამაშებ. მსურს სხვა ურუგვაელებს მივბაძო, რომლებსაც წარსულში დიდი წარმატებით აქვთ „სან პაულუში“ ნათამაშები. აქ გაჩერებას დიდხანს ვაპირებ და მინდა ფანები კარგი თამაშით გავახარო“* - თქვა პერეირამ.


ვალტერ მაცარის „ინტერი“ კრიზისშია

ნაპოლი

# ნეაპოლური ვნებათაღელვა

„ნაპოლის“ ლიდერი **მარეკ ჰამშიკი** ამბობს, რომ მისი გუნდი მეორე ადგილისთვის იბრძვის და სკუდეტოს მოგება უკვე არარეალურია. 26 წლის სლოვაკის აზრით, იგი **ვალტერ მაცარის** ხელში უკეთ თამაშობდა, მაგრამ მან ამასაც თავისი ახსნა მოუძებნა და აღნიშნა, **რაფაელ ბენიტესისა** და ახალი პროექტის მჯერაო. ნეაპოლიტანელთათვის ყველაზე სასიხარულო კი მის სიტყვებში ის იყო, რომ ჰამშიკმა კიდევ დიდი ხნით დაუკავშირა თავი „ვეზუვიანის“, არსად წასვლას არ ვაპირებო.

*„ჩვენ მეორე ადგილისთვის ვიბრძვით, რათა პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოვხვდეთ, „რომა“ არც ისე შორსაა. სკუდეტოს მოპოვება ძალიან ძნელი იქნება, სამწუხაროდ, „იუვენტუსს“ შესანიშნავი სერია აქვს, საგრძნობლად წინაა და არა მგონია ამდენი ქულა დაკარგოს. „ფიორენტინა“? დიახ, ფლორენციელები მოგვიახლოვდნენ და მათი ნახევარდაცვა ძალიან მომწონს, ანდერსონი „იებს“ ნამდვილად გამოადგებათ. „რომაში“ ყველაზე მეტად მირალემ პიანიჩი მომწონს, მას რამდენიმე წელია ვაკვირდები. დედაქალაქელები ძალიან კარგად ასპარეზობენ, მათ ასეთ თამაშს არ ველოდი, მაგრამ არა მგონია, რომ „რომას“ გადასწრება არ შეგვიძლია. ჩემი თავით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი ვარ, წინა წლამდე ყოველთვის მარცხენა ნახევარმცველად ვთამაშობდი, ბენიტესის მოსვლის მერე კი, გარკვეული ცვლილებაა. შესაძლოა, მაცარის დროს უკეთ გამოვიყურებოდი, მაგრამ ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამ მწვრთნელთან ერთად დიდი ხანი ვიმუშავე. ვწუხვარ თუ არა, რომ „ინტერში“ მისი საქმეები კარგად არ მიდის? კი, ვწუხვარ პირადად მაცარის გამო და არა „ინტერზე“. სანამ აქ თავს ბედნიერად ვიგრძნობ და გუნდისთვის მნიშვნელოვანი ვიქნები, წასვლაზე არ ვიფიქრებ. „ნაპოლის“ მაისურით კიდევ 200 მატჩის ჩატარებას ვაპირებ. არ ვიცი, ვარ თუ არა ლიდერი, ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს. სიმორცხვის გამო არა, ზოგადად. ვფიქრობ, ამ კუთხითაც კიდევ უფრო უნდა გავიზარდო და მოვუმატო“* - განაცხადა ჰამშიკმა.



მარეკ ჰამშიკი

### გონალონის უარის მიზეზი

პარალელურად, „სან პაოლოს“ ბინადრები სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აგრძელებენ. როგორც იცით, „ნაპოლი“ დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა „ლიონიდან“ **მაქსიმ გონალონის** გადაყვანას და თითქოს, ამით თავად ფეხბურთელიც დაინტერესებული გახლდათ, მაგრამ... აქამდე ვიცოდით, რომ ბოლო წამს ფრანგულმა კლუბმა ახალგაზრდა ნახევარმცველის ფასი გაზარდა და შეთანხმება ამან ჩაშალა, საქმე სხვა რამეში ყოფილა, ამას თავად გონალონი გვეტყვის.

*„მართალია, რომ „ნაპოლის“ მწვრთნელსა და პრეზიდენტს ვესაუბრე. თუმცა ბოლო მომენტში „ლიონს“ ვერ ვუღალატე, მე ამ გუნდის კაპიტანი ვარ და მინდა მის წევრად დავრჩე. ასევე, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა მსურს“* - განაცხადა გონალონმა.

### იტალიაში მხოლოდ ნაპოლი

კარგი ამბავი „ვეზუვიანის“ ფანთათვის, ანუ მთელი ქალაქისთვის ისაა, რომ **ესეკიელ ლავეცის** თქმით, თუ იგი იტალიაში დაბრუნდება, მისი პირველი არჩევანი სწორედ „ნაპოლი“ იქნება და მხოლოდ მერე განიხილავს,სხვა შემოთავაზებებს. თუ როგორ უყვართ „პოჩო“ ნეაპოლიტანელებს ამას თქმაც არ უნდა, არგენტინელს **დიეგო მარადონასავით** აღმერთებდნენ. ბოლო დროს, ლავეცის ხშირად უკავშირებდნენ „ინტერს“, მაგრამ თავად თავდამსხმელის თქმით, მილანელები მას არ შეხმიანებიან.

ესეკიელ ლავეცი: *„თუ ვალტერ მაცარი დამირეკავს, მე მას ვუპასუხებ, მაგრამ „ინტერის“ მხრიდან არანაირი კონტაქტი არ ყოფილა. ეს ყველაფერი ჭორია, სიმართლე კი ის არის, რომ პსჟში ვარ და თავს აქ კარგად ვგრძნობ. თუ იტალიაში დავბრუნდები, ჩემი პირველი არჩევანი „ნაპოლი“ იქნება, რომელიც სამუდამოდ ჩემს გულშია. ვფიქრობ, რაფაელ ბენიტესი ძალიან კარგად მუშაობს და ფანები კმაყოფილები უნდა იყვნენ“.*

### მესტალიისკენ

ამასობაში, როგორც ჩანს, „ნაპოლიმ“ ახალი თავშესაფარი უპოვა **ედუ ვარგასს**, რომელიც თავის დროზე დიდი იმედით მოიყვანეს, მაგრამ მისი ნეაპოლური კარიერა არ აეწყო. ჩილელი „გრემიოში“ იყო განათხოვრებული, ახლა კი ალბათ „ვალენსიაში“ ჩაირიცხება, სადაც არგენტინელი მწვრთნელი **ხუან ანტონიო პიცი** ვარგასს ალბათ უკეთ „გახსნის“ და აათამაშებს. 24 წლის შემტევი, წესით, დღეს შეათანხმებს ყველა დეტალს „მესტალიას“ ბინადრებთან და თუ მხარეები საბოლოოდ მოილაპარაკებენ, მისი დებიუტი უკვე მომავალ უიქენდზე შეიძლება შედგეს. ესპანურ-იტალიური პრესის ცნობით, „ვალენსია“ ვარგასის ხელფასის ნაწილს დაფარავს და ჯამში „ნაპოლის“ 1,5 მილიონ ევროს გადაუხდის, ხოლო მომავალ ზაფხულს, ორმხრივი სურვილის შემთხვევაში, არენდა შესაძლოა, კიდევ ერთი წლით გაგრძელდეს.

გვერდი მოამზადა
**გიორგი კაკაბაძემ**

სავარაუდო ტრანსფერები

# პსჟ პოგბას წელიწადში 8 მილიონს სთავაზობს

## პარიზული დღიური: ვინ მივა და ვინ წავა?



პოლ პოგბა

საინტერესო ამბებია „პარი სენ-ჟერმენის" თავს. კულუარებში ისევ აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ პარიზელებს ჯიუტად გადაუწყვეტიათ **პოლ პოგბას** იანვარშივე ხელში ჩაგდება და მზად არიან, „იუვენტუსს" ახლავე გადაუხადონ 50-60 მილიონი ევრო, ხოლო თავად ფეხბურთელს წელიწადში 8 მილიონს სთავაზობენ, რაც ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ახალგაზრდა ტალანტის ტურინული ჯამაგირი. ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, შავ-თეთრებს თავისუფლად შეუძლიათ ერთი ნახევარმცველის გასხვისება, რადგან მათ ამ ამპლუის ბევრი მაღალი კლასის მოთამაშე ჰყავთ. ვნახოთ, გაუძლებენ თუ არა ცდუნებას „ბებერი ქალბატონი" და თავად პოგბა. გამცნეთ ისიც, რომ პსჟ **იოან კაბაიში** 26 მილიონ ფუნტს სთავაზობს „ნიუკასლს", რომელიც თავის მხრივ „მონპელიეს" შეუთანხმდა იმაზე, რომ ზაფხულში **რემი კაბელიას** შეიძენს. ასე რომ, პსჟ-ს შანსები კაბაის ტრანსფერთან მიმართებაშიც გაეზარდა.

### კვარტეტი წავა?

პარალელურად კი გრძელდება საუბრები **ხავიერ პასტორეს, ტიაგო სილვასა** და **ესეკიელ ლავეცის** შესაძლო წასვლის შესახებ. თუმცა სამივე ფეხბურთელმა განაცხადა, აქ თავს კარგად ვგრძნობთ და წასვლაზე სულაც არ ვფიქრობთო. მიუხედავად ამისა, მაინც დიდი შანსია, რომ ამ სამიდან მინიმუმ ერთმა პარიზელთა ბანაკი სეზონის ბოლომდე მაინც დატოვოს და ყველაზე რეალური კანდიდატი პასტორეა. არგენტინელის თხოვება „რომას" სურს. მას ადრე „ინტერსა" და „ნაპოლისაც" აკავშირებდნენ, ისევე როგორც ლავეცის. ხოლო **ტიაგო სილვას** გადაბირება „ბაიერნმა" მოინდომა და მიუნხენელები მზად არიან, ბრაზილიელი მცველის გამო გვარიანად გაიკრან ჯიბეზე ხელი.

პასტორემ „რომას" ვარიანტი არც გამორიცხა და არც დაადასტურა: *„აქ ბედნიერი ვარ და როგორც არაერთხელ ვთქვი, წასვლა არ მინდა. ძალიან ბევრი კლუბი ესაუბრა ჩემს აგენტს და პსჟ-ს ხელმძღვანელობას. „რომა"? ეს გუნდი ბრწყინვალედ გამოიყურება და ძალიან კარგი შემადგენლობა ჰყავს. თუ ვინმე შემეხმიანება, ვნახოთ რა მოხდება, მაგრამ ამჟამად პარიზში თავს მშვენივრად ვგრძნობ".*

*„ჩემი სურვილია, მინიმუმ მოქმედი კონტრაქტის ბოლომდე პსჟ-ში ვითამაშო. ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი გვყავს და კიდევ უფრო ვვითარდებით. დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული და გვსურს დიდ წარმატებებს მივაღწიოთ, როგორც საფრანგეთის მასშტაბით, ასევე ევროსარბიელზე. სწორედ ამ გუნდის წყალობით მოვხვდი ფიფას სიმბოლურ ნაკრებში"* - ეს კი ტიაგო სილვას სიტყვებია.

**გიორგი კაკაბაძე**

# პარმასა და სასუოლოს ბარტერული ტრანსფერები

სერია A-ში ემილია-რომანიას წარმომადგენლებს, „პარმასა" და „სასუოლოს" შორის ფეხბურთელების ცოტა ჩახლართული გაცვლა-გამოცვლა მოხდა. პარმელებმა აუტსაიდერებს დასახმარებლად **ნიკოლა სანსონე** და **პედრო მენდეში** გაუგზავნეს, რომლებიც ამიერიდან სანახევროდ „სასუოლოს" მფლობელობაში არიან, ხოლო **ალესანდრო როზი** „პარმამ" მეტოქეს სეზონის ბოლომდე ათხოვა. სანაცვლოდ, „ენიო ტარდინიზე" იჯარით გადმობარგდნენ შვეიცარიელი მცველი **ჯონათან როსინი** და **ესეკიელ სკელოტო**, რომელიც თავის მხრივ, „სასუოლოში" „ინტერიდან" იყო განათხოვრებული. თანაც „პარმამ" ზაფხულში სკელოტოს გამოსყიდვის უფლება მოიპოვა. ეს 24 წლის „ორიუნდისთვის" ისევ კარგად ათამაშების კიდევ ერთი შანსია. შეგახსენებთ, რომ სკელოტოს იტალიის ნაკრებში დამკვიდრების იმედი ჰქონდა და აქვს, მაგრამ ბოლო დროს მოუკლო და ატმოსფეროს შეცვლა შესაძლოა წაადგეს. „მუშკეტერს" „სკუადრა აძურაში" უკვე აქვს ერთი მატჩი ჩატარებული.

**გიორგი კაკაბაძე**

ოქროს ბურთი

# რიბერი პოლიტიკას გადასწვდა

## ზიდანმა რონალდოს 69 გოლი გაიხსენა

**ფრანკ რიბერი** ვერაფრით ეგუება იმ აზრს, რომ „ოქროს ბურთი" არა მას, არამედ **კრიშტიანო რონალდოს** გადაეცა. ფრანკს ზოგჯერ ისიც ავიწყდება, რომ გამოკითხვის საბოლოო შედეგებით, მას ქულებით **ლიონელ მესიმაც** გაასწრო. თუმცა ეს ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხმებმა განაპირობა, თორემ გამოკითხული ჟურნალისტების გამოკვეთილი ფავორიტი სწორედ რიბერი იყო.

*„მე ყველაფერი მოვიგე „ბაიერნთან" ერთად და კარგი სეზონი მქონდა. რონალდომ კი პირიქით, ვერაფერი მოიგო. არ განვიცდი, მაგრამ ცოტა არასასიამოვნოა, რადგან ვთვლი, რომ „ოქროს ბურთი" მეკუთვნოდა. თუმცა მას მერე, რაც ხმის მიცემა ორი კვირით გადაავადეს, რაც აქამდე არასდროს მომხდარა, ცხადი გახლდათ, რომ ამ ჯილდოს რონალდო მიიღებდა. ეს უკვე ფეხბურთთან კავშირში არ არის, ეს წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო"* - თქვა რიბერიმ.

ლეგენდარული **ზინედინ ზიდანი** ერთი მხრივ ფრანგია, დაახლოებით ისეთივე, როგორიც რიბერი და მეორე მხრივ, მადრიდის „რეალის" სამწვრთნელო შტაბის წევრი. რონალდო კი „რეალში" თამაშობს, თუ არ იცოდით, შეგახსენეთ. ორ ცეცხლს შუა მყოფმა ზიზუმ მეტ-ნაკლებად შუალედური პოზიცია შეინარჩუნა, მაგრამ ცოტათი უფრო მაინც პორტუგალიელის მხარი დაიჭირა.

*„ჩვენ სკანდალზე ლაპარაკი არ უნდა დავიწყოთ, მაგრამ გასაგებია, რომ ფრანკს ფანტასტიკური წელი ჰქონდა და აღიარებას იმსახურებდა. თუმცა არსებობს სამი კრიტერიუმი: ფეხბურთელის გამოსვლა გუნდში, მისი იმიჯი და ინდივიდუალური შედეგი. სხვაობა იმაშია, რომ კრიშტიანომ 69 გოლი გაიტანა"* - თქვა ზიდანმა.

**გიორგი კაკაბაძე**



ზინედინ ზიდანი და ფრანკ რიბერი ოქროს ბურთის გალა-დაჯილდოებაზე

ლა ლიგა. მწვრთნელები

# ახლები და პრიმერა

## ვალენსია და განსაცდელი

**ლა ლიგაში 20-დან 12 კლუბში მწვრთნელი შეიცვალა. ოღონდ ცვლილებათა დიდი ნაწილი სეზონის დაწყებამდე მოხდა. ორ გუნდს კი ცვლილება ორ-ორჯერ შეეხო, „ჩემპიონები" „ბეტისი" და „ვალენსია" არიან.**

### ზაფხული: ცვლილება სამეფო კარზე

ახალი სეზონი ერთბაშად 10-მა კლუბმა დაიწყო შეცვლილი მწვრთნელით (შედარებისთვის, ინგლისში 4-მა). მათ შორის კი მთავარი „სამეფო კარზე" განხორციელებული ცვლილება იყო. **ჟოზე მოურინიომ**, რომელმაც რეალურად ბევრი ვერც ვერაფერი მოიგო „რეალის" მესაჭეობისას, „ნისლიან ალბიონს" მიაკითხა, ხოლო მის ნაცვლად მსოფლიო ფეხბურთის გრანდმა პარიზელთაგან **კარლო ანჩელოტი** გამოისყიდა.

გაამართლა თუ არა ამ ცვლილებამ? რთული სათქმელია ჯერაც - ფაქტია, გუნდი ჯერჯერობით ყველა ფრონტზე მოსაგებად იბრძვის, ჟოზეს კი ნელ-ნელა ფეხბურთელებთანაც ეძაბებოდა ურთიერთობა. თუმცა ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ მაისში შევიტყობთ, ჯერ კი მხოლოდ პლუს-მინუსების გარჩევა შეგვიძლია.

ახალი მწვრთნელით დაიწყო ჩემპიონმა „ბარსელონამ". ამ შემთხვევაში მიზეზი სამწუხაროა - **ტიტო ვილანოვამ** ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ველარ შეძლო მუშაობა და მის ნაცვლად **ხერარდო მარტინო** დაინიშნა, არგენტინელი სპეციალისტი. მოერგო „ბარსელონას" უპრობლემოდ, რთულია, თუმცა ტატა მარტინომ კარგად გაართვა საქმეს თავი.

უცნაური ცვლილება (თუმცა არა მოულოდნელი) განხორციელდა სანსებასტიანურ კლუბში - ჩემპიონთა ლიგაზე „რეალ სოსიედადის" გამყვანმა **ფილიპ მონტანიემ** მშობლიურ საფრანგეთს მიაშურა და „რენში" მოეწყო. ამით მწვრთნელმაც წააგო და ესპანურმა კლუბმაც - 35 წლის **ხაგობა არასატემ** ჩემპიონთა ლიგაზე ვერაფერს მიაღწია, ხოლო ლა ლიგაში ლიგის საგზურის კიდევ ერთხელ მომტან მე-4 ადგილს „რეალ სოსიედადი" 6 ქულით ჩამორჩება.

49 წლის ბასკ სპეციალისტ ერნესტო ვალვერდეს „ვალენსიასთან" კონტრაქტის ვადა დაუსრულდა და ის ბილბაოს „ატლეტიკის" მწვრთნელი გახდა. „ვალენსიაში" კი სერბი **მიროსლავ ჯუკიჩი** მივიდა, თუ როგორი კრახით დასრულდა ეს ყველაფერი „ღამურებისთვის", ქვემოთ ვიტყვით. ბილბაოში **მარსელო ბიელსას** ნაცვლად მისული ვალვერდე კი აშკარად ამართლებს - გუნდი მე-4 ადგილზეა და ამ პოზიციის შენარჩუნების კარგი შანსიც აქვს.

კიდევ ერთი მწვრთნელი, რომელსაც გულმა „ნისლიან ალბიონზე" გაუწია, ჩილელი **მანუელ პელეგრინია** - მან ფინანსურად შეჭირვებული „მალაგა" დატოვა და „მანჩესტერ სიტის" ჩაუდგა სათავეში. ამით მხოლოდ ინგლისელებმა მოიგეს. „მალაგას" გერმანელი **ბერნდ შუსტერი** ხელმძღვანელობს და ანდალუსიური კლუბი მე-14 ადგილზეა. ამით კი ყველაფერია ნათქვამი.

კიდევ 4 ცვლილებაზე მოკლედ: „ლევანტეში" **ხუან იგნასიო მარტინესის** ნაცვლად **ხოაკინ კაპაროსი** მივიდა, „სელტაში" **აბელ რესინო ლუის ენრიკემ** შეცვალა, „ვალიადოლიდში" ჯუკიჩის წასვლის შემდეგ მარტინესი დაინიშნა, „ალმერიამ" **ხავი გრასიას** ადგილზე **ფრანსისკო** მიიწვია.

### შემოდგომა: მხოლოდ ერთი მსხვერპლი

მოკლედ, გუნდების ნახევარმა ისედაც შეცლილი მწვრთნელებით დაიწყო ლა ლიგა. მიუხედავად ამისა, პირველი სისხლი ლა ლიგაში მალევე დაიღვარა - 3 სექტემბერს „ოსასუნა" **ხოსე ლუის მენდილიბარს** გამოეთხოვა და „ალმერიადან" წასული ხავი გრასია მიიწვია. „ოსასუნა" 22 ქულით მე-13 ადგილზეა. არადა, ერთი პერიოდი მის მდგომარეობას უიმედო ერქვა. როგორც ჩანს, გრასია მართლაც საინტერესო სპეციალისტია, ბოლო-ბოლო „ალმერია" პრიმერაში მისი გადმოყვანილია.



მიროსლავ ჯუკიჩმა „ვალენსია" კინაღამ დაღუპა

### ზამთარი: ბეტისიადა

სამთვიანი პაუზის შემდეგ მოხსნები განახლდა - მაჩანჩალა „ბეტისმა" გაუშვა **პეპე მელი** (რომელსაც მალე ინგლისში დაუძახეს). სევილიური კლუბის საჭე **ხუან კარლოს გარიდოს** ჩააბარეს, რომელსაც 5 ტური ადროვეს და ისიც გაუშვეს! 19 იანვარს გარიდო არგენტინელმა **გაბრიელ კალდერონმა** შეცვალა. სანამ „ბეტისი" ხელთათმანებივით იცვლის მწვრთნელებს, გუნდი სავალალო მდგომარეობაშია, 8 ქულა სჭირდება, რომ გავარდნის ზონიდან ამოყვინთოს.

შუალედში კი მიროსლავ ჯუკიჩი მოხსნეს - „ვალენსია" ამბიციური კლუბია და ვერაფრით შეეგუებოდა იმ მე-9 ადგილს და არაფრით გამორჩეულ თამაშს, რომელიც სერბის გუნდს ახასიათებდა. ამიტომ ცვლილება უბრალოდ აუცილებელი იყო - „ღამურები" კი არგენტინელმა **ხუან ანტონიო პიციმ** ჩაიბარა. „ვალენსია" ისევ მე-9 ადგილზეა, თუმცა, ვიმეორებთ, ჯუკიჩის გაჩერება აღარ შეიძლებოდა...

**კლუბები, რომელთაც სეზონის წინ შეცვალეს მწვრთნელები:**

10 - „ბარსელონა", „რეალი", „რეალ სოსიედადი", „ვალენსია", „მალაგა", „ბილბაო", „ლევანტე", „სელტა", „ალმერია", „ვალიადოლიდი".

**კლუბები, რომელთაც სეზონში შეცვალეს მწვრთნელები:**

3 - „ვალენსია", „ბეტისი", „ოსასუნა".

**მწვრთნელები, რომელთაც მოხსნა ემუქრებათ:**

**პაკო ხემესი** (რაიო ვალეკანო, მე-19 ადგილი); **ლუის გარსია** (ხეტაფე, მე-12 ადგილი), **ხუან იგნასიო მარტინესი** (ვალიადოლიდი, მე-18 ადგილი).

**მწვრთნელები, რომელთაც თავი ქუდში აქვთ:**

**დიეგო სიმეონე** (ატლეტიკო, მე-2 ადგილი), **ერნესტო ვალვერდე** (ბილბაო, მე-5 ადგილი), **მარსელინო** (ვილიარეალი, მე-5 ადგილი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

europe-bet.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტურის შეჯამება

# სამი ქულა და მეტი არაფერი?

„სტემფორდ ბრიჯზე“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ერთი შეხედვით, სულაც არ ჰგავდა წასაგებად განწირულ გუნდს. თუმცა როცა აღიქვამ, რამდენად უსუსური იყო მოქმედი ჩემპიონი **დავიდ დე ხეას** კართან შექმნილი მომენტებისას, ხვდები, რომ ყველაფერი სწორედ ასე უნდა დამთავრებულიყო. ფეხბურთი მხოლოდ სტატისტიკა არ არის, რომ შედეგის ალოგიკურობაზე ილაპარაკო, თუკი ნაგებულმა, ვთქვათ, 88 პასით მეტი გააკეთა თამაშის განმავლობაში. „იუნაიტედი“ მომენტებში ბურთსაც აკონტროლებდა და მთლიანად შეხვედრასაც, მაგრამ თამაშობდა ბევრად უფრო უხეშად და საბოლოოდ 10 კაცითაც დარჩა მოედანზე. სტუმარი ყოველი 4 ორთაბრძოლიდან 3-ში მარცხდებოდა, უფრო იშვიათად ურტყამდა კარის მიმართულებით თუ ზუსტად კარში.

**ჟოზე მოურინიო** (ჩელსი): „საერთო ჯამში, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. თამაში ცუდად დავიწყეთ. ბურთს ხშირად ვკარგავდით და მეტოქის ზეწოლის ქვეშ ვექცეოდით. ჩვენს ნახევარდაცვას ბურთის კონტროლი არ უჭირს ხოლმე, თუმცა დღეს აშკარად შეექმნა პრობლემები. მართალია, მერე თამაშის ხარისხი გავაუმჯობესეთ, მაგრამ შესვენებამდე 2:0 მაინც ალოგიკურად მომეჩვენა. მეორე ტაიმის დებიუტში მესამე გოლმა მთელ ინტრიგას თითქოს წერტილი დაუსვა, თუმცა რალაც მომენტში ვიფიქრე, რომ „იუნაიტედს“ ჯერ კიდევ შეეძლო თამაშში დაბრუნება. 3:1 როგორც კი გახდა, გადავწყვიტეთ, ალარ გაგვერისკა და ანგარიში შეგვენარჩუნებინა. პრემიერლიგაში ჩემს მეასე მოგებაზე ბევრს ლაპარაკობენ, თუმცა პირადად ჩემთვის ეს მხოლოდ კონკრეტული 3 ქულაა და მეტი არაფერი. არასოდეს გამოვკიდებივარ რეკორდებს. მომდევნო შეხვედრაში წარმატებაც ზუსტად ასე გამიხარდება. მთავარი ის არის, რომ ამ ასმა მოგებამ „ჩელსის“ 300 ქულა მოუტანა“.

**დევიდ მოიესი** (მანჩესტერ იუნაიტედი): „უნდა ვთქვა, რომ დღეს ძალიან არ გაგვიმართლა, როცა შესვენებაზე ორბურთიანი სხვაობით გავედით. მეორეც და მესამე გოლებიც გულუბრყვილო გუნდური შეცდომების შედეგი იყო. მომენტები გვქონდა, თუმცა შემადგენლობაში არ აღმოგვაჩნდა მოთამაშე, რომელიც მათ დააგვირგვინებდა“.



სამუელ ეტოომ (შუაში) და კომპანიამ „იუნაიტედს“ ადგილი მიუჩინეს

### ტურის ფაქტები

„სუონსიმ“ ბოლო 13 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ მოახერხა კარის მშრალად შენახვა.

„ტოტენჰემმა“ „გედებს“ პრემიერლიგის 6 მატჩიდან მე-5 მოუგო (1ფ).

54 წლის შემდეგ „ტოტენჰემმა“ პირველად მოიგო ზედიზედ მე-5 გასვლითი მატჩი.

**ემანუელ ადებაიორმა** 7 თამაშში 5 გოლი გაიტანა, იმდენი რამდენიც წინა სეზონში სრულად (25 შეხვედრაში).

■ ■ ■

„ჩელსისთან“ უკანასკნელ 10 შეხვედრაში „იუნაიტედის“ თავდამსხმელ **ხავიერ ერნანდესს** 7 გოლი დაუგროვდა.

25 წლის მექსიკელისთვის ეს მე-10 გოლი გამოდგა, რომელიც სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში შეცვლაზე შესულმა გაიტანა, რაც საუკეთესო შედეგია პრემიერლიგის ისტორიაში.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ მე-7 თამაში დათმო. ამაზე მეტი წაგება (9-9), თანაც სრულ სეზონში, „ეშმაკებმა“ მხოლოდ 2-ჯერ, 2001/02 და 2003/04-ში იწვნიეს.

ჟოზე მოურინიომ პრემიერლიგაში თავისი 1-ლი და მე-100 მოგებები „მანჩესტერ იუნაიტედთან“ იზეიმა.

**ნემანია ვიდიჩი** მეხუთედ გააძევეს პრემიერლიგაში. 2-ჯერ ეს „ჩელსისთან“ მოხდა, 3-ჯერ „ლივერპულთან“.

**სამუელ ეტოო** მე-4 მოთამაშეა პრემიერლიგაში, ვინც „იუნაიტედთან“ 3 გოლი გაიტანა. აქამდე ეს მოახერხეს **დევიდ ბენტლიმ, დირკ კუიტმა** და **რომელუ ლუკაკუმ.**

■ ■ ■

„სანდერლენდის“ ფეხბურთელები პირველი 4 წუთის განმავლობაში ბურთს მხოლოდ 15-ჯერ შეეხნენ.

„სანდერლენდმა“ ბოლო 2 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა. აქედან 4 **ადამ ჯონსონის** ანგარიშზეა, 2 გოლი კი მისი პასებით გავიდა.

„საუთჰემპტონს“ სტუმრად ჩატარებული ბოლო 8 თამაშიდან მხოლოდ 1 მოგება აქვს (4ფ, 3წ).

■ ■ ■

არსენალელმა **ჯეკ უილშირმა** პრემიერლიგის ბოლო სამ შეხვედრაში 1 გოლი და 3 პასი ჩაიწერა აქტივში.

„ფულჰემმა“ „არსენალთან“ 28-ე გასვლითი შეხვედრიდან 23-ე წააგო (5ფ).

„არსენალმა“ ყველა ტურნირში „ემირეიტსზე“ ჩატარებული ბოლო 9 თამაშიდან 8-ჯერ მოახერხა კარის მშრალად შენახვა.

„არსენალმა“ ზედიზედ მე-5 მატჩი მოიგო.

■ ■ ■

„პალასთან“ შეხვედრა „სტოკისთვის“ ზედიზედ მე-9 მოუგებელი თამაში აღმოჩნდა სტუმრად (2ფ, 7წ).

„მეთიხეებს“ მიმდინარე სეზონში გასვლაზე მხოლოდ 5 ქულა აქვთ აღებული, რაც „ჰალის“ შედეგთან ერთად ყველაზე ცუდია ჩემპიონატში.

**ტონი პულისის** „პალასში“ დანიშვნის შემდეგ (23.11.2013) გუნდმა მეოთხედ მოახერხა თამაშის მშრალად დასრულება.

■ ■ ■

„სიტის“ თავდამსხმელმა **ედინ ჯეკომ** „ეტიჰადზე“ ჩატარებულ ბოლო 4 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა.

2010 წელს პრემიერლიგაში დებიუტიდან დღემდე **დავიდ სილვამ** ჩემპიონატში 36-ე საგოლე პასი გააკეთა.

**იაია ტურემ** ბოლო 8 ტურში 6 გოლი გაიტანა.

**სერხიო აგუერომ** ბოლო 12 თამაშში 13 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი გააკეთა.

„სიტისთვის“ „კარდიფთან“ მოგებული თამაში ზედიზედ მე-11 აღმოჩნდა „ეტიჰადზე“.

„კარდიფის“ მოუგებელი სერია კი სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში 8-მდე გაიზარდა (2ფ, 6წ).

■ ■ ■

„ნორვიჩისთვის“ „ჰალთან“ გოლი მხოლოდ მე-3 აღმოჩნდა პრემიერლიგის ბოლო 6 შეხვედრაში.

„ჰალს“ „ნორვიჩის“ კარში მთელი თამაშის განმავლობაში არ დაურტყამს.

■ ■ ■

„ვესტ ჰემთან“ **იოან კაბაიმ** სტუმრად გამართულ ბოლო 4 შეხვედრაში თავისი მე-3 და მე-4 გოლები გაიტანა.

33-ე წუთზე **ლოიკ რემიმ** დაასრულა 337-წუთიანი უგოლო სერია.

გასული წლის მაისის შემდეგ „ნიუკასლს“ ჩემპიონატის გასვლით შეხვედრებში ფრედ აღარ უთამაშია.

■ ■ ■

„ლივერპულმა“ ასტონვილელი **კრისტიან ბენტეკესგან** მე-4 თამაშში მე-4 გოლი გაუშვა.

**სტივ ჯერარდმა** „ვილას“ მე-12 გოლი გაუტანა. ამაზე მეტი მას არავისთვის გაუტანია.

კაპიტანმა ბოლო 8 გოლიდან 7 პენალტით გაიტანა.

**დენიელ სტარიჯს** მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 14 შეხვედრაში 11 გოლი და 3 საგოლე გადაცემა აქვს.

სტუმარმა **ანდრეას ვაიმანმა** 28 სექტემბრის შემდეგ პირველი გოლი შეაგდო. უგოლო სერია 947 წუთი გრძელდებოდა.

„ლივერპულმა“ შეწყვიტა „ენფილდზე“ 7-თამაშიანი მოგებათა სერია.

■ ■ ■

„ვესტ ბრომვიჩს“ შარშანდელი მარტის შემდეგ ზედიზედ ორი საშინაო შეხვედრა არ მოუგია.

სტუმრად „ევერტონის“ წაუგებელმა სერიამ 7 მატჩი შეადგინა (4ფ, 3მ).

სწორედ ორშაბათ საღამოს დაპირისპირებულ წყვილს აქვს ყველაზე მეტი ფრე - „ალბიონს“ 10, „ევერტონს“ - 9.

### სიმბოლური ნაკრები




### სტატისტიკა XXII ტურის შემდეგ

**საუკეთესო ბომბარდირები**

22 - ლუის სუარესი (ლივერპული)
14 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)
11 - ლოიკ რემი (ნიუკასლი), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი), დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

**საუკეთესო მეპასეები**

8 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)
7 - მესუთ იოზილი (არსენალი)
6 - სტივენ ჯერარდი (ლივერპული), აარონ რემსი (არსენალი), ხესუს ნავასი (მანჩესტერ სიტი), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი)

**გოლი+პასი**

27 - ლუის სუარესი (ლივერპული) - 22+5
19 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი) - 14+5,
17 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 9+8
15 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი) - 11+4

ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელები

**10 - კევინ ნოლანი (ვესტ ჰემი)**
**9 - მატიე დებუში (ნიუკასლი), ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი)**
**წითელი ბარათი - 3 ქულა, ყვითელი - 1**



ჟოზე მოურინიოს გუნდი ცხრილის ლიდერს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება

### ამბები

## არდილესი ავარიაში მოყვა

„ტოტენჰემისა“ და არგენტინის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონები **ოსვალდო არდილესი** და **რიკარდო ვილია** საავტომობილო ავარიის შემდეგ მთელი რიგი დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. უბედური შემთხვევა ფოლკლენდის კუნძულებზე მოხდა. საავადმყოფოს პერსონალი ინგლისელი ჟურნალისტების შეკითხვებზე, თუ რამდენად მძიმეა ვეტერანი სპორტსმენების მდგომარეობა, ჯერჯერობით კონკრეტულ პასუხებს არ იძლევა.

## როსიცკი მონაკოში?

**ტომაშ როსიცკი** „ემირეიტსზე“ მომდევნო სეზონში მხოლოდ იმ პირობით დარჩება, თუკი 25 ან მეტ თამაშს ჩაატარებს პრემიერლიგაში. ამ შემთხვევაში თანამშრომლობა ავტომატურად ერთი წლით გაგრძელდება. ასეთია 33 წლის ჩეხსა და „მეთოფეთა“ შორის შეთანხმება. ჯერჯერობით ფეხბურთელს მხოლოდ 13 თამაში აქვს ჩატარებული. ეს ნიშნავს, რომ დარჩენილ 16 ტურში მან, მინიმუმ, 12-ჯერ კიდევ უნდა ითამაშოს, რაც ნაკლებად მოსალოდნელია. ბრიტანული მასმედიის ინფორმაციით, როსიცკის სარფიან წინადადებას სთავაზობს „მონაკო“. ფეხბურთელის აგენტი „ჯუჯა სამეფოს“ წარმომადგენლებს ალბათ უახლოეს მომავალში შეხვდება.

## კოატესი სამშობლოში ბრუნდება

„სკაი სპორტსის“ ინფორმაციით, „ლივერპულისა“ და ურუგვაის ნაკრების 23 წლის ცენტრალური მცველი **სებასტიან კოატესი** იჯარით სამშობლოში დაბრუნდება სათამაშოდ. კონკრეტულად ლაპარაკია მონტევიდეოს „ნასიონალზე“. ჯერჯერობით ეს ინფორმაცია შეგვიძლია მხოლოდ ხმებად ჩავთვალოთ, რადგან სებასტიანი ამ ეტაპზე ჯერ კიდევ მკურნალობს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს აგვისტოში იაპონიისა და ურუგვაის შეხვედრის მიწურულს მუხლის ჯვარედინი მყესების განყვეტის შემდეგ აღარ უთამაშია. ამასობაში კი „ენფილდზე“ ცენტრალური მცველის პოზიციაზე კონკურენცია განსაკუთრებით გამძაფრდა. **ბრენდან როჯერსის** გუნდში კოატესის ადგილი აღარ რჩება. წყაროს მტკიცებით, „ლივერპული“ მზად არის ფეხბურთელი სამშობლოში 5-თვით უფასოდ გაუშვას.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XX ტურის შეჯამება

# იტალიელი არგენტინელებს წამოეწია

ესპანეთის ჩემპიონატის მეორე წრე ძალიან საინტერესოდ დაიწყო. „ბარსელონამ“ და „ატლეტიკომ“ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგეს, რითაც „რეალმა“ ისარგებლა და დუეტთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა.

კვლავ მეოთხე პოზიციაზე დაბრუნდა ბილბაოს „ატლეტიკი“, რომელმაც ორშაბათს მძიმე ბრძოლაში „ვალიადოლიდი“ დაამარცხა...

## აუღებელი ციხესიმაგრე

„ატლეტიკი“ საკუთარ მოედანზე ტრადიციულად კარგად თამაშობს. ასე იყო „სან მამესზე“ და ასეა ახალ, „სან მამეს ბარიაზეც“. ბასკებმა საკუთარ მოედანზე მე-11 თამაში ჩაატარეს და მე-9 გამარჯვება მოიპოვეს, კიდევ ორი შეხვედრა კი ფრედ დასრულდა.

მორიგ ტურში **ერნესტო ვალვერდეს** გუნდი ერთ-ერთ აუტსაიდერ „ვალიადოლიდს“ მასპინძლობდა და პირველი ტაიმის შემდეგ მარცხდებოდა კიდეც, მაგრამ მეორე ნახევარში, **იბაი გომესის** და **არიც ადურისის** კარგი თამაშის წყალობით, „ბილბაომ“ თამაში შემოატრიალა. ადურისმა ორი საგოლე პასი მიითვალა, იბაიმ კი დუბლის შესრულება ზედიზედ მეორე ტურში შეძლო და ახლა, 24 წლის ფეხბურთელი, 6 გოლით გუნდის საუკეთესო ბომბარდირია.

ბასკებმა ყველა ტურნირზე შინ ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მოიპოვეს და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეოთხე ადგილი დაიბრუნეს. აი, „ვალიადოლიდი“ კი შავ დღეშია - სატურნირო მდგომარეობის გარდა, სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ გუნდს უკვე 9 მატჩია, არ მოუგია.

## დაკარგული შანსები

„ბარსელონამ“ და „ატლეტიკომ“ პირველი წრე ერთმანეთში ნათამაშები საყაიმო შედეგით დახურეს და მეორე წრეც ქულების დაკარგვით გახსნეს. კატალონიელებმა მეზობლად, ვალენსიის რეგიონში ვერ იმარჯვეს, „ატლეტიკოს“ კი ფეხი სულაც საკუთარ მოედანზე დაუცდა.

მატჩების შემდეგ ორივე გუნდის ბანაკში იმედგაცრუებულნი იყვნენ, მაგრამ თუ კატალონიელები უიღბლობას უჩიოდნენ, „ატლეტიკოს“ ფეხბურთელები პრეტენზიას მსაჯის მიმართ გამოთქვამდნენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ **დიეგო სიმეონემ** არბიტრი გაამართლა.

ჯერ „ბარსელონას“ მთავარ მწვრთნელს მოვუსმინოთ:

**ხერარდო მარტინო:** „ვერავის დავადანაშაულებთ, რადგან შედეგი აბსოლუტურად ლოგიკურია, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ გარკვეულ ეპიზოდებში აშკარად არ გაგვიმართლა. პირველ ტაიმში ბურთის კონტროლი და მეტოქის საჯარიმოსთან მიახლოება გვიჭირდა - „ლევანტეს“ ფეხბურთელებმა ძალიან ბევრი იშრომეს და მათ შექება ეკუთვნით. მეორე ნახევარში ჩვენი თამაში კი ვაჩვენეთ, მაგრამ ის მომენტები, რომლებიც შევქმენით, ვერ გამოვიყენეთ“.

„როხიბლანკოს“ დამრიგებელმა კი „ატლეტიკო“-„სევილიას“ მთავარი არბიტრი **ალეხანდრო ხოსე ერნანდეს ერნანდესი** დაიცვა და განაცხადა, რომ მსაჯმა პენალტი მართებულად დანიშნა.

დიეგო სიმეონე: „შეხვედრა ზუსტად ისეთი რთული გამოდგა, როგორიც წარმოგვედგინა - ჩაკეტილი, დაცვითი ფეხბურთი, როდესაც გუნდები მეტოქის შეცდომას ელიან. ზოგადად, თუ სამ ქულას ვერ აიღებ, ნაგებას ისევ ფრე სჯობს. მეტოქეები ჩვენთან განსხვავებულ სტილში იწყებენ თამაშს. დღეს, „სევილიამ“ ტაქტიკა შეცვალა - კარლოს ბაკა და ივან რაკიტიჩი ჩვენს ნახევარმცველებს შეტევის წამოწყებაში ხელს უშლიდნენ. ემერის გუნდმა ჩვენ წინააღმდეგ ისე ითამაშა, როგორც ჩვენ „ბარსელონასთან“. რაც შეეხება პენალტს, ვფიქრობ, არბიტრი სწორად მოიქცა - როდესაც მსაჯი ნახევარ მოედანს გაირბენს იმისთვის, რომ პენალტი დანიშნოს, ესე იგი, ის მართალია. ეპიზოდის ჩანაწერი ვნახე და კმაყოფილი დავრჩი, რადგან წესების დარღვევა იყო“.

## კმაყოფილი კარლო

თავისი არგენტინელი კოლეგებისგან განსხვავებით, კმაყოფილი იყო **კარლო ანჩელოტი**, რომლის გუნდმაც ბოლო ადგილზე მყოფ „ბეტისს“ 5:0 მოუგო.

„ამჟამად ჩვენთვის ყველაფერი იდეალურად მიმდინარეობს - ბევრი გოლი გაგვაქვს და ცოტას ვუშვებთ. შეტევაში გუნდი ძალიან კარგად გამოიყურება და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს დაცვაც დამაჯერებელი იყოს. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ბალანსზე ვსაუბრობდი და ვფიქრობ, დასახულ მიზანს მივაღწიეთ - „რეალი“ ახლა გაცილებით დაბალანსებულ ფეხბურთს თამაშობს,“ - განაცხადა ანჩელოტიმ.

„სამეფო კლუბის“ ბოსმა ლუკა მოდრიჩიც შეაქო, რომელიც ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა: „დღეს მთელმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ განსაკუთრებით მინდა ლუკა მოდრიჩი გამოვყო, რომელიც მოედანზე შეუდარებელი იყო. ხორვატი ნელ-ნელა „რეალის“ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად ყალიბდება“.

## საინტერესო ფაქტები:

- „ვალენსიამ“ „ლა როსალედაზე“ ზედიზედ მესამე შეხვედრაში ვერ გაიტანა.
- „მალაგა“ არის ერთადერთი გუნდი პრიმერაში, რომელსაც ცვლილებაზე გამოსული ფეხბურთელისგან გოლი არ გაუშვია.
- „რეალმა“ წინა სეზონში ანდალუსიაში ოთხივე მატჩი წააგო, ამ სეზონში კი სამიდან სამი მოიგო.
- **ხუან კარლოს გარიდომ** „რეალთან“ მწვრთნელის რანგში ხუთივე მატჩი წააგო.
- პრიმერას ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ გუნდს 20 ტურის შემდეგ 11 ქულა ჰქონოდა და ლიგაში ადგილი შეენარჩუნებინა.
- „ელჩემ“ „რაიო ვალეკანოს“ ბოლო 12 მატჩიდან 9 მოუგო და მხოლოდ ერთი წააგო.
- „ესპანიოლმა“ „სელტას“ შინ ზედიზედ მეოთხედ მოუგო.
- „სევილიას“ „ატლეტიკო“ 9 მატჩია არ დაუმარცხებია (5 ფრე და 4 მარცხი)
- ამ გუნდების ბოლო 6 შეხვედრაში არბიტრებმა ფეხბურთელებს 9 წითელი ბარათი აჩვენეს, აქედან 8 (!) „სევილიას“ ფეხბურთელებმა მიიღეს.
- „ბილბაომ“ ზედიზედ მეხუთედ მოუგო შინ „ვალიადოლიდს“, თანაც ყველა შემთხვევაში ბასკებმა ორბურთიანი სხვაობით იმარჯვეს.
- 20 ტურის შემდეგ ამდენი ქულა (39) „ატლეტიკს“ ბოლოს 1983/84 წლების სეზონში ჰქონდა (თუ 3-ქულიანი სისტემით დავითვლით) და მაშინ ბასკური გუნდი ჩემპიონი გახდა.

**ბომბარდირები:**

21 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
19 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო)
12 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), იკეჩუკვუ უჩე (ვილიარეალი)
11 - ხავი გერა (ვალიადოლიდი), ალექსის სანჩესი (ბარსელონა), პედრო (ბარსელონა)
10 - ქარიმ ბენზემა (რეალი)

**ასისტენტები:**

10 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
8 - ნეიმარი (ბარსელონა) კოკე (ატლეტიკო), კარლოს ველა (სოსიედადი)
7 - გარეთ ბეილი (რეალი)
6 - ჯოვანი დოს სანტოსი (ვილიარეალი), კანი (ვილიარეალი), ივან რაკიტიჩი (სევილია), მარკელ სუსაეტა (ბილბაო)



იბაი გომესმა ბოლო ორ შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა

### სიმბოლური ნაკრები




ესპანეთი. სამეფო თასი. 1/4 ფინალების წინ



ლიონელ მესის „ბარსელონაში“ 399 მატჩი აქვს ჩატარებული

# ბარსელონა რევანშისთვის ემზადება

| | |
|---|---|
| ესპანიოლი-რეალი | 0:1 |
| **22 იანვარი** | |
| სოსიედადი-რასინგი | 23:00 |
| ლევანტე-ბარსელონა | 01:00 |
| **23 იანვარი** | |
| ატლეტიკო-ბილბაო | 00:00 |

გუშინ, „ესპანიოლის“ და „რეალის“ ძალიან საინტერესო მატჩით ესპანეთის თასის 1/4 ფინალური ეტაპი დაიწყო. დღეს კიდევ ორი შეხვედრა გაიმართება, ცენტრალური დაპირისპირება კი ხვალ, „ატლეტიკოსა“ და „ატლეტიკს“ შორის შედგება.

„ანოეტაზე“ სტუმრად წლევანდელი თასის მთავარი სენსაციის ავტორი, სანტანდერის „რასინგი“ ჩადის. ერთ დროს პრიმერა დივიზიონის წევრი, ამჟამად რიგით მესამე დივიზიონში ასპარეზობს, სადაც პირველ ადგილზეა და თუ ასე გააგრძელა, მომავალ სეზონში უკვე სეგუნდას ბინადარი იქნება.

„რასინგმა“ თასზე საკმაოდ მძიმე გზა გაიარა და რამდენიმე ძლიერ მეტოქეს გაუსწორდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კანტაბრიელთა 1/16-ფინალური გმირობა, როდესაც გუნდმა „სევილიასთან“ შინ 0:1 წააგო, მაგრამ გასვლაზე 2:0 მოიგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა, სადაც უკვე „ალმერიას“ გაუსწორდა.

წინა ეტაპზე რთული მეტოქე ჰყავდა ბასკურ გუნდსაც - „სოსიედადმა“ 1/8 ფინალში „ვილიარეალს“ სძლია და რამდენიმე დღით ადრე ჩემპიონატში განცდილი გამანადგურებელი მარცხისთვის (1:5) რევანში აიღო.

„სოსიედადი“, რა თქმა უნდა, ფავორიტია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ „რასინგის“ მიერ განვლილ გზას, გამორიცხული ნამდვილად არაფერია.

## მესის მე-400 მატჩი

საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს „ლევანტეს“ და „ბარსელონას“ მატჩიც - ამ გუნდებმა ხომ კვირას ითამაშეს და მასპინძლებმა ხელი საპატიო ფრესაც გამოჰკრეს. ამჯერად, ვალენსიელები გაცილებით რთულ მდგომარეობაში არიან, რადგან ორმატჩიან დუელში საშინაო ფრე დიდი ვერაფერი შედეგია. ნესით, **ხოაკინ კაპაროსმა** შემადგენლობა დიდად არ უნდა შეცვალოს და მოედანზე კვლავ ხუთ მცველს უნდა უხმოს. ფაქტია, ასეთმა ტაქტიკამ გაამართლა - „ლევანტემ“ „ბარსას“ ფრე გამოჰგლიჯა, „ატლეტიკოსთან“ კი დამარცხდა (2:3), მაგრამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

მოსალოდნელია, რომ **ხერარდო მარტინო** როტაციას მიმართავს და რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს დაასვენებს, თუმცა „ბარსელონას“ სავარაუდო შემადგენლობაში მოიაზრება **ლიონელ მესი**, რომელიც თუ მოედანზე გავა, კატალონიური გუნდის რიგებში თავის მე-400 თამაშს ჩაატარებს. არგენტინელს „ბარსას“ პირველ გუნდში დებიუტი 2004/05 წლების სეზონში ჰქონდა და იქიდან მოყოლებული მან 21 ტიტული მოიგო: 6-ჯერ ესპანეთის ჩემპიონატი, 3-ჯერ ჩემპიონთა ლიგა, 2-ჯერ ესპანეთის თასი, 6 ესპანეთის სუპერთასი, 2 ევროპის სუპერთასი და ამდენივე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. გარდა ამისა, „პულგა“ 4-ჯერ დაეუფლა „ოქროს ბურთს“, ხოლო ევროპის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილი „ოქროს ბუცი“ სამჯერ მოიგო.

სულ, 399 შეხვედრაში არგენტინელის ანგარიშზე 331 გოლია და ამ მაჩვენებლით, ის „ბარსელონას“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია (თუ **პაულინიო ალკანტარას** არ ჩავთვლით, რომელმაც „ბარსას“ რიგებში 369 გოლი კი გაიტანა, მაგრამ უმეტესობა არაოფიციალურ მატჩებში). ტურნირების მიხედვით კი მესის სტატისტიკა ასეთია: ლა ლიგაში: 259 მატჩი, 223 გოლი; თასზე: 40 თამაში, 28 გოლი; ევროთასებზე: 85 თამაში, 66 გოლი; სხვა ტურნირებზე: 15 თამაში, 14 გოლი.

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ლევანტე (5-4-1):** კ. ნავასი - პედრო ლოპესი, ვინტრა, ელ ადუა, კარაბელასი, ხუანფრანი - ელ ჟარი, პინტუ, დიოპი, პედრო რიოსი - ბარალი

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - მონტოია, პუიოლი, ბარტრა, ადრიანო - სერხი რობერტო, ბუსკეტსი, ჩავი - ა. სანჩესი, მესი, პედრო

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

სამბო. ლევან ნახუცრიშვილი

# ჩემპიონი სანზონიდან

**2013 წელს გამორჩეულად წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა სამბისტებმა. ოფიციალურ ჩემპიონატებში გუნდურ ჩათვლაში სამეულიდან არ გასულან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ რიგებს მსოფლიოს ორი ახალი ჩემპიონი შეემატა - ვახტანგ ჩიდრაშვილი (57 კგ) და ლევან ნახუცრიშვილი (68 კგ). თანაც, 37-ე მსოფლიოს ჩემპიონატი 2013 წელს სამბოს მექაში - სანკტ პეტერბურგში ჩატარდა. შარშანვე სამბოს 2 იუბილე აღინიშნა - მსოფლიოს ჩემპიონატების ათვლის 40 და სამბოს დაარსების 75 წლისთავი. ვახტანგ ჩიდრაშვილი ადრე შევახვედრეთ „ლელოს" მკითხველს. ამჯერად ლევან ნახუცრიშვილია ჩვენი რესპონდენტი.**

- დავიბადე 1989 წლის 13 ივლისს, თბილისში, სანზონაში. ვსწავლობდი 141-ე სკოლაში - ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი მსოფლიოს ჩემპიონმა ლევან ნახუცრიშვილმა.

**- რატომ აირჩიე სამბო და არა სხვა სპორტის სახეობა?**

- საერთოდ ჭიდაობა მომწონდა როგორც ვაჟკაცური სპორტი. ვარჯიში 9 წლისამ დავიწყე ძიუდოში. მწვრთნელ ტარიელ ცინცაძესთან ნაძალადევში „ლოკომოტივის" სპორტდარბაზში, იქ მეზობელმა მოჭიდავემ, გოჩა ბერაძემ მიმიყვანა.

სხვათა შორის, მამაჩემი დავით ნახუცრიშვილიც ჭიდაობდა, ოლონდ „თავისუფალში"...

**- ძიუდოში თუ გქონდა წარმატებები?**

- პირველი მედალი სწორედ ძიუდოში, ჯიბილო ნიჟარაძის მემორიალურ ტურნირზე მოვიპოვე 29 კგ-ში. მერე საქართველოს ჩემპიონიც გავხდი ჭაბუკებში, ახალგაზრდებში - პრიზიორი. 2006 წლიდან სამბოში მოვსინჯე ძალა. შიგადაშიგ ძიუდოშიც გამოვდივარ. მაგრამ ძირითადად სამბოში დავრჩი.

**- ევროპის და მსოფლიოს პირველობების შედეგებს თუ შევადარებთ, მსოფლიოზე გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი გაქვს.**

- კი, ასეა. 2009 წელს, მაგალითად, ახალგაზრდებში ევროპაზე მეორე ვიყავი, მსოფლიოზე - პირველი. შარშანაც ევროპაზე უმედლოდ დავრჩი, მსოფლიო კი მოვიგე. 2010 წელს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ორივეგან მეორე ვიყავი. მსოფლიოზე ფინალი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონთან, ბელარუს დიმიტრი ბაზილევთან წავაგე. ევროპის ფინალი კი რუს - დენის დავიდოვთან.

**- 2011 წელს ჩავარდნები გქონდა...**

- იმ წელს ევროპის ჩემპიონატი საერთოდ არ მიჭიდავია, მსოფლიოზე კი წავაგე. მიზეზი ის იყო, რომ 2010-ში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, დიმიტრი ბაზილევთან ორთაბრძოლისას მარჯვენა ხელზე მყესები დამიწყდა. 2012 წელს ევროპაზე მეორე პრიზიორი გავხდი, მსოფლიოზე კი უმედლოდ დავრჩი. ჩემი აზრით, იქ დავიდოვთან უსამართლოდ წამაგებინეს (მაშინ დავიდოვი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა).

**- სწორედ იმ დენის დავიდოვთან, სანკტ პეტერბურგში ფინალში გადასასვლელ სკანდალურ შეხვედრაზე, გვინდა რამე თქვათ...**

- დავიდოვს მესამედ შევხვდი. ორთაბრძოლის დასაწყისში პასიურობისთვის პირველი ის გააფრთხილეს. თანაბარი შერკინების დროს, როცა ვინმეს ემხრობიან, მსაჯები სწორედ ასე იქცევიან. ასე იყო მინსკში წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე 2012 წელსაც. წუთ-ნახევარი იყო დარჩენილი შეხვედრის დასრულებამდე, 2:1 ვიგებდი და კიდევ ერთი გდება შევასრულე, რომელიც მსაჯებმა არ შეაფასეს. ხოლო 5 წამით ადრე შეხვედრა შეაჩერეს და ჩემი შესრულებული გდება დენისოვის სასარგებლოდ უნდოდათ ჩაეთვალათ. მაგრამ ამ დროს გულშემატკივრებმა, რომლებიც ბლომად იყვნენ დარბაზში, საჭიდაო ლეიბზე ბოთლებისა და ჩუსტების სროლით, სტვენით და ყვირილით გამოთქვეს პროტესტი არბიტრების მიმართ. სხვათა შორის, მრავალრიცხოვან ქომაგებს შორის იყვნენ სანკტპეტერბურგელი ქართველებიც. მსაჯებმა ველარ გაბედეს უსამართლო გადაწყვეტილების მიღება და გავიმარჯვე. ფინალში კი ბულგარელ მარტინ ივანოვს ვაჯობე და 21-ე ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი სამბოში.

**- რა შეიცვალა სამბოში?**

- ადრე თუ ნახევრად ცარიელ დარბაზებში ტარდებოდა საერთაშორისო შეჯიბრებები ახლა დარბაზები ივსება. სანკტ პეტერბურგში კი 75 ქვეყნის წარმომადგენლები ჭიდაობდნენ...

**- წონის შენარჩუნებაზე რას იტყვი?**

- დაზუსტებით არ ვიცი, როდის, მაგრამ სამომავლოდ ზედა ზონაში (74 კგ) გადასვლას ვგეგმავ.

**- მსოფლიოს ჩემპიონი გახდი, კიდევ რას აპირებ?**

- სამბო ჯერჯერობით არაოლიმპიურია და ყველაზე დიდი ტიტული აქ მსოფლიოს ჩემპიონობაა. კიდევ ვაპირებ ჩემპიონობას. სამბოს გარდა, ძიუდოსაც და ქართულსაც კვლავ ვიჭიდავებ. სხვათა შორის, სათუთად ვინახავ იმ თასს, 2009 წელს სოფელ წეროვანში საუკუნოვანი მუხების ჩრდილში ნახერხმოყრილ მოედანზე რომ გადმომცეს - ქართულ ჭიდაობაში საუკეთესო გდებისათვის...

ესაუბრა
**გაბრიელ ბარჯაძე**


ლევან ნახუცრიშვილი მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალური ორთაბრძოლის დასრულების შემდეგ გამარჯვებას ზეიმობს

კალათბურთი. ინტერვიუ ლევან ფაცაციასთან



# გასოლი უნდა დაეჯარიმებინათ

**საქართველოს თასის გათამაშების მსვლელობისას მატჩებს ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს ლევან ფაცაცია, რომელიც უკრაინული „დნიპრო-აზოტის" წევრია. მისი გუნდი ახლაც თამაშობს, ლევანი კი ხელის ტრავმის გამო აზოტელებს გამოაკლდა და, როგორც თავად გვითხრა, დიდია ალბათობა, სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმაროს. რადგან მოტეხილი მაჯის მკურნალობას დრო სჭირდება, უკრაინაში კი რეგულარული ეტაპი მარტში მთავრდება. „დნიპრო-აზოტს" 2 მოგება აქვს და პლეი ოფში, ალბათ, ვერ გავა. ლევანს თავდაპირველად ტრავმის შესახებ ვკითხეთ.**

- „ფეროსთან" მატჩისას მაჯა მოვიტეხე. თუმცა იმ მომენტში არაფერი მიგრძნია. თამაში განვაგრძე. ნელ-ნელა ტკივილმა იმატა და მატჩის შემდეგ გამუქებისას ხელი მოტეხილი აღმოჩნდა. სხვათა შორის, ვიზუალურად არაფერი ჩანდა, არც შეშუპება...

**- დასანანია, ტრავმა მაშინ რომ მიიღე, მწვრთნელი ბოლომდე რომ გენდობოდა და გუნდის ლიდერადაც იქეცი.**

- უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ხუთი თამაში თითქმის შეუცვლელად ვითამაშე. ყველაფერი კარგად გამომდიოდა, მთავარი მწვრთნელიც კმაყოფილი იყო...

**- საინტერესოა, რა შეიცვალა სეზონის დასაწყისის შემდეგ, რამაც გუნდის ლიდერად გაქცია?**

- უკრაინის ჩემპიონატი შედარებით ძალისმიერია. თავიდან ალლო ვერ ავუღე, მწვრთნელის მოთხოვნებს ბოლომდე ვერ ვაკმაყოფილებდი. შემდეგ უფრო აგრესიულადაც ავთამაშდი, ძალისმიერადაც და მწვრთნელიც კმაყოფილი იყო. სხვათა შორის, მას ჩემზე შთაბეჭდილება ევროპის ჩემპიონატიდან შეექმნა. სლოვენიაში ხშირად არ ვუტევდი და ეგონა, რომ დაცვითი ტიპის კალათბურთელი ვიყავი. უკრაინაში კი კარგად რომ გამიცნო, დარწმუნდა, შეტევაშიც შემიძლია თამაში და ამას ითხოვდა კიდეც.

**- „დნიპრო-აზოტთან" ერთწლიანი კონტრაქტი გაქვს?**

- სხვათა შორის, წამოსვლამდე ველაპარაკე გუნდის ხელმძღვანელობას და ახალი კონტრაქტი შემომთავაზა, რაზეც ხელი უკვე მოვაწერე. მომდევნო სეზონშიც „აზოტში" ვითამაშებ იმ შემთხვევაში თუ უკეთესი გუნდი არ გამოჩნდა.

**- ეგ როგორ?**

- ხელშეკრულებაში დევს პუნქტი, რომლის მიხედვით, თუ უკეთესი ვარიანტი მექნება, კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტა შემიძლია.

**- უკრაინის ჩემპიონატში „სოხუმის" ყოფილი მწვრთნელი აინარს ბაგაცკისიც მუშაობს...**

- მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. მითხრა კიდეც, თუ ყველაფერი ნორმალურად წარიმართა, მინდა ჩემს გუნდში გიხილოო. თუმცა ჯერ ბაგაცკისს „ბუდიველნიკის" ხელმძღვანელობასთან აქვს დასამტკიცებელი, რომ უკრაინის ჩემპიონატში წაგებები დროებითი ჩავარდნა იყო. მისი გუნდი ხომ პარალელურად ევროლიგაზე გამოდიოდა. „ბუდიველნიკს" ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და მისგან უკრაინაში მაქსიმალურ შედეგს ითხოვენ.

**- ასე რომ, მომავალ სეზონში უკრაინაში დაბრუნება რეალურია.**

- ასეა. კონტრაქტიც მაქვს. უკრაინაში მართლაც სერიოზული ლიგაა, ბევრი მაღალი დონის ლეგიონერია და იქ თამაში პროფესიული წინსვლისთვის ძალიან სასარგებლოა.

**- „დონეცკის" ღირსებას გიორგი ცინცაძე იცავს, რომელთანაც ჩემპიონატის გახსნითი მატჩი ითამაშე.**

- საინტერესო იყო გიორგისთან დაპირისპირება, თუმცა მწვრთნელმა იგი მატჩის მეორე ნახევარში აღარ ათამაშა. ჩემს მსგავსად, სეზონის პირველ ეტაპზე ცინცაძესაც პრობლემები ჰქონდა, თუმცა ყველაფერი დაალაგა და მწვრთნელი ახლა უკვე ბოლომდე ენდობა. გიორგიც ჩვეულად ათამაშდა, თუმცა იმაზე გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს, რასაც სადღეისოდ უჩვენებს. რაც შეეხება „დნიპრო-აზოტისა" და „დონეცკის" შეხვედრას, გამარჯვება ძალიან გვინდოდა, მაგრამ დონეცკელებს უკეთესი შემადგენლობა ჰყავთ და დამსახურებულადაც მოიგეს.

**- ცინცაძის საქომაგოდ დონეცკში ჩასვლას თუ ახერხებდი?**

- რა თქმა უნდა. ერთმანეთის თამაშებს ვუყურებდით და ნამატჩევს მოსაზრებებს ვუზიარებდით. ჩემი ერთ-ერთი კრიტიკოსი ცინცაძე იყო.

**- კიდევ?**

- ჩემი ოჯახის წევრები. როცა საქართველოში ვთამაშობდი, ისინი დროშებითა და საყვირებით შეიარაღებულები მქომაგობდნენ. ამ სეზონში კი ყოველი უკრაინული მატჩის რეპორტაჟს თბილისში დიდ ეკრანზე უყურებდნენ, თამაშის შემდეგ მირეკავდნენ და აზრებს მიზიარებდნენ. ყველაზე კრიტიკული დედაჩემია.

**- უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი შეხვედრისას სახალისო მომენტი დაფიქსირდა: გვერდითი ხაზიდან შემოტანისას ბურთი მეტოქეს ზურგზე მოარტყი და სამქულიანი ჩააგდე. ამ ეპიზოდს სამეგრელოს წარმომადგენელ კოლეგასთან ერთად გამეორებით ვუყურე და მითხრა - აბა, ამას მეგრელის გარდა ვინ მოიფიქრებდაო...**

- ფარქვეშიდან ბურთი მეტოქისთვის ხშირად მომირტყამს, რადგან იქიდან იოლია ჩაგდება. სამქულიანიდან კი ასეთი რამ პირველად ვცადე და ბოლო წუთებზე თანაგუნდელებს სამქულიანიც შევაშველე. ოლონდ ვერ დავიჩემებ, რომ უკრაინაში მე მოვიფიქრე: რამდენიმე წამით ადრე ანალოგიურ სიტუაციაში აღმოვჩნდი და ბურთი თანაგუნდელს გადავეცი. მაშინაც, კალათბურთელთა გადაადგილების კონტროლის მიზნით, ერთი მეტოქე ზურგით მედგა. სწორედ ამის შემდეგ მითხრა მწვრთნელმა - ბურთი ზურგში უნდა მოარტყა და ისე ისროლო, თანაგუნდელს პასი არ გადააწოდოო. ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც ჩავიფიქრეთ.

**- სექტემბერში საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი ითამაშე. რა ეტაპი იყო სლოვენიაში თამაში შენს კარიერაში?**

- საქართველოს ნაკრებში გამოსვლამ დიდი გამოცდილება შემმატა. ჩემს პოზიციაზე მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე თამაშობენ, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე მასწავლიდნენ, გვერდში მედგნენ, ისევე როგორც გუნდის დანარჩენი წევრები. ამასთან, იოლი წარმოსადგენია, რამდენად ემოციური მომენტია რუდი ფერნანდესის, ბოიან ბოგდანოვიჩის წინააღმდეგ თამაში.

**- ესპანელებმა ერთი საინტერესო ფოტო გადაიღეს, რომელშიც მარკ გასოლთან ერთად ბურთისთვის იბრძვი. იმ ეპიზოდში საბოლოოდ ვის დარჩა ბურთი?**

- ბრძოლა საქართველოს ნაკრების ნახევარზე იყო და ბურთიც გასოლმა აიღო, მაგრამ დამიჭირა, ჯარიმა იყო. ალბათ, ავტორიტეტმა იმოქმედა და მსაჯებმა წესების დარღვევა არ დააფიქსირეს. ჩემს ადგილას არბიტრისთვის სხვა, ცნობადი სახე რომ ყოფილიყო, [illegible]

**ეკა სიმონიშვილი**





მილოცვა
**გურამ გედეხაურს**

ჩვენო გურამ! კეთილი გული მზეა, რადგან იგი არ იცვლება მთვარესავით და ერთთავად აბრწყინებს გარემოს. შენი გულის სითბო უხვად დახარჯე ადამიანებისადმი სიყვარულში, ბევრმა მივიღეთ მისი სიკეთე. ალბათ, ამიტომაც შენმა ნათელმა გულმა ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა.

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს შენს საყვარელ ოჯახთან ერთად, სიმხნევეს კიდევ მრავალ საქმიანობაში.

*საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია*



რეგიონი. ცურვა


გორის ცურვის სკოლის დირექტორი გიორგი ბუხრიკიძე

# გორელი მოცურავეების დიდი გეგმები

**წელიწადია, რაც გორის საცურაო აუზის დირექტორად ადგილობრივი კადრი, ყოფილი მოცურავე გიორგი ბუხრიკიძე დაინიშნა. ამ ხნის განმავლობაში აუზზე სპორტსმენთა რაოდენობაც გაიზარდა და, რაც მთავარია, ისინი წარმატებით გამოდიან შინ თუ საერთაშორისო სარბიელზე.**

- აუზზე ამჟამად 7 მწვრთნელი მუშაობს. ბოლო ხანებში მეცადინეობის მსურველთა რაოდენობა გაორმაგდა. მას შემდეგ, რაც ჩემმა თაობამ სპორტს თავი დაანება, ძირითადად მოზარდები დარჩნენ, რომლებიც პერსპექტიულ მოცურავეებად ითვლებიან. მათზე შედარებით უფროსები გიორგი დუდაშვილი და ვლადიმერ ტერლეცკი ნაკრების წევრები არიან და 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ოლიმპიურ ფესტივალზე იასპარეზებენ. შარშან საქართველოს ასაკობრივ პირველობებზე გორელმა მოცურავეებმა 18 პირველი, 24 მეორე და 22 მესამე ადგილი, საერთაშორისო შეჯიბრებებზე ბელარუსსა და სომხეთში კი ვერცხლის ორი და ბრინჯაოს სამი მედალი დაიმსახურეს. საქართველოს პირველობებზე გორსა და თბილისში გუნდური პირველი ადგილებიც დავიკავეთ.

**- რამდენიმე წელიწადია, რაც შარშანდლამდე გორში საქართველოს პირველობა ცურვაში აღარ ჩატარებულა...**

- დიახ, გორში შეჯიბრებები მართლაც აღარ ტარდებოდა. ამჯერად ეს სამხედრო აკადემიის აუზზე, ცურვის ფედერაციისა და გორის სპორტის სამსახურის ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა.

**- თქვენი აუზის შენობა დიდი ხანია სარემონტოა, რატომ ჭიანურდება საქმე?**

- ქალაქის მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტში 2014 წელს გაითვალისწინა საფუძვლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების თანხა. ასე რომ, პირობების გაუმჯობესების მოლოდინში ვართ. ამ აუზის რემონტის შემდეგ გორს საქართველოში ცურვის ერთ-ერთ სერიოზულ ცენტრად ვაქცევთ. შეჯიბრებებიც მრავლად გაიმართება, სპორტსმენთა რაოდენობაც მოიმატებს. მერწმუნეთ, ვინც თავად გამოცდის საკუთარი შედეგის თუნდაც წამის მეათედით გაუმჯობესების სიხარულს, ის ადვილად ველარ დაანებებს თავს სპორტის ამ სახეობას. გვინდა აგრეთვე, რომ ჩვენი აუზი საქართველოს ასაკობრივი ნაკრებებისთვისაც სასურველი ადგილი გახდეს შეკრებების ჩასატარებლად.

**- თავადაც ხომ აპირებთ აქტიურ სპორტში დაბრუნებას?**

- ტრავმა ისევ მაწუხებს. არადა, ცურვის გარეშე ძალიან მიჭირს, ტკივილგამაყუჩებლებით მაინც ვვარჯიშობ.

**- აუზზე მეცადინეობა ალბათ ფასიანია, ეს არ გიქმნით პრობლემას სპორტსმენებთან?**

- წარმატებული მოცურავეებისთვის გათვალისწინებულია შეღავათები. გადასახადი მიღწევების ზრდის შესაბამისად მცირდება. სხვათა შორის ასეთი მიდგომა საქართველოში იშვიათობაა. ერთხანს თბილისში თავად რომ ვვარჯიშობდი, მიუხედავად იმისა, რომ სპორტის ოსტატი ვარ, ჩვეულებრივ გადასახადს ვიხდიდი.

**- დღევანდელი მოსწავლეები სკოლას დაამთავრებენ, მერე...**

- ეს საერთო პრობლემაა. იმისათვის, რომ მოცურავეებმა შემდეგაც გააგრძელონ დაოსტატება, საქართველოს ცურვის ფედერაციაში მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას აპირებენ. ვნახოთ!

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ძმებო...

საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრები გუშინ დილით თეირანში გაფრინდა, სადაც 23-24 თებერვალს „იადიგარ იმამის თასზე" იჭიდავებს. გუნდს არ გაჰყოლია მთავარი მწვრთნელი **ბეგი დარჩია**, რომელმაც იქ სათადარიგო ფალავნები გაუშვა, თვითონ კი ძირითად გუნდს ანუ საქართველოს ჩემპიონებით დაკომპლექტებულ ნაკრებს 1-2 თებერვალს სტამბოლში გაჰყვება, ვები ემრეს მემორიალში საასპარეზოდ.

დარჩიას გადაწყვეტილებით, თეირანში ძალებს **ქემალ ხარაბაძე, რამაზ სურმანიძე** (ორივე - 59), **მარადი აბულაძე, გიორგი დავითაია** (66), **უშანგი ჩიტიაშვილი** (75), **ვახტანგ ხალვაში** (85), **ირაკლი** და **მიხეილ ქაჯაიები** (ორივე - 98), **სერგო** და **შოთა გოგისვანიძეები** (130) მოსინჯავენ. გუნდს **აკაკი ჩაჩუა** და **ჯემალ ბაკურიძე** უხელმძღვანელებენ.

ეს პრესტიჟული ტურნირი ახალი წესებით ანუ ახალ წონით კატეგორიებში ტარდება. შემადგენლობაში უცხო კადრი მხოლოდ ხალვაშია, თორემ სხვებს კარგად ვიცნობთ წინა წლებიდან... ყურადღებას იქცევს ახალგაზრდებში მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსან ხარაბაძის ამბავი - ადრე ის 60-ში გამოდიოდა, ახლა კი ერთი კილოგრამით ქვედა წონაში აპირებს დადგომას. მას წონის პრობლემა არც ადრე აწუხებდა, ასე ცოტას დაკლება კი კიდევ უკეთესია, ფიზიკურად არ უნდა გაუჭირდეს. უჩვეულო შემთხვევაა, როცა ნაკრებში ძმების ერთბაშად ორი წყვილია წარმოდგენილი და ორივე იმერეთიდან - ქაჯაიები წყალტუბოელები არიან, გოგისვანიძეები - „სავარდო და სამაისო" ქუთაისიდან.

**ირაკლი თავაძე**

ლელოზე
ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ოლიმპიური კომიტეტი



# ალმასკომმა დელეგაცია დაამტკიცა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომმა გუშინ დაამტკიცა სოჭის ოლიმპიადაზე წამსვლელი დელეგაცია, რომელიც 19 კაცისგან შედგება. აქედან 4 სპორტსმენია, 3 - მწვრთნელი, ამდენივე ჟურნალისტი, დანარჩენი კი ოფიციალური პირია. თამაშების ლიცენზია ჩვენგან სამთო მოთხილამურეებმა - **იასონ აბრამაშვილმა, ალექსი ბენიაიძემ, ნინო წიკლაურმა** და ფიგურულად მოციგურავე **ელენე გედევანიშვილმა** მოიპოვეს. მათ მწვრთნელებად **გერა აბრამიშვილი, ჯოვანი ლაზარინი** (ორივე - თხილამურობა) და **ბრაიანდ გისლენი** (ციგურაობა) მიჰყვებიან. შვიდივე მათგანი ოლიმპიურ სოფელში იცხოვრებს, ისევე როგორც მისიის ხელმძღვანელი **მამუკა ხაზარელი** და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი **რუსუდან აფციაური**.

ოლიმპიური სოფლის გარეთ დაბინავდებიან სეოკ-ის პრეზიდენტი, ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელი **ლერი ხაბელოვი**, მისი თანმხლები **ავთანდილ მაისურაძე**, სეოკ-ის გენერალური მდივანი **ემზარ ზენაიშვილი**, ოლიმპიური ატაშე **პეტრე ცანავა**, პრესატაშე **კახა ბერიძე**, სამთო-სათხილამურო ფედერაციის გენერალური მდივანი **გიორგი ცაგარელი** და ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი **მარიამ გიორგობიანი**.

დელეგაციაში შედის აკრედიტირებული სამი ჟურნალისტიც: **თენგიზ გაჩეჩილაძე** („ლელოს" მთავარი რედაქტორი), **თენგიზ პაჭკორია** („მსოფლიო სპორტი") და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფოტორეპორტიორი **თამუნა ყულუმბეგაშვილი**, რომელიც პარალელურად „ლელოს" წარმომადგენელიცაა. ქართული ტელევიზიებიდან ოლიმპიადას საზოგადოებრივი მაუწყებელი და მისი ჟურნალისტი **ოთარ გიორგაძე** გააშუქებენ.

ალმასკომმა ერთხმად დაამტკიცა დელეგაციის ეს შემადგენლობა. პირველი ჯგუფი სოჭში 4 თებერვალს გაფრინდება - ხაბელოვი, ზენაიშვილი და ხაზარელი. ძირითადი ნაწილი 6-ში გაემგზავრება, რადგან 7-ში უკვე თამაშები საზეიმოდ იხსნება. სოჭში მხოლოდ ელენე გედევანიშვილი ჩადის ოდნავ დაგვიანებით. ამიტომ საქართველოს დელეგაციის მედროშე ალუმზე ნინო წიკლაური იქნება.

ალმასკომმა მოისმინა და სეოკ-ის წევრად აღიარა უკვე დაფუძნებული სამი ეროვნული ფედერაცია: საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის; საქართველოს ჩერლიდინგის ეროვნული ფედერაციები და სპორტის ხანდაზმულ მოყვარულთა საერთაშორისო ორგანიზაცია.

დასასრულს გაიმართა მსჯელობა სხვადასხვა საკითხზე. ხაბელოვმა მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ სეოკ-ი წლეულსაც გააგრძელებს თანამშრომლობას ფარმაცევტულ კომპანია „ავერსთან", რომელთანაც ახალი ხელშეკრულება 4 თებერვალს გაფორმდება. ოლიმპიურმა ჩემპიონმა **რომან რურუამ** შემაშფოთებელი უწოდა ბოლო ხანებში მომრავლებულ დოპინგ-სკანდალებს და ბრძოლის გააქტიურების მიზნით სათანადო კომისიის შექმნა მოითხოვა, რომელიც გააკონტროლებს სპორტსმენთა კვება-მკურნალობას და ბიოდანამატების მიღებას. მანვე კიდევ ერთი საჭირბოროტო საკითხი წამოსწია წინა პლანზე, რასაც სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლები - კალათბურთელები, ტანმოვარჯიშეები და სხვებიც შეუერთდნენ. ესაა გასულ წლებში გასხვისებული ბაზები და მათი დაბრუნების პრობლემა. გამომსვლელებმა ამ საქმეში დახმარება პარლამენტარ ხაბელოვს სთხოვეს, რომელსაც ხელისუფლებასთან შუამდგომლობაზეც გადაუკრეს სიტყვა. რურუას თქმით, ამჟამად დედაქალაქის მერია რამდენიმე დარბაზზე სასამართლო პროცესსაც აწარმოებს, მაგრამ ის ეჭვობს, რომ მერია, რომელმაც გაასხვისა ეს ბაზები, შეგნებულად წააგებს სასამართლო პროცესს, რის შემდეგაც მათი დაბრუნება კიდევ უფრო გართულდება, რადგან დავა უფრო მაღალ ინსტანციაში გადაინაცვლებს. ამიტომ გამომსვლელებმა ამ ბაზებისთვის ბრძოლის პროცესის დაჩქარება მოითხოვეს. ამ კონტექსტში ბევრი ისტორიული ობიექტი დაასახელეს - ეგრეთ წოდებული პეტრეს დარბაზი, პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის დარბაზი, საიდანაც, როგორც ალმასკომზე ითქვა, 2007 წელს უცერემონიოდ გამოყარეს ბავშვები, საკალათბურთო დარბაზი და სხვა. ყურადღება გაამახვილეს იმაზეც, რომ დღეს სკოლებში, პრაქტიკულად, არ ტარდება სპორტის გაკვეთილები.

**ირაკლი თავაძე**

სუმო. ჰაცუ ბაშო. 12-26 იანვარი

# გაგამარუ შოთას წინააღმდეგ

იანვრის ბაშოზე 2/3 მიილია და ტურნირზე პირველად **თეიმურაზ ჯუღელმა** (**გაგამარუ**) ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. მე-12 მაეგაშირა მონღოლ „არნივ" **ტამავაშისთან** დამარცხდა.

გაგამარუს 6-4 ბალანსი აქვს, მას დარჩენილი 5 ორთაბრძოლიდან ორის მოგება მართებს, თუკი რეიტინგში წინსვლა სურს. მომდევნო მეტოქე ძლიერია - **შოთა ენდო**, რომელიც ელიტაში ახლახან გამოჩნდა, მაგრამ ძალიან ნიჭიერია. იაპონელი შოთა 8-2 ბალანსით იწონებს თავს და იმპერატორის თასისთვის ბრძოლას ჯერ არ ჩამოშორებია. მათი ორთაბრძოლა ერთხელ უკვე შედგა და ქართველის გამარჯვებით დასრულდა.

ბაშოზე ათივე მოგება აქვს მონღოლ დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს**, მას 9-1 ბალანსით მოსდევს ჩემპიონი **კაკურიუ**.

**X დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კიოკუტენჰო (ოშიდაში), კისენოსატო-ტაკეკაძე (ოშიდაში), კაკურიუ-გოეიდო (ჰატაკიკომი), ტოჩიოძანი-კოტოშოგიკო (სუკუინაგე), ტამავაში-**გაგამარუ** (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**10-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა)
**9-1:** კაკურიუ (ოძეკი)
**8-2:** შოჰოზანი (მაეგაშირა 5), ენდო (მ 10)...
**6-4:** **გაგამარუ** (მ 12).

**XI დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კოტოოშუ, კაკურიუ-ტაკეკაძე, კოტოშოგიკუ-შოჰოზანი, კისენოსატო-გოეიდო, **გაგამარუ-ენდო**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მშვილდოსნობა. აჭარის ღია პირველობა

# აჭარლებმა მშვილდი მოზიდეს

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის დარბაზმა 17-19 იანვარს აჭარის ღია პირველობას უმასპინძლა მშვილდოსნობაში. ეს იყო ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც მხოლოდ აჭარის რეგიონის გუნდები მონაწილეობდნენ - ბათუმი და ხელვაჩაური.**

შეჯიბრება ქალებშიც და ვაჟებშიც ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა - ახალგაზრდებსა და უფროსებში. მთლიანობაში, ტურნირში 30-მდე სპორტსმენი გამოდიოდა. იქაურებისთვის ეს ერთ-ერთი სტარტია ზამთრის მოახლოებული შეჯიბრებების წინ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ახალი იარაღის გამოცდაც. მისი ნაწილი - ოთხი კომპლექტი აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტმა შეიძინა, ერთიც - ხელვაჩაურის საკრებულომ, ხოლო იქაურთა ლიდერი **ხათუნა ნარიმანიძე** ამერიკულმა „ხოითის" ფირმამ მსოფლიოს პირველობაზე ნაჩვენები სასტარტო შედეგისთვის ახალი მშვილდით დააჯილდოვა.

ქალთა შორის ძირითადი ბრძოლა სწორედ ნარიმანიძესა და **იულია ლობჟანიძეს** შორის წარიმართა (ორივე - ხელვაჩაური), საბოლოოდ კი საკვალიფიკაციოც და პლეი ოფიც ლობჟანიძის უპირატესობით დასრულდა. შესარჩევში ლობჟანიძემ 18-მეტრიან დისტანციებზე ორი ცდის შემდეგ 563 ქულა დააგროვა, ნარიმანიძემ - 559. დაძაბულად წარიმართა ბრძოლა მესამე ადგილისთვის, სადაც თავიდან თითქოს უკეთესი მდგომარეობა **ლანა ვერულიძეს** ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ ის 547-ით მეოთხეზე დარჩა, მესამეზე კი 554-იანი **ასმათ დიასამიძე** (ორივე - ხელვაჩაური) გავიდა, რომელმაც სტაბილურობით აჯობა კონკურენტს.

პლეი ოფის პირველ წრეში ლობჟანიძე და ნარიმანიძე ისვენებდნენ, ნახევარფინალში კი ორივემ ერთნაირი ანგარიშით - 7:1 იმარჯვა, შესაბამისად, ვერულიძესთან და დიასამიძესთან. ფრიად დაძაბულად წარიმართა ფინალი, სადაც საწყისი ორი სერია ფრედ დასრულდა - 27:27; 29:29, მაგრამ მომდევნო ორში ლობჟანიძემ იმარჯვა - 29:27; 29:28, სეტებში 6:2 მოიგო და ჩემპიონიც გახდა. ვერულიძემ საწადელი აქ მაინც აისრულა და ბრინჯაოსთვის შეხვედრაში დიასამიძეს დაძაბულ პაექრობაში სეტებში 6:5 აჯობა. აქ ყველაფერი დამატებით სერიაში გადაწყდა, სადაც ვერულიძემ 9-იანში გაარტყა, დიასამიძემ კი გასროლა ჩაუვარდა.

ქალების მსგავსად, ვაჟებშიც მხოლოდ ხელვაჩაურელები გამოდიოდნენ. აქ


იულია ლობჟანიძე

შესარჩევის შემდეგ ლიდერობა **გიგა კაკაბაძემ** იგდო ხელთ - 541 ქულა. 536-ით მეორე **ტარიელ ქადიძე** იყო, მესამე კი - 498-იანი **ვლადიმერ ბოლქვაძე**. სამაგიეროდ, ბოლქვაძემ პლეი ოფში იყოჩაღა - **ზვიად დუმბაძეს** სეტებში 6:0, ქადიძეს - 6:2, ფინალში კი გიგა კაკაბაძეს (ამან ნახევარფინალში საკუთარი ძმა - **გოგიტა კაკაბაძე** დაჯაბნა) 6:0 მოუგო. მესამეზე ქადიძე გავიდა, ვინც ბრინჯაოსთვის პაექრობაში გოგიტა კაკაბაძეს 6:2 აჯობა.

ალბათ, ტურნირის მთავარი მოულოდნელობა გოგოებში ვიხილეთ, სადაც ბათუმელმა **მარიკა მახარაძემ** გაიმარჯვა. პლეი ოფში მან ამ ასაკში ეროვნული ნაკრების წევრებს - ნახევარფინალში **ციალა ფუტკარაძეს** (6:4) და ფინალში **ანა დუმბაძეს** (7:3) აჯობა, პირველ წრეში კი **ნადეჟდა კირტოკასაც** მოუგო (6:0). მისთვის განსაკუთრებით დაძაბული ფუტკარაძესთან პაექრობა გამოდგა, სადაც ორი სეტის შემდეგ საერთო ანგარიში 1:1 იყო, მომდევნო ორი ფრედ დასრულდა - 4:4, დამატებით სეტში კი მახარაძემ 29:26 იმარჯვა.

არადა, საკვალიფიკაციო ეტაპზე ყველაფერი თითქოს ლოგიკურად დასრულდა, თუ არ ჩავთვლით, რომ ყველაზე პატარა მონაწილემ - 14 წლის ხელვაჩაურელმა დუმბაძემ გაიმარჯვა 532 ქულით. 530 დააგროვა მასზე სამი წლით უფროსმა და მისივე თანაგუნდელმა ფუტკარაძემ, ასევე 1996-წლიანი მახარაძე კი 522-ით მესამე იყო. საბოლოოდ ჩემპიონი მახარაძე გახდა, დუმბაძეს ვერცხლი ერგო, ფუტკარაძეს - ბრინჯაო.

ბათუმელებს მეორე ოქროს მოპოვება ბიჭებს შორისაც შეეძლოთ, თუმცა **არჩილ ფარსენაძე** მეორეზე დარჩა. ამის მიუხედავად, ბათუმელები უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ, რადგან სულ ორი სპორტსმენი ჰყავდათ და ოქრო-ვერცხლი მოიპოვეს.

ამ ასაკობრივ კატეგორიაში ხელვაჩაურელი **მამუკა შუშაძე** საკვალიფიკაციოშიც მონოდების სიმაღლეზე იდგა და - პლეი ოფშიც. თუმცა აქ ყველაფერი ლოგიკურად წარიმართა - მედლები ზუსტად შესარჩევი ეტაპის მომგებმა ტრიომ გაინაწილა და თანაც - იმავე თანამიმდევრობით. საკვალიფიკაციოში შუშაძე 560 ქულით პირველი იყო, ფარსენაძე 556-ით - მეორე, 536-ით კი მესამეზე ხელვაჩაურელი **გია გათენაძე** გავიდა. როგორც გითხარით, მედლებიც ამ სამეულმა გაინაწილა ასეთივე თანამიმდევრობით.

სულ მალე - 24-26 იანვარს აჭარა უკვე საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს ასევე 18-მეტრიან დისტანციაზე. მისი შედეგებით საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის მიერ დაწესებული კვოტებიდან გამომდინარე, დაკომპლექტდება ნაკრები, რომელიც 25 თებერვლიდან 2 მარტამდე ჩათვლით ფრანგულ ნიმში მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატში იასპარეზებს.

**ირაკლი თავაძე**

ლეგიონერები

# კვირიკაშვილმა 11, მალაღურაძემ კი 12 მიითვალა

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მე-12 ტურის შეხვედრები გაიმართა. გათამაშებაში კვლავინდებურად ლიდერობს ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი. ამდენივე კი, პლეი ოფში მოხვედრის რეალურ შანსს ინარჩუნებს.**

A ჯგუფში ისევ წარმატებულად ასპარეზობს **შალვა სუთიაშვილის, დავით დადუნაშვილის, დავით აშვეთიას, ელიზბარ ყუფარაძისა** და **არჩილ კობაურის** „მასი". პარიზელებმა ამჯერად შინ დაამარცხეს **შოთა საყვარელიძის** „სენ ჟან დანჟელი" - 28:3. დადუნაშვილი და აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, ყუფარაძე თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო.

„მასის" ახლა 47 ქულა აქვს და მას ფეხდაფეხ მიჰყვება „ნევერი", რომელიც ჩვენებურთა გუნდს ერთი ქულით ჩამორჩება. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა შინ **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერმა", რომელმაც მინიმალური სხვაობით დაამარცხა აუტსაიდერი, **ირაკლი ნინიძის** „დიჟონი" - 18:17. ორივე ქართველმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. სენნაზერელები ახლა 24 ქულით მეხუთე ადგილზე არიან და საპლეიოფო ოთხეულს ცხრა ქულით ჩამორჩებიან.

აუტსაიდერთა შორისაა **რეზო გიგაურისა** და **თენგიზ გელანტიას** „მონლუსონი", რომელიც სტუმრად დამარცხდა მინიმალური სხვაობით „კონიაკთან" - 12:13.

**A ჯგუფი**

**XII ტური**

**ლილი-ბობინი 40:21, ნევერი-ვანი 26:6, მასი-სენ ჟან დანჟელი 28:3, კონიაკი-მონლუსონი 13:12, სენ ნაზერი-დიჟონი 18:17.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მასი - 47 ქულა, 2. ნევერი - 46, 3. ლილი - 41, 4. ვანი - 33, 5. სენ ნაზერი - 24, 6. ბობინი - 21, 7. კონიაკი - 21, 8. მონლუსონი - 17, 9. სენ ჟან დანჟელი - 17, 10. დიჟონი - 10.

**XIII ტური**

ბობინი-მასი, ვანი-სენ ნაზერი, მონლუსონი-ლილი, ნევერი-კონიაკი, სენ ჟან დანჟელი-დიჟონი.

B ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობს **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონი", რომელმაც მე-12 ტურში შინ დაამარცხა **გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონი" - 13:6. მაკონელები ახლა უახლოეს მდევარ „ობენას" ხუთი ქულით უსწრებენ, თუმცა ამ უკანასკნელს ერთი თამაში თადარიგში აქვს, რადგან მისი სტუმრობა „ლა სეინთან" უამინდობის გამო გადაიდო. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**ზერო პეტრიაშვილისა** და **მერაბ კვირიკაშვილის** „ვიენმა" შინ წააგო „შამბერისთან" - 11:13. კვირიკაშვილმა, რომელმაც სრულად ითამაშა, გუნდს 11 ქულა მოუტანა. მან 57-ე წუთზე ლელო გაიტანა, რომელიც თვითონვე გარდასახა და ორი საჯარიმოც მიაყოლა. ძირითად შემადგენლობაში ითამაშა პეტრიაშვილმაც. „ვიენს" ახლა 13 ქულა აქვს და ბოლოსწინა, მე-9 ადგილზეა. ის ხუთი ქულით უსწრებს **გიორგი კუთარაშვილის** „ანესის", რომლის შეხვედრაც სტუმრად „ექსთან" გადაიდო.



მერაბ კვირიკაშვილი

**B ჯგუფი**

რომანი-ლა ვულე 14:10, მაკონი-შალონი 13:6, ვიენი-შამბერი 11:13, ექსი-ანესი (გადაიდო), ლა სეინი-ობენა (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მაკონი - 43 ქულა, 2. ობენა - 38, 3. რომანი - 33, 4. ლა სეინი - 31, 5. შამბერი - 29, 6. ექსი - 29, 7. ლა ვულე - 29, 8. შალონი - 19, 9. ვიენი - 13, 10. ანესი - 8.

**XIII ტური**

ლა ვულე-ექსი, შალონი-რომანი, ობენა-მაკონი, ლა სეინი-ვიენი, ანესი-შამბერი.

C ჯგუფში მორიგი გამარჯვება მოიპოვა **თედო ზიბზიბაძის, ნიკოლოზ მალალდაძის, გიორგი გაბელიასა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „პერიგომ". ჩვენებურთა ამ გუნდმა შინ დაამარცხა „ლავორი" - 21:15. შედეგად, პერიგოელები 29 ქულით მესამე ადგილზე დამკვიდრდნენ და პლეი ოფში მოსახვედრად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს წინ. ზიბზიბაძემ სრულად ითამაშა, მალალდაძე, გაბელია და ნატრიაშვილი განაცხადში არ იყვნენ.

**C ჯგუფი**

როდეზი-ლორმონი 15:6, სენ ჟან დე ლუზი-ენდაი 18:12, პერიგო-ლავორი 21:15, ლანჟონი-ტულე 32:17, ლიმოჟი-მონტობანი 9:27.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. მონტობანი - 57 ქულა, 2. ლანჟონი - 39, 3. პერიგო - 29, 4. სენ ჟან დე ლუზი - 27, 5. როდეზი - 26, 6. ლიმოჟი - 26, 7. ლორმონი - 25, 8. ლავორი - 22, 9. ტულე - 21, 10. ენდაი - 9.

**XIII ტური**

ენდაი-როდეზი, ლავორი-სენ ჟან დე ლუზი, ტულე-პერიგო, ლანჟონი-ლიმოჟი, ლორმონი-მონტობანი.

D ჯგუფში პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის **სიმონ მაისურაძის, ლაშა მალაღურაძის, ბექა ურჯუკაშვილის, გიორგი მჭედლიშვილისა** და **ლადო გუნიავას** „ბაგნერე", რომელიც მე-12 ტურში სტუმრად დამარცხდა „კასტანესთან" - 12:19. თორმეტივე ქულა გუნდს მალაღურაძემ შესძინა. მან ოთხი საჯარიმო გაიტანა და თავიდან ბოლომდე ითამაშა. მჭედლიშვილი თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო, ურჯუკაშვილი, მაისურაძე და გუნიავა განაცხადში არ იყვნენ.

**მიხეილ გაჩეჩილაძის** „აჟეტმო" სტუმრად დამარცხდა „მოლეონთან" - 6:14. გაჩეჩილაძემ სრულად ითამაშა.

**D ჯგუფი**

ლურდი-ბლანიაკი 9:23, ლანამეზანი-ტიროსი 17:14, კასტანე-ბაგნერე 19:12, ვალანსი-ოლორონი 27:8, მოლეონი-აჟეტმო 14:6.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტიროსი - 42 ქულა, 2. ოლორონი - 40, 3. კასტანე - 34, 4. ლანამეზანი - 34, 5. ვალანსი - 29, 6. ბაგნერე - 28, 7. ბლანიაკი - 26, 8. ლურდი - 17, 9. აჟეტმო - 17, 10. მოლეონი - 13.

**XIII ტური**

ტიროსი-ლურდი, ბაგნერე-ლანამეზანი, ოლორონი-კასტანე, ვალანსი-მოლეონი, ბლანიაკი-აჟეტმო.

■ ■ ■

გაირკვა ევროთასების გათამაშების მეოთხედფინალური წყვილები. შეგახსენებთ, რომ „ჰაინეკენის თასისა" და „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშების პლეი ოფში ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდი გავიდა.

ჰაინეკენის თასზე **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" შინ მიიღებს ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზს", **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი" ირლანდიურ „ლენსტერს" უმასპინძლებს, **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი" კი სტუმრად ითამაშებს ირლანდიაში „მანსტერთან".

„ემლინ ჩელენჯ კაპის" მეოთხედფინალში **დავით ქუბრიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე" შინ მიიღებს ინგლისურ „ჰარლიქვინზს", ხოლო **გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** მეტოქე სტუმრად ინგლისური „ბასი" იქნება.

შეგახსენებთ, რომ პლეი ოფის ეტაპზე გუნდები მხოლოდ თითოჯერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მატჩები 5 აპრილს გაიმართება.

**ჰაინეკენის თასი**

**მეოთხედფინალი**

ალსტერი-სარასენზი, კლერმონი-ლესტერ ტაიგერზი, ტულონი-ლენსტერი, მანსტერი-ტულუზი.

**ემლინ ჩელენჯ კაპი**

**მეოთხედფინალი**

ბასი-ბრივი, ვოსფსი-გლოსტერი, სტად ფრანსე-ჰარლიქვინზი, სეილ შარქსი-ნორსჰემპთონი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ანალიზი



# ბოკე წინ მიიწევს

**სარაგბო სპეციალისტების უმეტესობა თვლის, რომ 2014 წლის სეზონი ძირითადად სამხრეთ აფრიკისა და ახალი ზელანდიის ნაკრებების უშელავათო შერკინებაში ჩაივლის და ისინი ამჯერადაც დარჩებიან მსოფლიო რეიტინგის მონინავე საფეხურებზე.**

*„მზად იყავით იმისთვის, რომ „ოლ ბლექსი" მომავალ სეზონში შესაძლოა მსოფლიოს №2 ნაკრები გახდეს"* - ეს სენსაციური განცხადება ახალი ზელანდიის ლეგენდარულმა მორაგბემ, **შონ ფიცპატრიკმა** გააკეთა ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში სტუმრობისას და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ოლ ბლექსმა" 2013 წელს 14-ივე ოფიციალური შეხვედრა მოიგო და ტრიუმფით დაასრულა სეზონი. **სტივ ჰანსენი** და ახალი ზელანდიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ყველანაირ რესურსს გამოიყენებს, რათა კიდევ უფრო მაღალ ხარისხზე აიყვანოს საკუთარი გუნდის თამაში, თუმცა სამხრეთაფრიკელთა პროგრესი გაცილებით უფრო სწრაფ ტემპში მიმდინარეობს, რაც „ოლ ბლექსის" შეშფოთებას იწვევს.

სამხრეთაფრიკული რაგბი ძირითადად ძალისმიერ სათამაშო სტილზე იყო აგებული და ამან ორჯერ მსოფლიოს თასის მფლობელობამდე მიიყვანა (1995, 2007), თუმცა ამჟამად „სპრინგბოქსის" სათამაშო მანერა გარდამავალ პროცესშია და ცდილობენ, გაცილებით უფრო ინტელექტუალური რაგბი ითამაშონ. ყველა სპეციალისტი ერთხმად თანხმდება, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასისთვის სამხრეთ აფრიკისა და ახალი ზელანდიის ნაკრებთა ძალები გათანაბრდება, ამიტომ უძნელესი გამოსაცნობი იქნება, ვინ ალმართავს „ვებ ელისის" თასს ლეგენდარულ „თვიქნემზე".

მიუხედავად სწრაფი პროგრესისა, მაინც არსებობს 5 უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომლის გამოსწორება მართებს „სპრინგბოქსს", რათა მსოფლიოს რეიტინგს კვლავ სათავეში ჩაუდგეს.

## 1. დისციპლინა

როგორც ზემოთ ვახსენეთ, სამხრეთ აფრიკა ძალისმიერ რაგბის თამაშობს და აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არაა, რომ მათმა მორაგბეებმა 2013 წელს გამართულ 12 შეხვედრაში 10 ყვითელი ბარათი დაიმსახურეს. ისინი ყოველთვის სინბინის ზღვარზე ირჯებიან და რიგ შემთხვევებში სპორტული „ეშმაკობა" არ ყოფნით, რათა თავი დაიძვრინონ რეფერის მკაცრი გადაწყვეტილებებისგან.

„სპრინგბოქსის" სათამაშო სტილში მეტი დისციპლინის დანერგვით ნაკრები გაექცევა ისეთ უსიამოვნო შემთხვევებს, როგორიც **ბისმარკ დუ პლესის** ეპიზოდი გახლდათ ახალზელანდიელებთან მატჩში, რაც საბოლოოდ გადამწყვეტი გამოდგა კონკრეტულად იმ შეხვედრაში.

## 2. ბრძელი სათადარიგოთა სკამი

2013 წელს სამხრეთ აფრიკის ნაკრების რამდენიმე ლიდერი ევროპასა და აზიაში გადაბარგდა სათამაშოდ, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა „სპრინგბოქსს", რადგან მათი სრულფასოვანი შეცვლა პრაქტიკულად ვერ მოხერხდა და ძირითადად ახალგაზრდა მოთამაშეებზე გაიცა ავანსები, რომელთაც ბევრი რამ აქვთ ჯერ კიდევ დასამტკიცებელი. სტივ ჰანსენისგან განსხვავებით **ჰეინეკ მეიერს** ნამდვილად არ გააჩნია იმის ფუფუნება, რომ ორი თანაბარი ძალის შემადგენლობა გამოიყვანოს. ძირითადი პრობლემები შეინიშნება ცხრა ნომრის, მარჯვენა ბურჯის, მხტომელის და მარცხენა მლეტავის პოზიციებზე. სასტარტო შემადგენლობის მოთამაშეთა დამტვრევის შემთხვევაში, პრაქტიკულად ღირსეული შემცვლელის მოძებნა შეუძლებელია.

## 3. ლიდერთა როტაცია

„ოლ ბლექსის" სამწვრთნელო შტაბი ძალიან კარგად იყენებს როტაციის პრინციპს. ისინი ერთმანეთის მიყოლებით აძლევენ დასვენების საშუალებას ნაკრების ლიდერებს. თავდაპირველად **რიჩი მაქოა** ისვენებდა, შემდეგ უკვე **დენ კარტერი**, მაგრამ მიუხედავად მათი მოედანზე არყოფნისა, გუნდს მაინც ჰყავს ლიდერი - რიგ შემთხვევებში **კირან რიდი, კონრად სმიტი** ანაც **ისრაელ დაგი**.

სამხრეთაფრიკელთა რიგებში კი, ჯერჯერობით მსგავსი სიტუაცია მიუღწეველია. გავიხსენოთ ისევ ბისმარკ დუ პლესის ეპიზოდი, თუ როგორ იყო მასზე დამოკიდებული გუნდი, რა ხარისხის რაგბის თამაშობდა ამ პირველხაზელთან ერთად და რას - მისი გაძევების შემდეგ.

## 4. მეტოქის ტაქტიკური ანალიზი

2009 წელს „სპრინგბოქსმა" აშკარად დაჩაგრა პრინციპული მეტოქე. სამხრეთაფრიკელთა უპირატესობა აშკარა იყო აუტში და თამაშისას აგორებულ მოლებში. ისინი ასევე მშვენივრად იყენებდნენ მაღალ დაკიდებულ ბურთებს, რასაც დიდი უპირატესობა მოჰქონდა მათთვის.

ჩაგდებული სეზონის შემდეგ ახალზელანდიელებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით მოიწვიეს მწვრთნელთა კონსილიუმი, ერთად შეიმუშავეს ახალი სათამაშო ტაქტიკა, რასაც დიდი ხნის განმავლობაში უკვე წარმატება მოაქვს.

ამჯერად სამხრეთაფრიკელთა დროა, რათა მათ მოაწყონ კონსილიუმი და საერთო გადაწყვეტილებით მოუგონ მეტოქეს ტაქტიკური ბრძოლა - თავდაპირველად მოედანს მიღმა.

## 5. შიშის ფაქტორი

სარაგბო სპეციალისტთა ნაწილმა მსოფლიოს მასშტაბით უკვე დაიწყო საუბარი იმ თემაზე, რომ სამხრეთ აფრიკას „შიშის ფაქტორი" აწუხებს ახალ ზელანდიასთან. ჰეინკე მეიერის ხელმძღვანელობით „სპრინგბოქსმა" „ოლ ბლექსის" წინააღმდეგ 4 მატჩი გამართა და მხოლოდ ერთ მათგანში იყო უშანსოდ (სუეტო, 2012). დანარჩენ შემთხვევებში მათ უბრალოდ ბევრი შანსი ვერ გამოიყენეს მატჩის მოგებისა, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. ახალზელანდიელთა უძლეველობაზე მითი 2012 წელს ინგლისელებმა დაანგრიეს, როდესაც ლონდონში მოუგეს მეტოქეს. შარშან მცირედი დააკლდათ წარმატებამდე საფრანგეთს და ირლანდიას. ასე რომ, თუ სამხრეთ აფრიკას სურს, რომ 2015 წელს მსოფლიოს თასი ალმართოს, მაშინ მათ წლევანდელ სეზონშივე უნდა მოახერხონ „ოლ ბლექსის" შიშის ფაქტორის მოხსნა - თუნდაც ერთხელ მაინც სძლიონ მეტოქეს.

**გიორგი ბარბაქაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად დაასახელა „ტამპა ბეი ლაითნინგის" ფორვარდი **მარტინ სან ლუი**, რომელმაც ოთხ მატჩში ხუთი გოლი და რვა ქულა დააგროვა. ვეტერანმა საუკეთესო მატჩი „სან ხოსეს" წინააღმდეგ ჩაატარა, როცა ოთხი გოლი შეაგდო „ზვიგენების" კარში. სან ლუი გახდა მეორე მოთამაშე **კრის კონტოსის** შემდეგ, ვინც „ტამპა ბეის" მაისურით პოკერის შესრულება შეძლო.

კვირის მეორე ვარსკვლავი გახდა „ლოს ანჯელეს კინგზის" მეკარე **ჯონათან კუიკი**. მან თავის გუნდს სამიდან ორი მატჩი მოაგებინა, საშუალოდ 0.97 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 96.7 პროცენტი მოიგერია. 27 წლის ამერიკელის ანგარიშზე ერთ მატჩში „შატაუტი" იყო.

მესამე ვარსკვლავის სტატუსიც მეკარემ მიიღო - „ჩიკაგო ბლეკჰოქსის" გოლკიპერმა **კორი კროუფორდმა**. გასულ კვირას მანაც ორი მატჩი მოიგო, საშუალოდ 2.22 გოლი მიიღო და მეტოქეთა დარტყმების 91.6 პროცენტი მოიგერია.

**ბოსტონი–ლოს ანჯელესი 3:2**

2:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 1:0 მარჩანდი-15 (ბერჟერონი-19), 2:0 კრუგი-11 (კრეიჩი-29, სპუნერი-11), 2:1 უ. მიტჩელი-1 (მ. რიჩარდსი-26), 2:2 ჯ. კარტერი-19 (დაუტი-20, კოპიტარი-27), 3:2 მარჩანდი-16 (რ. სმიტი-21, ბერჟერონი-20).

**აილენდერსი–ფილადელფია 4:3 (ბ)**

0:0, 1:3, 2:0, 0:0, 3:2

**გოლები:** 0:1 რიდი-12 (კუტურიე-15, ტიმონენი-15), 1:1 ტავარესი-23 (ოკსოპო-29, ვანეკი-26), 1:2 სიმონდსი-17 (პარტნელი-18, ქობურნი-6), 1:3 რიდი-13 (შტრაიტი-18), 2:3 ნელსონი-8 (ბეილი-13, კლატერბეკი-3), 3:3 ოკსოპო-20 (ნილსენი-23, ენდრიუ მაკდონალდი-20).

**ბულიტები გაიტანეს**: ნილსენი (აილენდერსი), ჟირუ (ფილადელფია), ტავარესი (აილენდერსი), რიდი (ფილადელფია), ოკსოპო (აილენდერსი).

**პიტსბურგი–ფლორიდა 1:5**

0:1, 0:1, 1:3

**გოლები:** 0:1 შორი-2 (კლემენსენი-1), 0:2 შორი-3 (ვინჩესტერი-5, იუბერდო-12), 0:3 კულიკოვი-4 (ვინჩესტერი-6, გოკი-9), 1:3 ნისკანენი-7 (ლეტანგი-7, მალკინი-36), 1:4 იუბერდო-8 (ბიუუგსტადი-9), 1:5 მატიასი-5 (ვინჩესტერი-7, ვივერი-3).

**დეტროიტი–სტ ლუისი 1:4**

1:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 პააიარვი-4 (კ. სტიუარტი-10, პოლაკი-5), 1:1 ნიკუისტი-6 (ზეტერბერგი-24, შეჰანი-4), 1:2 ჯეკმენი-3 (სტინი-15), 1:3 შატენკირკი-7 (სტინი-16, დ. როი-23), 1:4 ბოუმისტერი-4 (პიეტრანჯელო-29, რივსი-4).

**ნეშვილი–დალასი 4:1**

2:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 იკინი-11 (პევერლი-18, რეი უიტნი-14), 1:1 სპალინგი-8 (იოსი-14, ლეგუანდი-27), 2:1 შ. უებერი-13 (ნისტრიომი-3, გ. ბურკი-11), 3:1 იოსი-6 (გოსტადი-4, ნისტრიომი-4), 4:1 ფიშერი-13 (კ. უილსონი-16, ჰორნკვისტი-16).

**ფინიქსი–ტორონტო 2:4**

0:2, 0:1, 2:1

**გოლები:** 0:1 გარდინერი-4 (კადრი-19, კესელი-26), 0:2 კესელი-24 (ფრენსონი-20), 0:3 გუნარსონი-1 (ფანოფი-15, ეშტონი-2), 1:3 რიბეირო-12 (იენდლი-27, კორპიკოსკი-8), 1:4 კადრი-12 (გარდინერი-12, რაილი-13), 2:4 ვერმეტი-14 (კორპიკოსკი-9).

**სან ხოსე–კალგარი 3:2**

2:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ჰუდლერი-13 (ბროდი-12, ჯორდანო-15), 1:1 პაველსკი-26 (ჯ. ბრაუნი-10, ბერნსი-15), 2:1 უინგელსი-10 (მარლო-26, ბ. სტიუარტი-6), 2:2 უესტგარტი-1 (მაკგრატენი-2, რასელი-13), 3:2 პაველსკი-27 (ჯ. ტორნტონი-47, დემერსი-21).

**აღმოსავლეთი**

**ატლანტიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 49 | 31 | 15 | 3 | 65 |
| 2. ტამპა ბეი | 50 | 29 | 16 | 5 | 63 |
| 3. მონრეალი | 49 | 27 | 17 | 5 | 59 |
| 4. ტორონტო | 51 | 26 | 20 | 5 | 57 |
| 5. დეტროიტი | 49 | 21 | 18 | 10 | 52 |
| 6. ოტავა | 49 | 21 | 19 | 9 | 51 |
| 7. ფლორიდა | 49 | 19 | 23 | 7 | 45 |
| 8. ბაფალო | 47 | 13 | 27 | 7 | 33 |

**მეტროპოლიტენი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი | 49 | 34 | 13 | 2 | 70 |
| 2. რეინჯერსი | 51 | 27 | 21 | 3 | 57 |
| 3. ფილადელფია | 50 | 25 | 19 | 6 | 56 |
| 4. კოლამბუსი | 48 | 24 | 20 | 4 | 52 |
| 5. ვაშინგტონი | 49 | 22 | 19 | 8 | 52 |
| 6. ნიუ ჯერსი | 50 | 20 | 19 | 11 | 51 |
| 7. კაროლინა | 48 | 20 | 19 | 9 | 49 |
| 8. აილენდერსი | 51 | 20 | 24 | 7 | 47 |

**დასავლეთი**

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო | 51 | 32 | 8 | 11 | 75 |
| 2. სტ. ლუისი | 48 | 33 | 10 | 5 | 71 |
| 3. კოლორადო | 48 | 31 | 12 | 5 | 67 |
| 4. მინესოტა | 51 | 27 | 19 | 5 | 59 |
| 5. ნეშვილი | 51 | 22 | 22 | 7 | 51 |
| 6. დალასი | 49 | 21 | 20 | 8 | 50 |
| 7. ვინიპეგი | 50 | 22 | 23 | 5 | 49 |

**პასიფიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ანაჰაიმი | 51 | 37 | 9 | 5 | 79 |
| 2. სან ხოსე | 50 | 32 | 12 | 6 | 70 |
| 3. ლოს ანჯელესი | 50 | 29 | 15 | 6 | 64 |
| 4. ვანკუვერი | 50 | 25 | 16 | 9 | 59 |
| 5. ფინიქსი | 49 | 23 | 17 | 9 | 55 |
| 6. კალგარი | 50 | 16 | 27 | 7 | 39 |
| 7. ედმონტონი | 51 | 15 | 30 | 6 | 36 |

***შენიშვნა:*** *პლეი ოფში თითო დივიზიონიდან სამ-სამი საუკეთესო გუნდი გადის. კიდევ ოთხ საგზურს თითო კონფერენციიდან უაილდ-ქარდის მფლობელი ორ-ორი გუნდი მიიღებს.*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 68 (25+43) |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 59 (23+36) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 58 (25+33) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 56 (23+33) |
| კორი პერი (ანა) | 55 (27+28) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 53 (6+47) |
| ჯო პაველსკი (ს-ხოს) | 50 (27+23) |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 50 (25+25) |
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 50 (25+25) |
| ფილ კესელი (ტორ) | 50 (24+26) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 35 |
| ჯო პაველსკი (ს-ხოს) | 27 |
| კორი პერი (ანა) | 27 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 25 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 25 |
| მარტინ სან ლუი (ტ-ბეი) | 25 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 25 |
| კრის კუნიტცი (პიტ) | 24 |
| ალექსანდრ სტინი (ს-ლუი) | 24 |
| ფილ კესელი (ტორ) | 24 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 47 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 43 |
| დანკან კიტი (ჩიკ) | 42 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 38 |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 36 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 36 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 35 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 33 |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 33 |

ამბები

## დასვენება 10 წლის შემდეგ

გუშინ რეგულარული ჩემპიონატის მორიგ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო „ვანკუვერის" ფორვარდმა **ჰენრიკ სედინმა** - მან ნეკნის ტრავმის გამო ვერ შეძლო „ედმონტონის" წინააღმდეგ თამაში. ასე რომ, შეწყდა შვედი ჰოკეისტის სერია: მან ზედიზედ 679 მატჩი ჩაატარა ისე, რომ არც ერთი შეხვედრა არ გამოუტოვებია.

ბოლოს, სედინმა რეგულარული ჩემპიონატის მატჩი 2004 წლის 19 მარტს გამოტოვა. მისი სერია სიგრძით მეექვსეა ჰოკეის ეროვნული ლიგის ისტორიაში. უფრო მეტი მატჩი ზედიზედ **დუგ ჯერვისმა** (964), **გარი ანგერმა** (914), **სტივ ლარმერმა** (884), **კრეიგ რემზიმ** (776) და **ჯეი ბოუმისტერმა** (683, სერია გრძელდება) ჩაატარეს.

## 15-დღიანი სასჯელი მწვრთნელისთვის

„ვანკუვერის" მთავარმა მწვრთნელმა **ჯონ ტორტორელამ** 15-დღიანი (6 მატჩი) დისკვალიფიკაცია მიიღო სამი დღის წინ, „კალგარისთან" მატჩის დროს მომხდარი ინციდენტის გამო.

შეგახსენებთ, რომ „ვანკუვერისა" და „კალგარის" მატჩის დროს გრანდიოზული ჩხუბი მოხდა. ტორტორელა აქტიურად გამოხატავდა პროტესტს თავისი კოლეგის - **ბობ ჰარტლის** მოქმედების გამო, მატჩის ერთ-ერთი შესვენებისას კი საქმის გარჩევა სცადა მეტოქის სამწვრთნელო შტაბთან.

თავად ჰარტლი ამ ინციდენტის გამო 25 ათასი დოლარით დაჯარიმდა.

კრივი



მენი პაკიაო

# უფასოდ მაინც იჩხუბონ

რჩეულ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, 35 წლის ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** უჩვეულო გამოწვევა ესროლა მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეს, 36 წლის ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერს**.

პაკიაომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მზად არის ჩხუბის სანაცვლოდ მეივეზერის ყველა მოთხოვნას დათანხმდეს. მაგრამ, მხარეებს შორის ერთ-ერთი საკამათო საკითხი ჰონორარის გაყოფაა. ფილიპინელს ამასთან დაკავშირებით ახალი იდეა აქვს: მოკრივეებმა უფასოდ იჩხუბონ და ბრძოლის მთლიანი შემოსავალი მთელ მსოფლიოში ქველმოქმედებას მოახმარონ.

*„მე არ გამაჩნია განსაკუთრებულად გამძაფრებული ლტოლვა ფულის ან სხვა მატერიალური ღირებულებების გამო ჩხუბისთვის, - ამბობს პაკიაო. - ერთადერთი არ ვარ, ვისაც სურს ასეთი ბრძოლის ორგანიზება. იგივე უნდა კრივის ნებისმიერ გულშემატკივარს. მზად ვარ გავიარო ნებისმიერი სიმკაცრის დოპინგ-ტესტი. ვთავაზობ ფლოიდს, რომ ბრძოლის კონტრაქტში შეიტანონ შემდეგი პუნქტი: ამ შეხვედრისთვის არანაირ თანხას არ მივიღებთ. ყველანაირი შემოსავალი - გარანტირებული ჰონორარი, ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა, ფასიანი ტრანსლაციები და რეკლამა - მხოლოდ ქველმოქმედებას მოხმარდება. პუბლიკა სულ უფრო აქტიურად ითხოვს პაკიაოსა და მეივეზერის ჩხუბის ორგანიზებას. ერთადერთი ხერხი, რომლითაც მეივეზერმა შეიძლება ჩემთან ბრძოლა აიცილოს თავიდან - სპორტიდან წასვლაა. ფლოიდ, შენ თუ ნამდვილი მამაკაცი ხარ, იჩხუბე ჩემთან! მოდი, ეს გავაკეთოთ არა ფულის გამო, არამედ იმისთვის, რომ კრივის ფანები უფრო ბედნიერები იყვნენ".*

# ჰეი იმედს არ კარგავს

ბრიტანელმა მოკრივემ **დევიდ ჰეიმ** განაცხადა, რომ უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსთან** რევანშის ორგანიზების დიდი სურვილი აქვს.

*„ვლადიმერს წარმატებას ვუსურვებ ლეაპაისთან მომავალ ბრძოლაში. ის ხვდება მოკრივეს, რომლის გვარი არასოდეს გამიგია. იმედია, კლიჩკო გაიმარჯვებს, ჯანმრთელობას შეინარჩუნებს და კარიერას გააგრძელებს მანამ, სანამ მხრის ტრავმაზე ვიმკურნალებ და მზად ვიქნები რინგზე დაბრუნებისთვის კლიჩკოსთან რევანშის ასაღებად",* - მოჰყავს ჰეის სიტყვები Worldboxingnews.net-ს.

შეგახსენებთ, რომ ვლადიმერ კლიჩკომ დევიდ ჰეი 2011 წელს მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა. 2013 წლის ნოემბერში, ბრიტანელმა კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, მაგრამ, როგორც ჩანს, გეგმაში აქვს რინგზე დაბრუნება.



დევიდ ჰეი

ოლიმპიზმი. სოჭი 2014

# კვარტეტი უკვე ცნობილია?

ახლოვდება სოჭის ოლიმპიადა და მატულობს პროგნოზები მედლების არაოფიციალურ ჩათვლასთან დაკავშირებით. ძალიან ბევრი სპორტული სააგენტო ადგენს მედლების ვირტუალურ ცხრილს სპორტის ზამთრის სახეობებში გამართული მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპების შემდეგ.

გასულ უქმეებზე ჩატარებული ეტაპების შედეგებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა საერთო ცხრილში, თუმცა რეიტინგის ლიდერთა ოთხეული უცვლელი დარჩა - სოჭის ოლიმპიადაზე ყველაზე მეტი მედლის მოგებას უწინასწარმეტყველებენ აშშ-ს, ნორვეგიას, კანადასა და გერმანიას, თუმცა, ამ მხრივ, არსებობს გარკვეული ტენდენციები. მაგალითად, ამერიკელები უფრო მეტად დაშორდნენ კონკურენტებს - საკუთარი „ოქროს მარაგი" მათ 0.6 მედლით გაზარდეს, ნორვეგიელებმა კი, პირიქით, ერთი ოქრო დაკარგეს. სკანდინავიელებს ოდნავ მიუახლოვდნენ კანადელები (+0.4 ოქრო კვირაში) და გერმანელები (+0.2).

რაც შეეხება მედლების საერთო რაოდენობას, აშშ-ისთვის ამ მაჩვენებელმა ოდნავ დაიკლო - 32.2 32.7-ის წინააღმდეგ. ყველა სინჯის მედლების რაოდენობით, ნორვეგიამ გერმანიას გაუსწრო.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩეხეთის ნაკრების წარმატებები. ამ გუნდმა სნოუბორდის მსოფლიოს თასზე მოგებული ეტაპის წყალობით, ოქროს მედლების რიცხვი 5.1-მდე აიყვანა.

დღეისთვის, მსოფლიოს თასის ეტაპების მიხედვით მედლების რეიტინგი ასე გამოიყურება:

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 12,7 | 8,7 | 10,8 | 32,2 |
| 2. ნორვეგია | 10,2 | 7,6 | 7,5 | 25,3 |
| 3. კანადა | 8,5 | 6,4 | 5,0 | 19,9 |
| 4. გერმანია | 7,5 | 11,8 | 7,7 | 27,0 |
| 5. რუსეთი | 5,2 | 8,3 | 7,7 | 21,2 |
| 6. ჰოლანდია | 5,2 | 3,2 | 5,1 | 13,5 |
| 7. ჩეხეთი | 5,1 | 1,2 | 1,8 | 8,1 |
| 8. შვეიცარია | 4,7 | 2,7 | 2,3 | 9,7 |
| 9. ავსტრია | 4,6 | 6,2 | 7,9 | 18,7 |
| 10. კორეა | 4,2 | 3,7 | 3,5 | 11,4 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ამბები

**ბობსლეი**

## ზაფხულიდან ზამთარში

ბობსლეიში აშშ-ის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა სოჭის ოლიმპიადისთვის შემადგენლობა დაასახელა. გუნდში ვხედავთ ორ ყოფილ მძლეოსანს: **ლორინ უილიამსს**, რომელმაც 2012 წელს, ლონდონის ზაფხულის ოლიმპიადაზე 4x100 მეტრზე ესტაფეტაში მოიპოვა ოქროს მედალი, აგრეთვე თარჯრბენში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს **ლოლო ჯონსს**. ამ უკანასკნელს 2008 წელს, პეკინში ოქროს მოგების რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ ფინიშთან ახლოს დაეცა სარბენ ბილიკზე.

უილიამსი და ჯონსი სოჭში ოთხადგილიანი ბობების ტურნირზე გამოვლენ. ადრე, მხოლოდ რვა ამერიკელმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში.

**ავტოსპორტი**

## პიტსტოპების ლიდერი ფერარია

გერმანულმა გამოცემა Auto Motor und Sport-მა ჩაატარა გამოკვლევა - რომელი გუნდის მექანიკოსები მუშაობდნენ ყველაზე კარგად პიტსტოპებზე 2013 წლის სეზონში. გაირკვა, რომ საბურავების შეცვლისთვის ყველაზე ნაკლებ დროს „ფერარის" მექანიკოსები ხარჯავდნენ - სეზონის განმავლობაში იტალიურმა საჯინიბომ 89 პიტსტოპი შეასრულა და საშუალოდ, ბოლიდს 2.78 წამში ემსახურებოდა.

ამ რეიტინგში მეორე ადგილი დაიკავა „მერსედესმა, რომლის საშუალო მაჩვენებელი იყო 2.95 წამი. მესამეზე გავიდა „რედ ბული" - 2.96 წამით.

## დი რესტა ისევ DTM-შია

ბრიტანელი პილოტი პოლ დი რესტა, რომელიც გასულ სეზონში „ფორს ინდიაში" გამოდიოდა, DTM-ის სერიაში დაბრუნდა. 27 წლის ავტომრბოლი „მერსედესის" ღირსებას დაიცავს, რომელთან ერთადაც 2010 წელს მოიგო ჩემპიონის ტიტული.

*„ბევრი რამ შეიცვალა DTM-ში ჩემი ბოლო რბოლიდან, რომელიც 2010 წელს შანხაიში გაიმართა, - ამბობს დი რესტა. - გაჩნდა ახალი ავტომობილები, შეიმუშავეს ახალი წესები. მხოლოდ ერთი რამ არ შეცვლილა: ჩემი მოტივაცია".*

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მაიამი ნაგებებს აგროვებს


გახარებული ბრუკლინელები

გუშინდელი სათამაშო დღის გმირის სტატუსზე პრეტენზიას აცხადებდა „კლივლენდი". „კავალერების" წინააღმდეგ „დალასი" სრულად აკონტროლებდა მატჩის მსვლელობას და 23-ქულიან უპირატესობას მიაღწია, მაგრამ მეორე ნახევარში **ირვინგის, დენგისა** და **ვარეჟაოს** მონდომებით, „კლივლენდი" თამაშში დაბრუნდა და სირენამდე 2.3 წამით ადრე სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. მასპინძლებმა ტაიმ-აუტი აიღეს და მწვრთნელისგან ბოლო დავალება მიიღეს - სამქულიანის სასროლად უნდა გაეყვანათ ირვინგი, მაგრამ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ **ჯარეტ ჯეკმა** ხუთ წამში ვერ მოასწრო გვერდითი ხაზიდან ბურთის შემოტანა და ყველაფერი წყალში ჩაიყარა.

■ ■ ■

შესაძლოა, „დეტროიტ პისტონზს" ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის ხაზი ჰყავს ლიგაში, მაგრამ ეს პრობლემა არ ყოფილა „კლიპერსისთვის". დეტროიტელებმა კარგი გაკვეთილი მიიღეს, თუ როგორ არ უნდა ითამაშო მთლიანად დაცვაში და კერძოდ, საკუთარ სამწამიანში. **დეანდრე ჯორდანმა** (16 ქულა და 21 მოხსნა) და **ბლეიკ გრიფინმა** (25 ქულა) ჯამში 12-ჯერ ჩატენეს კალათში ბურთი. არადა, მათ წინააღმდეგ **გრეგ მონრო** და **ანდრე დრამონდი** მოქმედებდნენ.

■ ■ ■

ხუთმატჩიან მოგებათა სერიის შემდეგ, „ნიუ იორკი" ისევ კრიზისშია. ამ გუნდმა ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო, თანაც საკუთარ „მედისონ სკვერ გარდენში" თანაქალაქელი „ბრუკლინის" წინააღმდეგ. ამჯერად, „ნიუ იორკი" დაალალატა გამთამაშებლების საშინელმა ფორმამ: **რეიმონდ ფელტონმა** 11-დან 9 სროლა ააცილა, მან და **პაბლო პრიჯიონიმ** კი ერთად ექვსი შეცდომა დაუშვეს.

„ნეტსი" კი, თავის მხრივ, თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა. **ჯო ჯონსონმა** უკვე პირველ ტაიმში დააგროვა 20 ქულა, გუნდს დაუბრუნდა **დერონ უილიამსი**, რომელმაც სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო მატჩი და 13 ქულით დაეხმარა თავის გუნდს. სხვათა შორის, ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო პლეიმეიკერმა საკუთარი ინიციატივით თქვა უარი სასტარტოში ადგილზე, რათა არ დაერღვია წარმატებული სათამაშო სქემა: „ბრუკლინმა" ხუთიდან ხუთი მატჩი მოიგო, როცა სასტარტოში იყვნენ ჯონსონი, **პირსი, გარნეტი, ლივინგსტონი** და **ანდერსონი**.

■ ■ ■

გრძელდება მოქმედი ჩემპიონის „მაიამი ჰიტის" პრობლემები. **ლებრონ ჯეიმსმა** და კომპანიამ ბოლო ექვსი მატჩში მეოთხედ წააგო, ამჯერად, ატლანტაში. ფლორიდელებმა, პირველ რიგში, დაცვაში თამაში ჩააგდეს - პირველ ნახევარში 71 ქულა გაუშვეს, სულ მატჩში კი - 121. ყველაზე დიდი პრობლემა „ჰიტს" **პოლ მილსეპმა** (26 ქულა) შეუქმნა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „ატლანტამ" შეწყვიტა „მაიამისთან" ცხრამატჩიან წაგებათა სერია.

■ ■ ■

ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ჰიუსტონში გაიმართა, სადაც „როკეტსი" „პორტლენდს" მასპინძლობდა. წინა მატჩში „ჰიუსტონმა" პირველ ტაიმში 70 ქულა დააგროვა, მაგრამ მეორეში საკლუბო ანტირეკორდი განაახლა, როცა „საცოდავ" 19 ქულას მოუყარა თავი. „პორტლენდთან" მატჩში „რაკეტებს" ასეთი შეცდომა არ დაუშვიათ, თუმცა მესამე მეოთხედში მეტოქეს საშუალება მისცეს 18-დან ექვს ქულამდე შეემცირებინა ჩამორჩენა. „ბლეიზერსს" მეტის გაკეთების საშუალება არ ჰქონია, რადგან მის ყოველ მონდომებას „ჰიუსტონი" შესაბამის პასუხს ახვედრებდა. საბოლოოდ, „როკეტსმა" ეფექტურ სტილში შეწყვიტა „პორტლენდის" ხუთმატჩიან მოგებათა სერია.

■ ■ ■

„ინდიანას" ლიდერ **პოლ ჯორჯს** გასული სეზონიდან არც ისე კარგი მოგონებები დარჩა „გოლდენ სტეიტთან" მატჩის გამო, რადგან ფორვარდმა ვერც ერთი ქულის დაგროვება ვერ შეძლო. სამაგიეროდ, გუშინ სრული რეაბილიტაცია მოახერხა ამ ჩავარდნის გამო, როცა „მეომრებს" 23 ქულა ჩაუგდო და საკუთარ გუნდს ზედიზედ მეხუთე მატჩი მოაგებინა.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერი პირველივე მეოთხედში გაიქცა და 14-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ „უორიორზმა" **სტივენ კარისა** და **დევიდ ლის** მონდომებით, მეოთხე მეოთხედში მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. მასპინძლებს მეტიც შეეძლოთ, სირენამდე რამდენიმე წამით ადრე, სტივენ კარს რომ ჩაეგდო სამქულიანი.

**კლივლენდი-დალასი 97:102**

23:30, 14:29, 29:20, 31:23

კ: ირვინგი (26), დენგი (20), ტ. ტომპსონი (19+10 მოხსნა), ვარეჟაო (18+21 მოხსნა).

დ: მ. ელისი (22), მერიონი (18). ნოვიცკი (17+10 მოხსნა).

**დეტროიტი-კლიპერსი 103:112**

28:26, 25:38, 25:30, 18:25

დ: სტაკი (29), ჯოშ სმიტი (24).

კ: ჯამ. კროუფორდი (26), გრიფინი (25), რედიკი (20).

**შარლოტი-ტორონტო 100:95**

26:11, 29:25, 23:24, 22:35

შ: სეშენსი (23), ე. ჯეფერსონი (22+19 მოხსნა), ჰენდერსონი (16).

ტ: დეროზანი (25), ლოური (21), ვასკესი (15), ნოვაკი (12+13 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ფილადელფია 107:99**

29:23, 32:28, 25:22, 21:26

ვ: ბილი (22), გორტატი (19+11 მოხსნა), სერაფინი (16).

ფ: კარტერ-უილიამსი (31), ტ. იანგი (18), ჰოიესი (11+16 მოხსნა).

**ნიუ იორკი-ბრუკლინი 80:103**

16:27, 22:25, 17:19, 25:32

ნ-ი: ენტონი (26+12 მოხსნა), ჯ-ა. სმიტი (15).

ბ: ჯო ჯონსონი (25), ბლეტჩი (19+12 მოხსნა), ა. ანდერსონი (15).

**მემფისი-ნ. ორლეანი 92:95**

20:25, 20:16, 29:27, 23:27

მ: რენდოლფი (23+20 მოხსნა), კ. ლი (19).

ნ-ო: ენტ. დევისი (27+10 მოხსნა), ტ. ევანსი (15).

**ატლანტა-მაიამი 121:114**

34:31, 37:39, 26:22, 24:22

ა: მილსეპი (26), კეროლი (19), ანტიჩი (17).

მ: ლ. ჯეიმსი (30), ბოში (21), ჩელმერსი (17).

**ჩიკაგო-ლეიკერსი 102:100**

31:26, 18:26, 20:20, 24:21

ჩ: ოგასტინი (27), ნოა (17+21 მოხსნა), ბატლერი (13+11 მოხსნა).

ლ: ნ. იანგი (30), პ. გასოლი (20+19 მოხსნა), მიქსი (16).

**ჰიუსტონი-პორტლენდი 126:113**

37:28, 34:28, 35:35, 20:22

ჰ: პარსონსი (31+10 მოხსნა), ჰოვარდი (24+12 მოხსნა), ჰარდენი (22), ბევერლი (17), კასპი (15).

პ: ოლდრიჯი (27+20 მოხსნა), ლილარდი (24), მეტიუზი (18).

**გ. სტეიტი-ინდიანა 94:102**

21:35, 19:18, 29:24, 25:25

გ-ს: კარი (24), დ. ლი (20+12 მოხსნა), კ. ტომპსონი (17), ბოგუტი (10+13 მოხსნა).

ი: ჯორჯი (23), უესტი (17), ჯორჯ ჰილი (15), ჰიბერტი (14+13 მოხსნა), სტივენსონი (14+10 მოხსნა+7 პასი).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ინდიანა | 40 | 33 | 7 | 82.5 |
| 2. მაიამი | 41 | 29 | 12 | 70.7 |
| 3. ატლანტა | 40 | 21 | 19 | 52.5 |
| 4. ტორონტო | 40 | 20 | 20 | 50.0 |
| 5. ვაშინგტონი | 40 | 20 | 20 | 50.0 |
| 6. ჩიკაგო | 40 | 20 | 20 | 50.0 |
| 7. ბრუკლინი | 39 | 17 | 22 | 43.6 |
| 8. შარლოტი | 43 | 18 | 25 | 41.9 |
| 9. დეტროიტი | 41 | 17 | 24 | 41.5 |
| 10. კლივლენდი | 41 | 15 | 26 | 36.6 |
| 11. ნიუ იორკი | 41 | 15 | 26 | 36.6 |
| 12. ბოსტონი | 42 | 14 | 28 | 33.3 |
| 13. ფილადელფია | 41 | 13 | 28 | 31.7 |
| 14. ორლანდო | 41 | 11 | 30 | 26.8 |
| 15. მილუოკი | 40 | 7 | 33 | 17.5 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო | 41 | 32 | 9 | 78.0 |
| 2. პორტლენდი | 41 | 31 | 10 | 75.6 |
| 3. ოკლაჰომა | 41 | 31 | 10 | 75.6 |
| 4. კლიპერსი | 43 | 29 | 14 | 67.4 |
| 5. ჰიუსტონი | 43 | 28 | 15 | 65.1 |
| 6. გ. სტეიტი | 43 | 26 | 17 | 60.5 |
| 7. დალასი | 43 | 25 | 18 | 58.1 |
| 8. ფინიქსი | 40 | 23 | 17 | 57.5 |
| 9. მემფისი | 40 | 20 | 20 | 50.0 |
| 10. დენვერი | 40 | 20 | 20 | 50.0 |
| 11. მინესოტა | 40 | 19 | 21 | 47.5 |
| 12. ნიუ ორლეანი | 40 | 16 | 24 | 40.0 |
| 13. ლეიკერსი | 42 | 16 | 26 | 38.1 |
| 14. საკრამენტო | 39 | 14 | 25 | 35.9 |
| 15. იუტა | 42 | 14 | 28 | 33.3 |

## ამბები

### კობის რიოში ვერ ვნახავთ

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** გამოაცხადა, რომ არ აპირებს 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე აშშ-ის ნაკრებში თამაშს.

ბრაიანტმა „დრიმ თიმის" შემადგენლობაში ორჯერ მოიგო ზაფხულის თამაშები - 2008 და 2012 წლებში. ორივეჯერ აშშ-ის ნაკრებმა ფინალში ესპანელი დაამარცხა, რომელშიც თამაშობდა კობის პარტნიორი „ლეიკერსში" **პაუ გასოლი**.

*„რიოში მხოლოდ მაყურებლის სტატუსით გავემგზავრები. შესაძლოა, იქ ვნახო, როგორ მოიგებს მორიგ ვერცხლს პაუ გასოლი"*, - აცხადებს კობი.

### დირკი მინიმუმ ორი წელი

ლეგენდარული გერმანელი კალათბურთელი **დირკ ნოვიცკი** ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს „დალას მავერიქსთან". ხელშეკრულება ორ ან სამწლიანი იქნება.

*„ზამთარში თავისუფალი აგენტი გავხდები და სავარაუდოდ, კონტრაქტს ორი ან სამი წლით გავახანგრძლივებ. მანამ ვითამაშებ, სანამ ამის საშუალებას მომცემს ორგანიზმი და თავად არ მომბეზრდება მოედანზე გასვლა. როცა მომავალი კონტრაქტის ვადა ამოიწურება, 38 ან 39 წლის ვიქნები და, ალბათ, მაშინ გავჩერდები"*, - ამბობს ნოვიცკი გერმანული პრესისთვის მიცემულ კომენტარში.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისის ლიგის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი | 0:3 (0:6) |

**ინგლისის თასი**

**III რაუნდი. გადათამაშება**

| | |
|---|---|
| ოქსფორდი-ჩარლტონი | 0:3 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ძრიუ-მილტონი | 2:0 |
| პიტერბრო-ნოტსი | 4:3 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩესტერფილდი-როჩდეილი | 2:2 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბარნეტი-ალდერშოტი | 1:3 |
| გეიტშიდი-უელინგი | 1:1 |
| კიდერმინსტერი-დარტფორდი | 1:2 |
| მაკლსფილდი-ლინკოლნი | 3:1 |
| საუთპორტი-რეძჰემი | 1:2 |
| ტამუორტი-კემბრიჯი | 0:1 |
| უოკინგი-ჩესტერი | 0:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ისლანდია-შვედეთი | 0:2 |
| დინამო (ზ)-ციურიხი | 2:4 |
| შტუტგარტი-ფიურტი | 2:0 |
| პელეტსი-კოტბუსი | 1:3 |
| ულ კისა-სტაბეკი | 3:1 |
| ომონია-სიონი | 0:0 |
| დუისბურგი-დორტმუნდი | 1:6 |

**იტალიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| რომა-იუვენტუსი | 1:0 |

**ესპანეთის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ესპანიოლი-რეალი | 0:1 |

**საფრანგეთის თასი**

**1/16 ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| აიაჩო-კაენი | | 0:2 |
| ლანსი-ბასტია | 1:1 დ.დ. | 2:1 |
| ანჟერსი-სოშო | | 1:0 |
| ბულონი-რენი | | 0:2 |
| სეტი-ჟურა სუდი | | 2:0 |
| კონკარნო-გინგამი | 1:1 დ.დ. | 2:3 |
| კრუა-ლილი | | 0:3 |
| კა ბასტია-ნიორი | 1:1 პენ. | 5:4 |
| მარსელი-ნიცა | | 4:5 |

**ჰოლანდიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| როდა-ალკმაარი | 0:2 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| პარტიკი-სტ. ჯონსტონი | 0:1 |

**ჩრ. ირლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| პსნი-ლისბურნი | 0:2 |
| არმაგი-არდსი | 3:1 |
| ბალინამალარდი-სტრაბეინი | 1:0 |
| ბალიმენა-უელდერსი | 1:0 |
| კორლეინი-კლიფტონვილი | 4:3 |

**ირანი**

| | |
|---|---|
| გოსტარეში-პერსეპოლისი | 1:0 |
| ნაფტი-საიპა | 2:1 |
| ფოოლადი-მეს კერმანი | 1:0 |

**აფრიკის თასი**

**შესარჩევი**

| | |
|---|---|
| კონგო-ლიბია | 2:2 |
| ეთიოპია-განა | 0:1 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ნანტი-ულმი | 95:77 |
| სარაგოსა-ლ. რიტასი | 94:60 |
| ვალენსია-სტელმეტი | 90:53 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| ტრიუმფი-გაზიანთეფი | 74:78 |
| გაზ მეთანი-კრ. კრილია | 77:80 |
| მინსკი-ურალი | 96:97 (ო) |
| ვენტსპილსი-დიჟონი | 69:59 |
| შოლნოკი-კრკა | 65:48 |
| ტარტუ-ანტვერპენი | 82:74 |
| შოლე-რეჯო ემილია | 81:78 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ვილერბანი-პო ორტეზი | 97:66 |

**ხელბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ხორვატია | 25:33 |
| საფრანგეთი-ბელარუსი | 39:30 |
| პოლონეთი-შვედეთი | 35:25 |

**ჰოკეი**

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-ვენა | 5:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| კიოლნი-მიუნხენი | 3:6 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტავანგერი-ლორენსკოგი | 10:5 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-მარტინი | 3:1 |
| სკალიცა-ზვოლენი | 3:4 (ბ) |
| ბისტრიცა-ნიტრა | 4:1 |
| ტრენჩინი-კოშიცე | 1:3 |
| პიეშტანი-პოპრადი | 1:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იოკერიტი-კაიპა | 5:1 |
| პელიკანსი-ილვესი | 1:2 |
| საიპა-ესეტი | 2:1 (ო) |
| ტაპარა-კერპეტი | 3:2 |
| ტპს-იუვიასკიულა | 4:2 |
| ჰპკ-ბლუზი | 4:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-კლადნო | 5:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| კლოტენი-ბილი | 3:2 |
| ლოზანა-ციურიხი | 2:1 |
| ლუგანო-ფრიბურგი | 2:3 |
| სერვეტი-დავოსი | 2:5 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ფრიოლუნდა-მოდო | 1:2 (ო) |
| ჰვ71-შელეფტეო | 4:2 |

# კვირის საუკეთესოები

"ინდიანა პეისერსისა" და „ოკლაჰომა სიტის" ფორვარდები **პოლ ჯორჯი** და **კევინ დურანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯორჯი თავის გუნდს სამიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა და ამ შეხვედრებში საშუალოდ 30.7 ქულას (საუკეთესო შედეგი კონფერენციაში) აგროვებდა. პოლმა ორ შეხვედრაში მინიმუმ 30 ქულა დააგროვა და ამ მატჩებში „ინდიანამ" მეტოქეები მინიმუმ 20 ქულის სხვაობით დაამარცხა.

ოლდრიჯის კარგი თამაშის წყალობით, "ოკლაჰომამ" გასულ კვირას ოთხიდან სამი მატჩი მოიგო. ამ შეხვედრებში მისი მონაგარი იყო - 39.3 ქულა (საუკეთესო შედეგი ლიგაში), 4.8 მოხსნა და 6.5 პასი. დურანტმა „გოლდენ სტეიტთან" მატჩში 54 ქულა დააგროვა - კარიერის პირადი რეკორდი დაამყარა. ოკლაჰომელი ვარსკვლავი ზედიზედ შვიდი მატჩია, მინიმუმ 30 ქულას აგროვებს და ლიგის საუკეთესო ბომბარდირია 30.6 ქულით.

**ჯორჯის კვირა**

**14 იანვარი. ინდიანა-საკრამენტო 116:92.** 31 ქულა.

**16 იანვარი. ინდიანა-ნიუ იორკი 117:89.** 25 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი.

**18 იანვარი. ინდიანა-კლიპერსი 106:92.** 36 ქულა, 6 მოხსნა, 3 ჩაჭრა.

**დურანტის კვირა**

**14 იანვარი. მემფისი-ოკლაჰომა 90:87.** 37 ქულა.

**16 იანვარი. ჰიუსტონი-ოკლაჰომა 92:104.** 36 ქულა, 5 მოხსნა, 6 პასი.

**17 იანვარი. ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი 127:121.** 54 ქულა.

**19 იანვარი. ოკლაჰომა-საკრამენტო 108:93.** 30 ქულა, 6 მოხსნა, 9 პასი, 4 ჩაჭრა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი მოთამაშეები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ელ ჯეფერსონი** („შარლოტი"), **ლუოლ დენგი** („კლივლენდი"), **ტერენს ჯონსი** („ჰიუსტონი"), **ლენს სტივენსონი** („ინდიანა"), **მაიკ კონლი** ("მემფისი"), **ლებრონ ჯეიმსი** ("მაიამი"), **კრის ბოში** ("მაიამი"), **ლამარკუს ოლდრიჯი** ("პორტლენდი") და **ჯონ უოლი** („ვაშინგტონი").

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



პოლ ჯორჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



კობაიაში და ერიქსონი

# არის სრული შემადგენლობა

გუშინ, ფორმულა 1-ის პელოტონში ორი დარჩენილი ვაკანსია შეივსო. „კატერჰემმა“ 2014 წლის სეზონისთვის ორივე საპრიზო პილოტის ვინაობა დაასახელა: ამ საჯინიბოს ღირსებას დაიცავენ იაპონელი **კამუი კობაიაში** და შვედი **მარკუს ერიქსონი**, რომელსაც დებიუტი ექნება „დიდ ცირკში“.

კობაიაში ფორმულა 1-ში ერთწლიანი შესვენების შემდეგ ბრუნდება. 2013 წლის სეზონი მან ამტანობაზე რბოლებში მსოფლიოს ჩემპიონატზე დაუთმო, ლა „ფერარიმ“ იქ „ფერარის“ საქარხნო პროგრამაში მონაწილეობდა. მისი საუკეთესო შედეგი ფორმულა 1-ში 2012 წელს, იაპონიის გრანპრიზე მოპოვებული პოდიუმია. კამუიმ ეს „ზაუბერის“ ბოლიდით შეძლო.

რაც შეეხება **მარკუს ერიქსონს**, ბოლო ოთხი სეზონი ის GP2-ის სერიაში გამოდიოდა და შარშან, გენერალურ კლასიფიკაციაში მეექვსე ადგილი დაიკავა. ეს მის კარიერაში საუკეთესო შედეგია. 23 წლის პილოტს ფორმულა 1-თან მცირე შეხება ჰქონდა: 2009 წელს, „ბრაუნ გრანპრიში“ ახალგაზრდულ ტესტებში მუშაობდა. ერიქსონი იქნება პირველი შვედი პილოტი ფორმულა 1-ში **სტეფან იოჰანსონის** შემდეგ, რომელმაც „დიდ ცირკში“ კარიერა 1991 წელს დაასრულა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ კობაიაში და ერიქსონი „კატერჰემში“ **გიდო ვან დერ გარდესა** და **შარლ პიკს** შეცვლიან. ჯერჯერობით უცნობია, რა ნომრებით იასპარეზებენ იაპონელი და შვედი ახალ ჩემპიონატში.

ასე რომ, ფორმულა 1-ის პელოტონი 2014 წლისთვის სრულად არის დაკომპლექტებული. 28 იანვარს, ესპანეთის ხერესის ტრასაზე დაიწყება წინასასეზონო ტესტების პირველი სერია.

წლევანდელი ჩემპიონატის ყველა მონაწილე:

**რედ ბული**
1. სებასტიან ფეტელი
3. დანიელ რიკარდო

**მერსედესი**
44. ლუის ჰემილტონი
6. ნიკო როსბერგი

**ფერარი**
14. ფერნანდო ალონსო
7. კიმი რაიკონენი

**ლოტუსი**
8. რომენ გროსჟანი
13. პასტორ მალდონადო

**მაკლარენი**
22. ჯენსონ ბატონი
20. კევინ მაგნუსენი

**ფორს ინდია**
27. ნიკო ჰიულკენბერგი
11. სერხიო პერესი

**ზაუბერი**
99. ადრიან სუტილი
21. ესტებან გუტიერესი

**ტორო როსო**
25. ჟან-ერიკ ვერნი
26. დანიილ კვიატი

**უილიამსი**
19. ფელიპე მასა
77. ვალტერი ბოტასი

**მარუსია**
17. ჟიულ ბიანკი
4. მაქს ჩილტონი

**კატერჰემი**
კამუი კობაიაში
მარკუს ერიქსონი

# მაკლარენი ხერესისთვის მზად არის

როგორც ჩანს, „მაკლარენი“ მოახერხებს ხერესის წინასასეზონო ტესტებზე გამოსვლას: ბრიტანული საჯინიბოს ახალმა შასიმ გაიარა ყველა აუცილებელი კრაშ-ტესტი.

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ MP4-29 ბოლიდმა ვერ გაუძლო ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ყველა აუცილებელ გამოცდას და ამის გამო, საფრთხე დაემუქრა „მაკლარენის“ მონაწილეობას პირველ წინასასეზონო ტესტებში.

ახლა, ბრიტანელებს ყველაფერი წესრიგში აქვთ. ისინი პარასკევს მოაწყობენ ახალი ბოლიდის პრეზენტაციას, შემდეგ კი ხერესში დაიწყებენ ტესტებში გამოსვლას MP4-29-ით, რომელიც აღჭურვილი იქნება Mercedes V6-ის ძრავით.

■ ■ ■

როგორც იცით, ამ დღეებში გამოცხადდა იმის შესახებ, რომ „მაკლარენში“ ხელმძღვანელ პოსტზე დაბრუნდა **რონ დენისი**, რომელიც უკვე აქტიურად შეუდგა მუშაობას. მას სურს თანაშემწედ მიიწვიოს „მერსედესის“ ყოფილი შეფი, ცნობილი სპეციალისტი **როს ბრაუნი**. მან გასული სეზონის დასრულების შემდეგ გამოაცხადა, რომ მუშაობაში პაუზის აღებას აპირებს, მაგრამ, ახლა არ გამორიცხავენ 2014 წელს მის ფორმულა 1-ში დაბრუნებას.

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ნახვამდის, ნოლე!

ავსტრალიის ღიას გუშინდელ მიმოხილვაში აღვნიშნეთ, რომ სენსაციების დეფიციტი იყო მამაკაცთა ბადეში: მეოთხედფინალში გავიდა ATP-ის რეიტინგის TOP8-ის შვიდი წევრი. და გუშინ, სწორედ მეოთხედფინალურ ეტაპზე ბრძოლას გამოეთიშა ტურნირის მოქმედი ჩემპიონი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**, რომელიც ავსტრალიის ღიაზე ზედიზედ მეოთხე გამარჯვებას ლამობდა. სერბის გუშინდელი მეტოქე იყო შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკა**. ამ ჩოგბურთელებმა შარშან დაუვიწყარი სპექტაკლი შესთავაზეს მელბურნის პუბლიკას. თითქმის ექვსსაათიანი მარათონი ხუთი სეტი გაგრძელდა და ბოლო პარტიაში ნოვაკმა 12:10 დაიწყო. წელს სიტუაცია განმეორდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გამარჯვებული ვავრინკა გამოვიდა.

თავდაპირველად, ჩოგბურთის ხარისხი შორს იყო იმისგან, რასაც მაყურებელი ითხოვდა. ჯოკოვიჩი ვერ აჩვენებდა თავის მაქსიმუმს, მაგრამ ვავრინკა ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, გეიმს გეიმზე აგებდა და პირველი სეტი უბრძოლველად დათმო.

მეორე პარტიაც თავიდან არ მიმდინარეობდა შვეიცარიელის სასარგებლოდ, მაგრამ რთული სიტუაციიდან გადაარჩინა საკუთარი მოწოდება, გამოფხიზლდა და გაცილებით სახიფათოდ ათამაშდა. სულ მალე მან სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ჯოკოვიჩმა გადაარჩინა გეიმი. 3:3-ზე კი ვავრინკამ მაინც მიაღწია სანადელს - ბრეიკ-პოინტი ხაზის გასწვრივ საფირმო დარტყმით გამოიყენა. ნოვაკმა პასუხის გაცემა ვერ შეძლო და სეტებში ანგარიში გათანაბრდა.

მესამე სეტში სტანისლასი აგრძელებდა მაღალ დონეზე თამაშს, იმ დროს, როცა ნოვაკის მოქმედებებში რაღაც მოიშალა. სერბი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, თანაც მარტივ სიტუაციებში, რის გამოც, პარტიაში მხოლოდ ორი გეიმი აიღო.

ვავრინკამ თამაშის რიტმი დაიჭირა და მის შესაჩერებლად, ნოვაკს აუცილებლად სჭირდებოდა ახალ დონეზე გასვლა. ჯოკოვიჩმა თანდათან, მაგრამ მაინც მოახერხა ამის გაკეთება. სერბმა უფრო ზუსტი თამაშის ჩვენება დაიწყო და აშკარად დაეუფლა ინიციატივას. ვავრინკა გარკვეული ხანი უძლებდა, ორი ურთულესი გეიმი აიღო, მაგრამ ბოლოს, 40:0-დან წააგო საკუთარი გეიმი. ამის შემდეგ, ნოვაკმა ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, ემოციურად რეაგირებდა თითოეულ მინი-წარმატებაზე და საბოლოოდ, პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა.

გადამწყვეტი პარტია ჯოკოვიჩმა ბრეიკით დაიწყო, მაგრამ იქვე მისცა მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება. სულ მალე ნოვაკმა ისევ მიიღო ბრეიკ-პოინტი, რომელიც სტანისლასმა 31-დარტყმიან გათამაშებაში მოიგერია. საერთოდ, მეხუთე სეტის შუაში ბევრი ლამაზი გათამაშება იყო და იმ მომენტისთვის, ჩოგბურთელები საკუთარი თამაშის მაქსიმუმზე გავიდნენ. 4:3-ზე ვავრინკამ ეისით მოიგერია ბრეიკ-პოინტი და აქედან მოყოლებული, მოთამაშეები დამაჯერებლად იღებდნენ საკუთარ მოწოდებებს. ისინი არც მაშინ ამოვარდნენ რიტმიდან, როცა მცირე წვიმა წამოვიდა, თუმცა პაუზა მხოლოდ ხუთი წუთი გაგრძელდა და ცენტრალური კორტის გადახურვა საჭირო არ გახდა. ნოვაკს ჰქონდა მილებაზე მცირე შანსი, მაგრამ შვეიცარიელმა 30:30-ზე არ მისცა ბრეიკ-პოინტამდე მისვლის შესაძლებლობა და აიღო მე-13 გეიმი. 7:8-ზე ჯოკოვიჩის თამაში მოულოდნელად მოიშალა, რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, რამაც ვავრინკას მატჩბოლი მოუტანა. გადამწყვეტ მომენტში სერბი ბადესთან გავიდა და... ააცილა დრაივ-ვოლეი. ასე დასრულდა ნოვაკის 25-მატჩიანი მოგებათა სერია მელბურნში, რომელიც სამ ტიტულს იტევდა.

სერბმა ხელიდან გაუშვა „დიდი სლემის“ ტურნირებზე ზედიზედ მეთხუთმეტედ ნახევარფინალში გასვლის შანსი, ვავრინკამ კი ზედიზედ მეთხუთმეტედ არ წააგო ჯოკოვიჩის წინააღმდეგ.

ნახევარფინალში შვეიცარიელის მეტოქე **ტომაშ ბერდიხი** იქნება. ჩეხს „დიდი სლემის“ ყველა ტურნირის ნახევარფინალში ჰქონდა ნათამაშები ავსტრალიის ღია პირველობის გარდა. და გუშინ, ბერდიხმა ამოხსნა ამ ტურნირის საიდუმლო. მან მე-11 ცდიდან შეძლო ავსტრალიაში ტოპ-ოთხეულის წევრის დამარცხება. **დავიდ ფერერთან** მეოთხედფინალი სამი საათი და ოთხი წუთი გაგრძელდა და ამ მატჩში ბერდიხმა ტურნირზე პირველად დათმო სეტი, სამაგიეროდ, სამი პარტია მოიგო და ნახევარფინალში ვავრინკას შეხვდება.

■ ■ ■

გუშინ, ერთი ნახევარფინალური წყვილი შედგა ქალთა ბადეში. 67 წუთი დასჭირდა 31 წლის ჩინელ **ნა ლის**, რათა კარიერაში მეოთხედ გასულიყო ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში. აზიელმა 6:2, 6:2 მოუგო იტალიელ **ფლავია პენეტას**, რომელიც მხოლოდ ერთი დღით უფროსია იაპონელზე. წელს, ლის მოგებათა სერია 10 მატჩამდე (სეზონის დასაწყისში ნა ლიმ მოიგო შენჟენის ტურნირი) ავიდა.

19 წლის **ეჟენი ბუშარი** უკვე შეიძლება მოვნათლოთ წლევანდელი ტურნირის აღმოჩენად. 2 საათსა და 24 წუთში **ანა ივანოვიჩის** დამარცხებით, კანადელი გახდა თავისი ქვეყნის პირველი ქალი ჩოგბურთელი, ვინც „დიდი სლემის“ ტურნირის ნახევარფინალში თამაშის უფლება მიიღო.

მელბურნში წარმატება ბუშარს WTA-ის ახალი რეიტინგის ტოპ-ოცეულში მოუტანს ადგილს, 26 წლის ივანოვიჩმა კი, რომელმაც წინა წრეში **სერენა უილიამსი** დაამარცხა, ტოპ-ათეულში მოხვედრის შანსი გაუშვა ხელიდან.

**1/4 ფინალი**

**კაცები**

**ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-დავიდ ფერერი (ესპ, 3) 6:1, 6:4, 2:6, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 8)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2) 2:6, 6:4, 6:2, 3:6, 9:7.

**ქალები**

**ეჟენი ბუშარი (კან, 30)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 14) 5:7, 7:5, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 4)**-ფლავია პენეტა (იტა, 28) 6:2, 6:2.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ნოვაკ ჯოკოვიჩი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608